# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 1 დეკემბერი 2000 №232 (1254) | ფასი 50 თეთრი


ნანა ალექსანდრია

დელიდან



## ვიშ, რა კარგია ვიშის ქვეყანა!

### გადავითვალოთ ქალები

ინდოეთის ეროვნული ტელევიზია დელიში ყოველდღიურად მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატს დიდ ყურადღებას უთმობს.

სხვათა შორის, ინდოეთის ჭადრაკის ფედერაციამ სატელევიზიო გაშუქების უფლება „DD სპორტს" 50 000 $-ად მიჰყიდა. ჭადრაკი ინდოეთში პოპულარობით №1 სახეობას, კრიკეტსაც კი კონკურენციას უწევს. ნახევარი წლის წინ ქვეყნის პარლამენტმა სპორტის 8 წამყვანი სახეობა გაათავისუფლა გადასახადისაგან. მოჭადრაკეებს მართლაც შესანიშნავი პირობები აქვთ შექმნილი: დიდოსტატს ყოველთვიურად 500-600 დოლარიანი ხელფასი; წელიწადში 2-3-ჯერ საჭადრაკო ტურნეს დაფინანსება (თითოეულის ნასვლა 5000 $-ის ფარგლებში); ორი ერთთვიანი შეკრება მთავრობის საკურორტო ზონაში; ჩამოუყვანეს საუკეთესო მწვრთნელები, ცნობილი დიდოსტატები: ვალერი სალოვი და ევგენი ვლადიმიროვი, რომელიც წლების განმავლობაში იყო კასპაროვის სეკუნდატი. ყოველივე ამას დავუმატოთ ანანდის წარმოუდგენელი პოპულარობა (ბოლო 10 წლის განმავლობაში ვიში ინდოეთის №1 სპორტსმენია), და მივხვდებით თუ მოკლე დროში როგორ გაჩნდა წარმატებები: მე-8 ადგილი ვაჟთა ოლიმპიადაზე, ვერცხლის მედალი ქალთა I დაფაზე; 6 მოქმედი დიდოსტატი და 2000 წლის მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატზე 2 ოქრო, 1 ვერცხლი, და ბოლოს, ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის II რაუნდში — 19 წლის ინდოეთის იმედი — შაშიკირანი.

ეხლა კი I რაუნდს და ჩვენს ქალებს დავუბრუნდეთ.

მოულოდნელობები, როგორც წესი, ყველა ჩემპიონატს ახლავს. ჩინელებს, მაგალითად, I რაუნდის შემდეგ აშკარა ფავორიტი — ჟუ ჩენი გამოაკლდათ. მაგრამ, საქართველოს დანაკარგი შემაშფოთებელია, მან ყველა ნორმას გადააჭარბა: 4 მატჩში, სადაც ჩვენი ქალები მონაწილეობდნენ, სამში ჩვენი აშკარა ფავორიტი დამარცხდა. I რაუნდის II ტურიც სასტარტო სცენარით წარიმართა, პირველი სენსაცია ნონამ მოახდინა. აუხსნელი და გაუგონარი რამ დაფიქსირდა გაფრინდაშვილ — ხურცილავას პარტიაში. 24-ე სვლაზე ნონამ რატომღაც ჩათვალა, რომ I კონტროლის სვლები გაკეთებულია და რევანშის იმედით, აუღელვებლად სწავლობდა ფიგურებით სავსე დაფას.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

# ოთხი ფურცელი, რომელმაც შეძრა არსენალი

## ნამდვილი ამბავი ნამდვილი ადამიანებითა და ათასი ტყუილ-მართალით

„ვისი რა საქმეა კონტრაქტის პირობის გაგება! ხიზანიშვილს, რა თქმა უნდა, აქვს კონტრაქტი „ლოკომოტივთან", მაგრამ დეტალებზე საუბარი არ გვსურს. ამ კონტრაქტის შესახებ ჩემმა მეგობრებმა იციან, თქვენ კი რაში გჭირდებათ მისი გაცნობა".

*რევაზ ძოძუაშვილი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი. 29 ნოემბერი*

**ამ ქვეყანაში როგორ ყველაფერი უკუღმაა, კაცო! იმავე ინგლისში, სადაც ხიზანიშვილს კარიერა უნდა გაეგრძელებინა, კონტრაქტის პირობები სწორედ ჟურნალისტებს აინტერესებთ. აი, კლაუდიო რანიერიმ კი თუნდაც იმავე რატი ალექსიძის კონტრაქტზე მხოლოდ ერთი რამ იცის — რამდენი ხნითაა ჩვენებური „ჩელსის" სამსახურში. სხვაგვარად ვერც იქნება: დღედაღამ ტაქტიკაზე ტვინმჭყლეტი კაცი სხვის მანქანებზე, პრემიალურებზე, ხელფასებსა და ბინის ქირაზე ვერ იფიქრებს.**

მაგრამ აქ არათუ გუნდის მწვრთნელს (რომელიც კლუბისთვის ისეთივე დაქირავებული მუშაკია, როგორც ფეხბურთელი), მის მეგობრებსაც კი სცოდნიათ ამა თუ იმ ფეხბურთელის კონტრაქტის დეტალები. ჰოდა, რაღა ჩვენ დავრჩით განზე — ცალი თვალით ამ ისტორიულ დოკუმენტში ჩვენც ჩავიხედოთ, თუმცა მანამდე...

„ხიზანიშვილს „ლოკომოტივთან" ორი თუ სამწლიანი კონტრაქტი აქვს. ზუსტად არ მახსოვს".

*აკაკი ჩხაიძე, „ლოკომოტივის" პრეზიდენტი. 2 ნოემბერი*

„ხიზანიშვილს „ლოკომოტივთან" ერთი თუ ორწლიანი კონტრაქტი აქვს. ზუსტად არ მახსოვს".

*ტარიელ ღვაბერიძე, „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტი. 2 ნოემბერი*

**და ეს ფეხბურთელზე, რომელიც, ვითომ, დღე-დღეზე ლონდონის „არსენალში" უნდა გაიყიდოს. თუმცა რას ვერჩით ამ ხალხს — როგორ შეიძლება გახსოვდეს ის, რაც ბუნებაში არ არსებობს.**

მოთამაშე ვალდებულია კლუბთან გაფორმებული წინამდებარე კონტრაქტი არ დაარღვიოს...

*ზურაბ ხიზანიშვილისა და „ლოკომოტივს" შორის არსებული კონტრაქტი. მუხლი 2.8.*

**გინდა სამი წერტილი დასვით და გინდა შვილი მილიონი — სათანადო გრაფა, სადაც თარიღი უნდა ყოფილიყო მითითებული (ამა და ამ წლის ამა და ამ დღემდეო), ცარიელია. ასე რომ, ძოძუაშვილიც მართალია (კონტრაქტი არსებობს) და კლუბის თავკაცობაც (როგორ უნდა გახსოვდეს კაცს ცარიელი ადგილი), მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ყველაზე მართალი ზურაბ ხიზანიშვილია:**

— რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებს რკინიგზელებთან?

— არცერთდღიანი. მაჩვენონ, რა კონტრაქტი მაქვს. პირობები ხომ უნდა შემოეთავაზებინათ — რა ვადით, რა თანხაზე...

*„სარბიელი", 28 ნოემბერი*

**ვინაა ეს ინტრიგანი! ვითომ არ იცის: თანხაც ისეთივეა, როგორიც კონტრაქტის ვადა.**

კლუბი იღებს ვალდებულებას მოთამაშეს დაუნიშნოს ხელფასი თვეში — ლარი.

*ზურაბ ხიზანიშვილსა და „ლოკომოტივს" შორის არსებული კონტრაქტი. მუხლი 3.1.*

**კონტრაქტის ორიგინალში, იცოცხლეთ, იმხელა ტირეა, სულ მცირე შვიდციფრიანი თანხა ჩაიწერება, მაგრამ, ვადის არ იყოს, მისი ჩაწერაც დავიწყებიათ. და ეს იმ ბიჭთან ხელშეკრულებაში, რომელიც, თურმე, არც მეტი და არც ნაკლები, 7 მილიონი დოლარი ღირს.**

„სხვათა შორის, ის 7 მილიონი გამოგონილი თანხა არ არის. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ლევანდელი სატრანსფერო ბაზარი და ხიზანიშვილის დონის ფეხბურთელი ამდენი ღირს და უღირს „არსენალის" დონის კლუბებს".

*აკაკი ჩხაიძე, 28 ნოემბერი*

„ბაზარში არ ყოფილხართ? ხუთ მანეთს რომ დაგიფასებენ რამეს, მერე ორად ყიდულობ. ასეა ფეხბურთელიც. ჩვენ ჩვენი პირობები გვქონდა. სიტყვაზე, მილიონად დავაფასებდით, მერე ნახევარ მილიონზე ჩამოვიდოდით და ასე..."

*რევაზ ძოძუაშვილი, 29 ნოემბერი*

**ეჰ, ისე ეტყობა, ამ ხალხმა ლევანდელი სატრანსფერო ბაზრისა კი არა, ყურის ძირში მდებარე „დეზერტირებისაც" ცოტა რამ იცის. აბა, ერთი წუთით თვალი დახუჭეთ და წარმოიდგინეთ, რომ ორმანეთიანი ყველი გაქვთ საყიდელი. კაი, ორნახევარი, ჯანი გავარდეს, სამი დააფასონ — შეევაჭრებით, მაგრამ ხუთი?!**

**„ვალი გაქვს, ძმაო?" და, ცხადია, უფრო ნამუსიან გამყიდველთან გადაინაცვლებთ. რატომ გგონიათ, რომ თქვენსავით არ ფიქრობს „არსენალი", რომელიც, სხვათა შორის, სუპერმარკეტებში ვაჭრობასაა დაჩვეული და ბაზრის დონეზე იშვიათად თუ ჩამოდის?**

**ჰოდა, გარიგება არ შედგა, რამდენიმე დღეში კი ლონდონური კლუბი დანიელებს შეუთანხმდა და ახალგაზრდა ცენტრალური მცველი, 18 წლისა, იქ იყიდა.**

**არადა:**

„ადამსის შემცვლელი ცოტა ხმამაღალი სიტყვაა, მაგრამ ხიზანიშვილი მეტად პერსპექტიული მცველია. მისით ადრეც ვიყავი დაინტერესებული, იტალიასთან თამაშმა კი არჩევანი საბოლოოდ გამაკეთებინა".

*არსენ ვენგერი, „არსენალის" მწვრთნელი, 23 ოქტომბერი*

**ახლა რომ არსენმა გაიგოს, შვიდი მილიონი კი არა, საერთოდ არაფერი ჰქონდა გადასახდელი, ხომ გაგიჟდა ეს პატივცემული კაცი. არა, მთლად უფასოდ, ცხადია, ვერ წაიყვანდა, ვინაიდან:**

კლუბს უფლება აქვს კონტრაქტის მოქმედების პერიოდში დართოს ნება მოთამაშეს



ზურაბ ხიზანიშვილი

კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ, თუ მოთამაშე... გადაუხდის კლუბს ჯარიმის სახით ამ კონტრაქტის ვადამდე დარღვევის გამო 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში ლარში და მოთამაშის განვითარების და მომზადების კომპენსაციას სფფ-ს ამჟამად მოქმედი წესების თანახმად, რის შესახებაც კლუბი უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნული თარიღის დადგომამდე ორი თვით ადრე.

*ზურაბ ხიზანიშვილსა და „ლოკომოტივს" შორის არსებული კონტრაქტი. მუხლი 3.6.*

**თანაც**

„ლოკომოტივი" არასოდეს არცერთ თავის მოთამაშეს არ შეუშლის ხელს ნორმალური დონის ევროპულ კლუბში გადასვლაში, მითუმეტეს ხიზანიშვილს."

*აკაკი ჩხაიძე, 28 ნოემბერი*

იხილეთ მეორე გვერდი

2.8. „მოთამაშე" ვალდებულია „კლუბთან" გაფორმებული წინამდებარე კონტრაქტი არ დაარღვიოს ______ .

3.1. „კლუბი" იღებს ვალდებულებას „მოთამაშეს" დაუნიშნოს ხელფასი თვეში ______ ლარი და მიღწეული შედეგების მიხედვით მოახდინოს მისი წახალისება შემდეგი ოდენობით:

-გასვლითი მატჩის მოგებისათვის ______ ლარი;

-შინ ჩატარებული მატჩის მოგებისათვის ______ ლარი;

ხიზანიშვილისა და „ლოკომოტივის" კონტრაქტს, გუშინ თავად კლუბმა რომ მოგვაწოდა, სრულად მეორე გვერდზე გაეცნობით

# ოთხი ფურცელი, რომელმაც შეძრა არსენალი



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

აკაკი ჩხაიძე და რევაზ ძოძუაშვილი: წავიდეს, მაგრამ... ვივაჭროთ

დასაწყისი პირველ გვერდზე

„დარწმუნებული იყავით, ჩვენ, „ლოკომოტივი", ზურა ხიზანიშვილს „არსენალში" გადასვლაში ხელს არ შევუშლით. პირიქით, ოღონდ წავიდეს".

*აკაკი ჩხაიძე, 20 ნოემბერი*

„ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ხიზანიშვილი იმსახურებს ამ წარმატებას".

*რევაზ ძოძუაშვილი, 17 ოქტომბერი*

**ამას ისიც დავუმატოთ, რომ:**

„როცა ხიზანიშვილი „ლოკომოტივში" მე გავანთავისუფლე, ფული არავის გადაუხდია".

*ვაჟა ჟვანია, 26 ნოემბერი*

**მაშ საიდან გაჩნდა ეს ოხერი 7 მილიონი? 50 ათასი ხომ ნაღდი იყო, იქაც კომპენსაცია, რომელიც, თუ იმავე ვაჟა ჟვანიას დავეყრდნობით, მილიონამდე ავიდოდა.**

**მთავარი კი ისაა, რომ „არსენალმა" არ იცოდა, რომ ხიზანიშვილსა და „ლოკომოტივს" შორის არსებული კონტრაქტი აბსურდული და არასრულია და ნებისმიერ უეფას თუ ფიფას ასეთი კონტრაქტის დანახვისას კრუნჩხვა დაემართებოდა.**

**მაგრამ ხიზანიშვილმა ეს ამბავი ლონდონში არ გაამხილა. არადა, ათი დღე ზღაპარში ვიყავი და ვერც კი აგიხსნით, რა ბედნიერი ვიქნები „არსენალში" დაბრუნებითო, ამბობდა თბილისში ჩამოსული.**

**„ლოკომოტივმა" (ოღონდ წავიდეს, დაიმსახურაო, რომ ამბობდა) და სხვა „მეწილეებმაც" ეს ვერ გამოიყენეს, თუნდაც 2 მილიონი, რომელზეც, ალბათ, „არსენალი" დათანხმდებოდა, ვერ იმყოფინეს და ორმანეთიანში ხუთი კი არა, შვიდი მოითხოვეს.**

**მოლაპარაკებებიც კლუბებს შორის აქ დამთავრდა.**

**მერე დაიწყო:**

**ჩამოვა „არსენალის" მთავარი სკაუტი და ხიზანიშვილს კიდევ ერთხელ რუსთავში ნახავსო;**

**არა, რუსთავში მინდორი არვარგა და ინგლისელებს შევუთვალეთ, ახლა არა და ერთ კვირაში ჩამოდითო;**

**კი მოდიოდა ის კაცი, მაგრამ გლდანის დასაწყისში რომ ქუჩა იყო გადაკეტილი, იმან დააშინა და 25-ში ნაღდად ჩამოვაო...**

**რას ჩამოვიდოდა!**

**ჰოდა, გაბრაზდნენ. ოღონდ არა თავის თავზე, არამედ „სარბიელზე":**

„რა იწერება ამ გაზეთში? ეს უსინდისობაა, უზნეობა. ზოგიერთი ნაძირალა კადრულობს ასეთი ტყუილების წერას და ამით თვითონ უფუჭებს ხიზანიშვილს საქმეს".

*რევაზ ძოძუაშვილი, 29 ნოემბერი*

**შეხედე შენ! 19 წლის ბიჭს ხელი რაღაცაზე მოაწერინეს, მერე „არსენალისკენ" მიმავალ გზაზე კარი მამა ბასილივით „დაუსვარკეს" და ახლა ჩვენც მოგვადგნენ.**

**უკაცრავად, მაგრამ თქვენს მიერ მოტყუებული ბიჭებისგან განსხვავებით ჩვენ ხელი არ მოგვიწერია არცერთ იმ დოკუმენტზე, სადაც წერია, რომ:**

მოთამაშემ პირად ცხოვრებაში არ უნდა გამოხატოს პირადი აზრები.

*ხიზანიშვილსა და „ლოკომოტივს" შორის არსებული კონტრაქტი. მუხლი 2.8.*

**???**

**სხვათა შორის, კლუბმა ფეხბურთელი რომ არ შეაცდინოს, ამის სადარაჯოზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უნდა იდგეს. მას, თუ არ ვცდებით, იურიდიული სამსახურიც გააჩნია. ჰოდა, იმედია, ფედერაციის იურისტები კიდევ ერთხელ ჩახედავენ მათ სეიფებში არსებულ ამ კონტრაქტს (და კიდევ ბევრ ამისთანას) და თავიანთ კომპეტენტურ აზრს, სხვასთან ერთად, „სარბიელსაც" გაუზიარებენ.**

**ჩვენც, იმედია, ზნე გვექცევა, შემორჩენილი ნამუსის ნატამალს მოვიხმობთ და „ასეთ ტყუილებს" აღარ დავწერთ.**

**და გაივსება საქართველოს ნაკრები არსენალელებით და მილანელებით.**

**ზურაბ მეძმელია**

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
პირველი მატჩი. 30 ნოემბერი

UEFA CUP

**რეინჯერსი (შოტლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 1:0**

1:0 ალბერტცი (88)

გაძევება: პეტერსონი (81, კაიზერსლაუტერნი)

### იტალია
**თასის მეოთხედფინალი**
**პირველი მატჩი**

**ფიორენტინა 6:0 ბრეშა**

1:0 ლეანდრო (29); 2:0 ბრუკანი (35); 3:0, 4:0 კიეზა (40, 56); 5:0 ლეანდრო (66); 6:0 რუი კოშტა (74)

### ჩეხეთი
**სიგმა 2:1 ბუდეიოვიცე**

### საფრანგეთი
**მეორე დივიზიონი**
**XXI ტური**

**მონპელიე 3:1 ნიმი**

### ჰოლანდია
**აიაქსი 3:0 ვალვაიკი**

1:0, 2:0 მახლასი (9, 52), 3:0 შ. არველაძე 87)

## კ ო ნ ტ რ ა ქ ტ ი №

2000 წლის „3" [illegible] ქ. თბილისი

შპს საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი" მისი პრეზიდენტის [illegible] სახით, შემდგომში „კლუბად" წოდებული, [illegible] და [illegible]

შემდგომში „მოთამაშედ" წოდებული, მეორის მხრივ, [illegible] წინამდებარე კონტრაქტს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების შეთანხმების შესახებ.

### 1. კონტრაქტის საგანი

1.1. „მოთამაშე" სთავაზობს „კლუბს" თავის სამსახურს, როგორც არამოყვარული მოთამაშე და ვალდებულებას იღებს შეასრულოს კლუბის შინაგანაწესი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ-ს) წესდების, მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები.

### 2. „მოთამაშის" უფლება-მოვალეობანი

2.1. „მოთამაშე" ვალდებულია თავისი ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობა სრულად მოახმაროს „კლუბის" ინტერესების დაცვას სისტემატურად აიმაღლოს ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მომზადების დონე, განუხრელად შეასრულოს „კლუბის" ხელმძღვანელობის და მწვრთნელების მოთხოვნები, არ დაუშვას ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ზიანს მიაყენებს „კლუბის" ინტერესებს და ავტორიტეტს.

2.2. „მოთამაშე" ვალდებულია, დაიცვას „კლუბის" საიდუმლოება, რომელიც ითვალისწინებს მის მიზნებს ამოცანებს, მატჩებისათვის მზადების ტექნიკურ თუ ტაქტიკურ გეგმებს, საკონტრაქტო პირობებს, ანაზღაურების საკითხებს და სხვა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს „კლუბის" ინტერესების საწინააღმდეგოდ.

2.3. „მოთამაშე" ვალდებულია თავი შეიკავოს პრესის და ტელევიზიის წარმომადგენლებთან ინტერვიუს მიცემისგან, რეკლამებში მონაწილეობის მიღებისგან. საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში არ უნდა გამოხატოს პირადი და „კლუბის" აზრები და აღნიშნულით ზიანი არ უნდა მიაყენოს „კლუბის" და სფფ-ს ინტერესებს.

2.4. „მოთამაშე" ვალდებულია გამოხატოს სპორტული კეთილშობილება ყველას მიმართ, ვისთანაც მას აქვს ურთიერთობა თამაშის ორგანიზაციის, საწვრთნელი შეკრებების, წვრთნის პროცესის, მატჩების მიმდინარეობის დროს (კლუბის ხელმძღვანელობა, მწვრთნელი, კოლექტივის წევრები, მსაჯები, მაყურებელი).

2.5. „მოთამაშე" ვალდებულია პროფესიული ტრავმის ან ავადმყოფობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს „კლუბის" ექიმს შესაბამისი მკურნალობისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოუცხადებლობა ჩაეთვლება არასაპატიო მიზეზად.

2.6. „მოთამაშე" ვალდებულია „კლუბის" მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს სავალდებულო სპორტულ-სამედიცინო და ტრავმატული კომისია, რის შესახებაც წარმოადგინოს სათანადო დასკვნა.

2.7. მოთამაშე ვალდებულია სხვა პროფესიით მუშაობის სურვილის შესახებ წერილობით აცნობოს „კლუბის" ხელმძღვანელობას და მუშაობის შესახებ წერილობითი ნებართვის შემდეგ გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთან.

2.8. „მოთამაშე" ვალდებულია „კლუბთან" გაფორმებული წინამდებარე კონტრაქტი არ დაარღვიოს ______

2.9. „მოთამაშე" ვალდებულია ნებისმიერი მატჩის დამთავრების შემდეგ გაეცნოს მთავარი მწვრთნელის მიერ ჩატარებულ მატჩში მისი მონაწილეობის შედეგის შეფასებას, დაადასტუროს ხელის მოწერით და მიღებული შეფასება გაითვალისწინოს მომდევნო თამაშებისათვის მომზადების დროს.

2.10. „მოთამაშე" იღებს ვალდებულებას 2.8. მუხლით გათვალისწინებული ვადის დამთავრებამდე და მისი დამთავრების შემდეგ, „კლუბის" თანხმობის გარეშე არ გააფორმოს კონტრაქტი საქართველოს ან საზღვარგარეთის სხვა „კლუბში" გადასვლის შესახებ.

### 3. „კლუბის" უფლება-მოვალეობანი

3.1. „კლუბი" იღებს ვალდებულებას „მოთამაშეს" დაუნიშნოს ხელფასი თვეში ______ ლარი და მიღწეული შედეგების მიხედვით მოახდინოს მისი წახალისება შემდეგი ოდენობით:

— გასვლითი მატჩის მოგებისათვის ______ ლარი;

— შინ ჩატარებული მატჩის მოგებისათვის ______ ლარი;

— კონტრაქტის 3.1. პუნქტში გათვალისწინებული თანხები გაიცემა „მოთამაშეებზე" მატჩებში ფაქტიურად მიღებული მონაწილეობის პროპორციული ოდენობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთამაშის შეცვლა ხდება არა მოთამაშის მიზეზით. (ტრავმა, სხვა მოთამაშის მომზადების დონის გასინჯვა) არასათამაშო აუცილებლობით შეცვლაზე შემოსულ „მოთამაშეს" პრემია არ მიეცემა მატჩის შედეგების მიხედვით.

3.2. „კლუბი" იღებს ვალდებულებას მატჩის განაცხადში შეტანილ „მოთამაშეს" მიუხედავად მისი მონაწილეობისა გადაუხადოს მატჩის შედეგების მიხედვით დადგენილი პრემიის 25%.

3.3. „კლუბი" იღებს ვალდებულებას „მოთამაშის" მიერ საკონტრაქტო პირობების შესრულების დროს (წვრთნა, თამაში) მიღებული ტრავმების მკურნალობა უზრუნველყოს „კლუბის" ხარჯზე, ხოლო ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენის შემდეგ საკონტრაქტო პირობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში „კლუბი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მოთამაშეს" ორი თვის ხელფასი და კონტრაქტი ჩათვალოს ბათილად.

3.4. „კლუბი" იღებს ვალდებულებას დაიცვას „მოთამაშის" ინტერესები, გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ მისი კანონიერი ინტერესების, ღირსების შელახვის ან მისი უგულველყოფის შემთხვევაში.

3.5. „კლუბს" უფლება აქვს „მოთამაშის" თანხმობით ნებისმიერ დროს გააფორმოს სატრანსფერო გარიგება „მოთამაშის" სხვა კლუბში გადასვლის შესახებ (საქართველოში ან საზღვარგარეთ) სპორტული კარიერის გაგრძელების მიზნით.

3.6. „კლუბს" უფლება აქვს კონტრაქტის მოქმედების პერიოდში დართოს ნება „მოთამაშეს" კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ, თუ „მოთამაშე" ან ნებისმიერი იურიდიული პირი „მოთამაშის" სახელით გადაუხდის „კლუბს" ჯარიმის სახით ამ კონტრაქტის ვადამდე დარღვევის გამო 50000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში ლარში და მოთამაშის განვითარების ან მომზადების კომპენსაციას სფფ-ს ამჟამად მოქმედი წესების თანახმად, რის შესახებაც „კლუბი" უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნული თარიღის დადგომამდე ორი თვით ადრე. კლუბიდან მოთამაშის განთავისუფლების შემთხვევაში კლუბისათვის გადასახდელი თანხის საბოლოო ოდენობა განისაზღვრება კლუბის მიერ.

3.7. „კლუბი" იღებს ვალდებულებას ყოველი მომდევნო თვის 10-დან 15 რიცხვამდე „მოთამაშეს" გადაუხადოს დადგენილი ხელფასი, ხოლო სხვა თანხების გადახდის ვადებს „კლუბის" ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ცალკე ბრძანებით.

3.8. „კლუბი" იღებს ვალდებულებას ჩატარებული მატჩის შედეგის მიუხედავად წაახალისოს ცალკეული „მოთამაშე" მატჩში მონაწილეობის დროს გამოჩენილი თავდადებისათვის და ასევე შეუმციროს ან მოუხსნას პრემიები „მოთამაშის" მიერ დაშვებული დარღვევების გამო, რომელიც გაფორმდება ცალკე ბრძანების სახით.

### 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. „კლუბი" პასუხს აგებს ხელფასის, პრემიების და სატრანსფერო თანხების დადგენილ ვადაში გადახდაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში „მოთამაშეს" აუნაზღაურებს მისი დაგვიანებით მიღების შედეგად გამოწვეულ ზარალს.

4.2. არასათამაშო აუცილებლობიდან გამომდინარე სიტუაციაში გაფრთხილებების მიღების შემთხვევაში „მოთამაშეს" ეკისრება ჯარიმის გადახდა კლუბის სასარგებლოდ შემდეგი ოდენობით:

— წითელი ბარათის მიღების შემთხვევაში აღნიშნულ მატჩზე დადგენილი პრემიის ოდენობით.

— პირველი ყვითელი ბარათის მიღების შემთხვევაში აღნიშნულ მატჩზე დადგენილი პრემიის 50%-ის, მომდევნო ყვითელი ბარათის მიღებაზე კი დადგენილი პრემიის 100%-ის ოდენობით.

4.3. მატჩში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმის, საწვრთნელ შეკრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში „კლუბის" ხელმძღვანელობის მიერ განიხილება საკითხი „მოთამაშეზე" დასაკისრებელი ჯარიმის თანხის განსაზღვრის და „მოთამაშესთან" კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ. დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან „მოთამაშეს" არ ათავისუფლებს კონტრაქტის გაწყვეტა.

4.4. „მოთამაშემ" მისგან დამოუკიდებელი მიზეზით (ტრავმების გარდა) თუ ვერ უზრუნველყო თავისი მომზადება ჩასატარებელი მატჩების ძირითად შემადგენლობაში მონაწილეობის მისაღებად, მაშინ „კლუბს" უფლება აქვს შეუმციროს მას დადგენილი ხელფასი 25%-მდე.

4.5. „მოთამაშისათვის" წინამდებარე კონტრაქტის მე-3 თავის თანახმად დანიშნული ხელფასები და პრემიები გაიცემა „მოთამაშეებზე" კლუბის მიერ ჩატარებულ ოფიციალურ მატჩებში მათ მიერ ნათამაშევი დროის პროპორციული პროცენტული ოდენობით.

### 5. სადაო საკითხების გადაწყვეტა

5.1. ყველა სადაო საკითხები აღნიშნულ კონტრაქტთან დაკავშირებით მასში შესწორებების ან ცვლილებების შეტანა წყდება „კლუბის" ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, რაზეც წერილობითი ფორმით გაფორმდება კონტრაქტის დანართი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეთანხმებას ძალა არა აქვს.

5.2. კონტრაქტის პირობებთან დაკავშირებული და მასში გაუთვალისწინებელი პირობების გადაწყვეტა შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ხდება საქართველოს კანონმდებლობის და სფფ-ს მოთხოვნების შესაბამისად.

### 6. კონტრაქტის მოქმედების ვადა

6.1. კონტრაქტი ძალაშია მისი ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების საბოლოო შესრულებამდე.

6.2. კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის უფლება აქვს ორივე მხარეს, რის შესახებაც „კლუბი" წერილობით აცნობებს მეორე მხარეს „მოთამაშეს" მისი თარიღის დადგომამდე ერთი თვით ადრე, ხოლო „მოთამაშე" აღნიშნულის შესახებ „კლუბს" წერილობით აცნობებს მისი თარიღის დადგომამდე ორი თვით ადრე.

6.3. „კლუბი" იტოვებს უპირატეს უფლებას გააგრძელოს „მოთამაშესთან" გაფორმებული კონტრაქტი თუ „კლუბი" გადაუხდის „მოთამაშეს" მისთვის (მოთამაშისათვის) სხვა კლუბის მიერ შემოთავაზებული სატრანსფერო თანხას გაყოფილს „მოთამაშის" ასაკობრივ კოეფიციენტზე და „მოთამაშეს" უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ასეთი პირობით კონტრაქტის გაგრძელებაზე.

6.4. კონტრაქტი შედგენილია სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა.

მხარეები გაეცნენ კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა პირობას, ეთანხმებიან მას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

„კლუბის" სახელით — „მოთამაშის" სახელით [illegible]

მხარეების იურიდიული მისამართები

შპს საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი" ქ. თბილისი [illegible] 2

[illegible]

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე
17 ტური
მიმოხილვა

# ცემა-ტყეპა ზუგდიდურად

**ზუგდიდი**
28 ნოემბერი
15.05 საათი
ცენტრალური
800 (ტევადობა 7 500)

**ზუგდიდი 1:1 შუქურა**

შეწყდა 90-ე წუთზე
1:0 თორია (70), 1:1 ბერიძე (89)
ზუგდიდი: ნაცვლია, ლურწკაია (დიდიძე 46), ქითანავა, გედენიძე, ქურლულია, ონიანი, დანელია (გამსახურდია 62), გოგიტიძე, ყოლბაია, კუტალია, თორია
სათადარიგონი: მ. კვარაცხელია; ბულია, ლ. ბუკია
შუქურა: გოგუა, გვეტაძე, ოქრობირიძე, ქუტიძე, კორტოკოვი (ჩახუნაშვილი 49), ბერიძე, მ. ფუტკარაძე, ბაღუნაშვილი, კალანდაძე, კაკალაძე, ყალიჩავა
სათადარიგონი: გაბუნია; კვირკველია, ლომთათიძე, ქათამაძე, გორჯელაძე, ბოლქვაძე
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**თენგიზ ძოწუა ზუგდიდიდან**

**საქართველოს** ჩემპიონატის მჩვიდმეტე ტურში „ზუგდიდი" „შუქურას" მასპინძლობდა. ეს შეხვედრა ორივე გუნდისათვის პრინციპული იყო და სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა შეეძლო. აქედან გამომდინარე, მატჩი საინტერესო უნდა გამომდგარიყო, მაგრამ...

სჯობს ბოლოდან დავიწყოთ.

მიმდინარეობდა თამაშის 90-ე წუთი (უფრო სწორად მსაჯის მიერ დამატებული მეორე წუთი), როცა მასპინძლებს ქობულეთელთა ერთ-ერთი კონტრშეტევა გამოეპარათ და საკუთარ კარში გოლი გაუშვეს. ამ მომენტისთვის ანგარიში 1:0 იყო ზუგდიდელთა სასარგებლოდ და ანგარიშის გათანაბრება არაფრით არ აძლევდათ ხელს. შეტევა კი გამოვიდა ლამაზი, მაგრამ აღწერა არ ღირს, რადგან ამის შემდეგ მოვლენები უფრო საინტერესოდ განვითარდა.

გოლი როგორ გავიდაო და... ჯერ შეხვედრის თანამსაჯს მისცვივდნენ სათამაშო მოედნს გარეთ მყოფნი და ალამი კინალამ თავზე გადაატეხეს, თამაშგარე მდგომარეობა რატომ არ დააფიქსირეო, შემდეგ მოედანზეც შეცვივდნენ და არბიტრ ალექსანდრე მეშკოვს იმდენი უთაქეს, მგონი, საწყალს შარშან ხობში მომხდარი დაავიწყეს.

მსაჯების გასახდელში შეყვანა გაძნელდა, ხალხი გზაში ელობებოდა, ზოგი ურტყამდა, ზოგიც რაღაც-რაღაცეებს ესროდა, აგინებდა...

ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას, არც ერთი ზუგდიდელი ფეხბურთელი არ ჩართულა ჩხუბში, ის კი არა, ზოგიერთი მათგანი მეშკოვის სასარგებლოდ რომ არ გარჯილიყო, იქნებ, უფრო სავალალო შედეგი მიგველო, შეძლებდნენ თუ არა მსაჯები გასახდელამდე მისვლას, ძნელი სათქმელია.



ალექსანდრე მეშკოვი

ძალიან აქტიურობდა კლუბის ხელმძღვანელობა, რომელიც მსაჯის მთავარ დანაშაულად მის მიერ 83-ე წუთზე სტუმართა კარში არდანიშნულ პენალტს მიიჩნევდა. მაშინ კუტალია გავიდა მეკარესთან პირისპირ და მცველმა უკნიდან წააქცია ტანმორჩილი თავდამსხმელი. მერე იყო და თამაშს დრო იმდენი დაამატა, სანამ ქობულეთელებმა არ გაიტანეს, არ მოისვენაო...

გასახდელში „ზუგდიდის" მეპატრონემ ბეჟან გუნავამ მსაჯებს და ფედერაციის ინსპექტორს კატეგორიულად მოსთხოვა თამაშის გაგრძელება, რაზეც უარი მიიღო. მაშინ გუნავა საშეჯიბრო კომიტეტის მთავარ ინსტრუქტორს ნოდარ კაკულიას დაუკავშირდა — თუ თამაში არ გაგრძელდება, მსაჯების უსაფრთხოებაზე პასუხს არ ვაგებო.

თბილისიდან რა უთხრეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტი ერთია, მსაჯებმა თამაში არ განაახლეს.

შავოსნები სტადიონიდან პოლიციის დახმარებით გაიყვანეს და იქვე პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, რომ მერე უსაფრთხოდ გაემგზავრებინათ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით არ შეიძლება, არ გაგახსენდეს სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ნათქვამი გოგი დემეტრაძის სიტყვები, ყოველთვის ერთი და იგივე მსაჯები როგორ ეხვევიან შარში, ალბათ, მართლა საცემები არიანო...

იქნებ დამნაშავენი მართლა არიან, მაგრამ ცემა-ტყეპა რა საკადრისია.

**პირველი მაისი**
28 ნოემბერი
15.12 საათი
სოფლის სტადიონი
200

**ოკეანე 2:0 სამგურალი**

1:0 კრავეიშვილი (10), 2:0 ფხაკაძე (13)
ოკეანე: ქავასელი, თოდაძე, მაღლაკელიძე, ს. გოგია, ლორთქიფანიძე, ცომაია, კრავეიშვილი, ფხაკაძე, მალალურაძე (მ. ფუტკარაძე 88), ზ. ჯიქიძე, მესიაჩენკო
სათადარიგონი: თავაძე; ჯულაყიძე, კაცაძე
სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, ქელიძე, თირქია, ჯინჭარაძე, ლონლაძე, ფხაკაძე (დ. ჯიქია 46), დარსაძე (გოლეთიანი 60), ბაბუნაშვილი, კუკვაძე (მაჭარაძე 63), ქუთათელაძე
სათადარიგონი: გიორგაძე; ქობულაძე, ლვინჯილია
გაფრთხილება: ზ. ჯიქიძე (46), გოგია (67), ფხაკაძე (69), დარსაძე (58)
გაძევება: ზ. ჯიქიძე (70)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ს. ბეციაური (დუშეთი), ა. ნონიკაშვილი; ა. შილაკაძე (ორივე თბილისი)

**გორი**
28 ნოემბერი
14.50 საათი
ძარბი
500 (ტევადობა 2 000)

**ცხინვალი 0:0 მეტალურგი**

მარლიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (66)
ცხინვალი: ქესანაშვილი, არუთინიანი, რ. ხაჭაპურიძე, ტყემალაძე, ვაჩლავაშვილი, მურადელი, ბოჭორაძე, მარგიევი, მარლიშვილი, ნასყაშვილი, გვირჯიშვილი
სათადარიგონი: დ. მაისურაძე; მოსიაშვილი, კობაური, წიქარიძე, ზ. მაისურაძე, ჩაჩიბაია
მეტალურგი: ოდიკაძე, ორმოცაძე, მერებაშვილი, გურეშიძე, ბაქრაძე, აბაზაძე, კაციაშვილი, აჭარაძე, მოდებაძე, გ. გვაზავა, ფირცხალეიშვილი
სათადარიგონი: ნიქაბერიძე; ფანცხავა, მემარნიშვილი, მახათაძე, ლურსმანაშვილი
გაფრთხილება: გურეშიძე (65), ვაჩლავაშვილი (82)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი)

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 13 - გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| ქუთათელაძე | სამგურალი |
| 11 - ბოჭორაძე | ცხინვალი |
| გ. გვაზავა | მეტალურგი |
| 9 - ტოკლიკიშვილი | მილანი |

**ხაშური**
28 ნოემბერი
15 საათი
ზრიზოლ ჯობართიძე
800 (ტევადობა 8 000)

**ივერია 1:0 თორი**

1:0 ჯაფარაშვილი (21)
ივერია: ბალიანი, ხაჩიძე, მელაძე, ულუმბელაშვილი, ნეკრაშვილი, გოგალაძე (ნ. ჩალაძე 87), ჯუბაძე, ვლასოვი, მინაძე, ჯაფარაშვილი, თ. ხაჩიძე
სათადარიგონი: ხვედელიძე, პავლიაშვილი, ბლიაძე, დ. ხაჩიძე
თორი: ა. ლაბაძე, ლეკიშვილი, მ. ლომიძე, კობიქაშვილი, სეფერთელაძე, გ. ლომიძე (ზარანდია 46), ვარდიაშვილი, ჯანაშია, წიქარიშვილი, ვ. ფირცხალავა, თალაკვაძე
სათადარიგონი: სულავა; გლურჩაძე
გაფრთხილება: ლაბაძე (28), ლეკიშვილი (75)
მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ქიათურა); ზ. ანიაშვილი (გორი)

**ხობი**
28 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 12 000)

**ხობი 2:0 თბილისი**

1:0 ფიფია (10), 2:0 ქაშიბაძე (69)
ხობი: შ. გოგია, ჯამბურია, ი. ჯაბუა, ლ. ჯაბუა, ფიფია, ხურცილავა (გეგია 89), ვართაგავა, ქაშიბაძე (ბერაია 85), ა. ჯიქია, ჭიჭინაძე, აბაკელია
სათადარიგონი: რ. თოლორდავა; ხორავა, ჭეჟია
თბილისი: კუპატაძე, გ. ჩალაძე, მახარაძე, სტურუა, სახურია, პ. ფირცხალავა, გუშარაშვილი (ლ. კაპანაძე 31), ქუხილავა, გოგმაჩაძე, ლუჟაშვილი (მანაგაძე 46), მანჭარაული
გაფრთხილება: ჯიქია (12), ი. ჯაბუა (18), მახარაძე (29), აბაკელია (62), სტურუა (65)
გაძევება: მანჭარაული (65)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. რაზმაძე (გორი), ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

**ძველი ანაგა**
28 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 3 000)

**მილანი 2:1 გურია**

1:0 ჭყონია (30პ), 2:0 გოძიაშვილი (63), 2:1 სულაკაძე (88)
მილანი: გ. სომხიშვილი, ტარუაშვილი, კ. მელქაძე, კობაიძე, თელიაშვილი, დ. კაპანაძე (ზედელევი 43), ლუდუშაური, ჭყონია, ინასარიძე (სოსელია 75), გოძიაშვილი (მავშიშვილი 63), ტოკლიკიშვილი
სათადარიგონი: გ. ჩიტაური, მ. სომხიშვილი, მეტონიძე, კუკვაძე
გურია: მერკვილიშვილი, ვოსკანოვი (გ. სამხარაძე 67), ორბელაძე, ჯღარკავა (ძნელაძე 77), სულაკაძე, განევი, კორკოტაძე, ჩხეტია, ენდელაძე, ფაცურია, ლორია (მინაშვილი 73)
გაფრთხილება: ფაცურია (83), ლუდუშაური (87), ჭყონია (90)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, კ. თბილელი, ო. ხეცაძე (ყველა თბილისი); ვ. ელოევი (ცხინვალი)

# ზოგან ადრე, ზოგან გვიან

**2000 წლის** ბოლო ტური პირველ ლიგაში სისხლიანი, შფოთიანი და სკანდალური გამოდგა. დროშის ტარით თუ ხელ-ფეხით ნაცემი მსაჯები, ჩაშლილი მატჩი, 16 გაფრთხილებული და ორი გაძევებული ფეხბურთელი — ასეთია ამ ტურის მოკლე დახასიათება. სასიკეთო მხოლოდ ის არის, რომ ერთიორად დაიძაბა სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ რაც „ზუგდიდი" — „შუქურას" მატჩის ბოლოს მოხდა, ეს ერთობ არასასურველია.

მართლაც იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული ალექსანდრე მეშკოვი. სათვალავიც კი აირია, რამდენჯერ გადაურჩა თბილისელი არბიტრი მოედანზე სიკვდილს. საკითხავია, გვინდა კი ისეთი ფეხბურთი, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის?

„ზუგდიდი" — „შუქურას" მატჩის ბოლოს მომხდარი ინციდენტის შემდეგ სასწაულებრივად გადარჩენილ მსაჯ ალექსანდრე მეშკოვს „ლოკომოტივი" — „სიონის" მატჩისას შევხვდით ეროვნულ სტადიონზე. მეშკოვს ცემის კვალი სახეზე არ ეტყობოდა, ერთი ეგ იყო, მძიმედ მოძრაობდა, კისერს ვერ ატრიალებდა და ლაპარაკიც უჭირდა. მისი ნაუბარი, ბუნებრივია, მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული:

— მატჩი მეტად კორექტული გამოდგა, არც ერთი ფეხბურთელი არ გამიფრთხილებია, უხეშობაც არ ყოფილა, ფეხბურთელები იბრძოდნენ, მაგრამ ზედმეტი არაფერი წამოსცდენიათ არც მსაჯის, არც ერთმანეთის მიმართ. ერთი ეგ იყო, მასპინძლები 83-ე წუთზე უსაფუძვლო პენალტს ითხოვდნენ. მოკლედ, „ზუგდიდს" გამარჯვებისკენ მიჰყავდა მატჩი, დრო იწურებოდა, სათადარიგო არბიტრს ვანიშნე, რომ ორ წუთს ვამატებდი. ამ დროს ქობულეთელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ანგარიში გაათანაბრეს. მონასტერიც ამის შემდეგ აირია. მოედანზე შემოვარდა „ზუგდიდის" პრეზიდენტი გელა ბუკია. ჯერ თანამსაჯ ზაზა მენთეშაშვილს მიეჭრა, ალამი გამოსტაცა და იმით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, შემდეგ კი ჩემსკენ დაიძრა. მირტყამდა ხელსა და ფეხს, ვერაფერი მოვუხერხე. ამის შემხედვარე ხალხი გადმოვიდა ტრიბუნიდან და ჩემსკენ გამოემართა. თავის გადარჩენა ვცადე, როგორღაც მოვახერხე გაქცევა, დანარჩენებმაც თავს უშველეს და მსაჯები გასახდელში შევიკეტეთ, სადაც 4 საათს მოგვიხდა ყოფნა, ვიდრე გააფრთებულმა ბრბომ სტადიონი არ დატოვა, ცხვირი ვერ გამოვყავით გარეთ. ცოდვას ვერ ვიტყვი ფეხბურთელებზე, პირიქით ზუგდიდელები ჩვენს დაცვას და მომხვდურთა დაშოშმინებას ცდილობდნენ. ყველაფრის მოთავე კი გელა ბუკია იყო, ის რომ არა, არაფერი მოხდებოდა. პრეზიდენტი რომ ამას გააკეთებს, სხვას რა უნდა მოსთხოვო — თქვა მეშკომვა.

სკანდალური მატჩის შედეგი, ბუნებრივია, გაუქმდა, შეხვედრა ჩაიშალა. მომხდარს სადისციპლინო კომიტეტის უახლოესი სხდომა გაარჩევს და დამნაშავე უეჭველად დაისჯება. ალბათ, სამწუხაროდ, ამ ინციდენტს „ზუგდიდიც" გადაჰყვება, არადა, ფეხბურთელებს ბრალი არაფერში მიუძღვით. ერთის შეცდომას შესაძლოა სავალალო შედეგი მოჰყვეს — ბევრის აზრით, ეს ინციდენტი ფეხბურთს მოკლავს ზუგდიდში.

ხუთი ფეხბურთელი გააფრთხილა და ერთი გააძევა „ხობი" — „თბილისის" არბიტრმა ავთანდილ ორდინიძემ. ამ ორ გუნდს სხვებთან შედარებით ნაკლები მოტივაცია კი ჰქონდა (სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით), მაგრამ ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს ერთმანეთს. ხშირ-ხშირი კამათი, კინკლაობა და უხეშობა ბოლოს დედის გინებით დაგვირგვინდა. თბილისელმა იოსებ მანჭარაულმა მსაჯი გამოლანძღა და ორდინიძისგან წითელი ბარათიც იხილა. ანგარიში კი მეათე წუთზე აბესალომ ფიფიამ გახსნა. ხობელთა უპირატესობა ამის მერეც არ განელებულა, მაგრამ პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა. მეორე ნახევარში კი მასპინძელთა გამუდმებულმა შეტევებმა ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა და რევაზ ქაშიბაძემ ცხადი გახადა გამარჯვებულის ვინაობა. ამ მატჩში აღებული სამი ქულა ხობელებს უთუოდ წაადგებათ სამეორეეტაპოდ პირველ ლიგაში დასარჩენად ბრძოლაში.

თორმეტი წუთის დაგვიანებით დაიწყო მატჩი სამტრედიის რაიონის სოფელ პირველ მაისში. ორასიოდე მაყურებლის თვალწინ „სამგურალმა" სირცხვილი ჭამა და მშრალად დამარცხებულმა დატოვა მოედანი. მატჩის დაწყების დაგვიანების მიზეზი კი სასწრაფო დახმარების მანქანა იყო. ქალაქიდან სოფლად ჩასვლას გარკვეული დრო სჭირდება და კიდევ დროზე მიუსწრიათ სამტრედიელ ექიმებს.

„სამგურალი" შოკში ჩავარდა მეცამეტე წუთისთვის. ასეთ დასაწყისს ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. ევგენი დოლიძის შეგირდებმა სტუმრებს სამწუთიან მონაკვეთში ერთბაშად ორი გოლი გაუტანეს. ჯერ ზვიად კრავეიშვილმა გამოიჩინა თავი, შემდეგ კი მეტოქე მცველების უყურადღებობით ოთარ ფხაკაძემ ისარგებლა.

ამ შეხვედრის არბიტრმა პაატა დოგრაშვილმა ხუთჯერ გაიკრა ჯიბეზე ხელი. „სამგურალს" კი ვერც ზაზა ჯიქიძის გაძევებამ უშველა — ათ მოწინააღმდეგესთანაც ვერაფერი გააწყვეს წყალტუბოელებმა, თუმც ბედის სამდურავი მაინც არ ეთქმით, რადგან მეექვსე ადგილზე ჩაამთავრეს წლევანდელი გათამაშება. მომავალ წელს დარჩენილ 5 შეხვედრაში თუ ამ ადგილის შენარჩუნება შეძლეს, მეორე ეტაპიდან უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლის საშუალებაც ექნებათ. „ოკეანეს" კი პრაქტიკულად დაკარგული აქვს საამისო შანსი.

ურთიერთშეთანხმების თანახმად, ათი წუთით ადრე დაიწყეს გუნდებმა თამაში. „ცხინვალი" — „მეტალურგის" შეხვედრას დაძაბულობა არ მოჰკლებია და ლოგიკურადაც დამთავრდა. მასპინძლებს გამარჯვება კი შეეძლოთ, მაგრამ მარლიშვილმა 66-ე წუთზე პენალტი გააცუდა. „მეტალურგი" წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდა, რადგან ტოლი არაფერში დაუდო მეტოქეს. ისე, ფაქტობრივად, ორივე გუნდს თავი ქუდში აქვს და მეორე ეტაპიდან ალბათ მოწინავე ექვსეულში ვიხილავთ.

გარკვეულწილად მოულოდნელად დასრულდა ხაშურში „ივერიას" და „თორის" შეხვედრა. წარმატების შემთხვევაში სტუმრებს მეშვიდე ადგილზე ანაცვლების და კონკურენტების დაწევის ჩინებული შანსი ჰქონდათ, მაგრამ საამისოდ ერთობ უხეიროდ გაისარჯნენ და სამი ქულაც მეტოქეს ჩააბარეს. თუმც ისიც სათქმელია, რომ „თორი" ერთობ წარუმატებლად თამაშობს გასვლით შეხვედრებს.

გამარჯვების გოლი მასპინძლებმა პირველ ტაიმშივე გაიტანეს. ხაშურელები ვახტანგ ჯაფარაშვილმა გაახარა. მან სეზონში მეოთხე გამარჯვება მოუპოვა თავის გუნდს.

ტურის ცენტრალური მატჩი ძველ ანაგაში გაიმართა. „მილანმა" „გურიას" უმასპინძლა და პირველადგილოსანი სტუმრები შინ ხელცარიელი გააბრუნა.

თეიმურაზ ლორთქიფანიძის შეგირდები 30-ე წუთზე ვლადიმერ ჭყონიამ დააწინაურა პენალტით. მეორე ნახევარში გოჩა გოძიაშვილმა თავისი გუნდის მონაგარს ერთიც შემატა და დაცვაში ჩამჯდარ „მილანს" სასურველი შედეგის შენარჩუნება აღარ გაჭირვებია, თუმც შეხვედრის ბოლოს მაინც ანერვიულა ქომაგი — გოჩა სულაკაძის ნაგვიანევი საპასუხო გოლის შემდეგ სტუმრებს რამდენიმე წუთი კიდევ რჩებოდათ ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ კახელებს მეტი შეცდომა აღარ დაუშვიათ და ამ მოგებით მეორე საფეხურზე ამოჩნდნენ. „გურია" კი, წაგების მიუხედავად, პირველ ადგილზეა და შესაბამისად უმაღლეს ლიგაში აღზევების ყველაზე მეტი შანსი აქვს.

**ბაატა ძგანტალიანი**

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 გურია | 17 | 10 | 4 | 3 | 25:20 | 5 | 34 | 8 | 7 | 1 | 0 | 17:6 | 11 | 22 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:14 | -6 | 12 |
| 2 მილანი | 17 | 10 | 3 | 4 | 25:13 | 12 | 33 | 9 | 9 | 0 | 0 | 20:3 | 17 | 27 | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | -5 | 6 |
| 3 ცხინვალი | 17 | 10 | 2 | 5 | 40:19 | 21 | 32 | 9 | 8 | 1 | 0 | 31:5 | 26 | 25 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:14 | -5 | 7 |
| 4 მეტალურგი | 17 | 8 | 6 | 3 | 26:15 | 11 | 30 | 8 | 7 | 1 | 0 | 20:4 | 16 | 22 | 9 | 1 | 5 | 3 | 6:11 | -5 | 8 |
| 5 შუქურა | 16 | 8 | 3 | 5 | 20:14 | 6 | 27 | 8 | 6 | 2 | 0 | 14:1 | 13 | 20 | 8 | 2 | 1 | 5 | 6:13 | -7 | 7 |
| 6 სამგურალი | 17 | 8 | 3 | 6 | 28:17 | 11 | 27 | 8 | 7 | 1 | 0 | 24:7 | 17 | 22 | 9 | 1 | 2 | 6 | 4:10 | -6 | 5 |
| 7 ზუგდიდი | 16 | 7 | 3 | 6 | 26:26 | 0 | 24 | 8 | 6 | 2 | 0 | 18:7 | 11 | 20 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:19 | -11 | 4 |
| 8 თორი | 17 | 7 | 2 | 8 | 16:15 | 1 | 23 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:6 | 6 | 16 | 9 | 2 | 1 | 6 | 4:9 | -5 | 7 |
| 9 ხობი | 17 | 4 | 5 | 8 | 11:20 | -9 | 17 | 9 | 3 | 5 | 1 | 5:2 | 3 | 14 | 8 | 1 | 0 | 7 | 6:18 | -12 | 3 |
| 10 ივერია | 17 | 4 | 3 | 10 | 11:28 | -17 | 15 | 9 | 4 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 15 | 8 | 0 | 0 | 8 | 3:21 | -18 | 0 |
| 11 ოკეანე | 17 | 3 | 3 | 11 | 15:33 | -18 | 12 | 9 | 3 | 2 | 4 | 8:11 | -3 | 11 | 8 | 0 | 1 | 7 | 7:22 | -15 | 1 |
| 12 თბილისი | 17 | 3 | 1 | 13 | 7:30 | -23 | 10 | 8 | 3 | 0 | 5 | 6:8 | -2 | 9 | 9 | 0 | 1 | 8 | 1:22 | -21 | 1 |

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე წრე

16 ტური

# ფილიამ იცოდა

**გვიშოვია** ფული ჟურნალისტებს... მალე, სულ რამდენიმე დღეც გვაცალეთ, ერთ-ორ ტრანსფერს გავჩარხავთ, ორიოდ მილიონს მოვაჭუჩებთ, მერე ავტოკალამს კედელზე ჩამოვკიდებთ და თქვენც დაისვენებთ და ჩვენც.

ნათქვამია, გალმა შეედავე, გამოლმა შეგრჩებაო. ეს ხერხი საქართველოში ბევრგან და ბევრჯერ გამოუყენებიათ, მაგრამ ხშირადაც ბუმერანგივით დაბრუნებია ბევრს.

ერთი-ორი რამდენიმე მილიონიანი კონტრაქტის გაბლანდვა სულზე მოასწრებდა თითოეული ჩვენგანის ოხჯახს, მაგრამ ამის შნო და მარიფათი ღმერთს არ მოუცია და...

ზოგს შნოც აქვს და მარიფათიც, არა აქვს შესაბამისი ლიცენზია, მაგრამ უცხოური ტრანსფერების (არცთუ სოლიდურის) მოკვარახჭინება მაინც ეხერხება. ჰოდა, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და ყველას თავისი სიმართლე შეეწიოს.

ისე, შემოთავაზებული იდეა, უცხოური (იყოს შინაურიც) ტრანსფერების შესახებ ნამდვილად არ არის ურიგო. გამოდის ჩვენს ჭირ-ვარამზეც ვიღაც ფიქრობს. როცა რამეს მოვახლაფორთებთ, „მაღარიჩი“ ჩვენზე იყოს.

... მაგრამ, სანამ მილიონები არ გვიშოვია და არდადეგებამდე ერთი ტური კიდევ დარჩა, საქმეს შუა გზაზე ვერ მივატოვებთ და ტურის ტრადიციულ მიმოხილვას შემოგთავაზებთ.

ვერ ივარგა ბოლომდე ჩვენეულმა პროგნოზებმა. სამი შედეგილა გამოვიცანით, დაზღვევაც დაგვავიწყდა და... არა, არაფერი წაგვიგია, მოგებით, კი მთავარია, ქართულმა ფეხბურთმა მოიგოს.

მეთექვსმეტე ტურში პირველი საგარეო მარცხი იწვნია „ტორპედომ“. დაიწყო „კოლხეთმა“... შინ პირველი ბობოლა წააქცია და დანარჩენებსაც უარესს ჰპირდება. ბათუმელებს საკუთარი კარი მეტოქისაში აერიათ, სულ ხუთი გოლი გაიტანეს, ორი გაუშვეს და მაინც დარჩნენ წაგებულები. „დინამო“ მეორე საფეხურზე ავიდა, შანსი ეძლევა პირველი გახდეს. „ლოკომოტივმა“ კინკილა გოლით პირველობა შეინარჩუნა. „მერანმა“ ექვსეულში გააღწია და იქ აპირებს დაფუძნებას. გორში თსუ-ს მეკარემ შემგინებელთან ანგარიშსწორება გადაწყვიტა და ტრიბუნაზე აიჭრა. „ვიტ ჯორჯიამ“, ახალი მწვრთნელის თავკაცობით საცოდავი „იბერია“ დიანდო და არც დაინდო.

რას ერჩით, საინტერესო კი ყოფილა მეთექვსმეტე ტური. ფეხბურთი, აყალმაყალი, ბრალდებები, ჭკუის დარიგება და ლექცია თემებზე — როგორ ვშოულობთ ჟურნალისტები ფულს და როგორ ვივაჭროთ საკომეურნეო ბაზარში.

მესამე საფეხურზე ჩაქვეითდა „ტორპედო“. ჩავარდნა გრძელდება და არც დასასრული უჩანს უიღბლობას. საგოლე მომენტიც ვერ შექმნეს ფოთში ქუთაისელებმა, კარში ვერ დაურტყეს მეტოქეს.

ძალიან მომზადებულა კოლხთა თავკაცი სოსო ფილია. დიდხანს უფიქრია, თანაშემწეებიც გვარიანად შეუფუცხენებია და ბოლოს „ტორპედო“ — „ლოკომოტივის“ თამაშზე ვიდეოოპერატორიც უფრენია. ისიც გაითვალისწინა ფილიამ, სასტარტოში კვეტენაძე რომ არ იქნებოდა. კიდევ რალაცეები ზედმიწევნით გათვალეს ფოთელებმა და მოიგეს კიდეც. საგოლე ახალკაც — კვირკველიას კომბინაცია გამოვიდა. მასპინძელთა ახალგაზრდა ნახევარმცველმა შეუჩერებლად, ძლიერად და ზუსტად დაარტყა ზოიძის კარში.

რამდენჯერმე ვერ ივარგეს ფოთელებმა, ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს, თუმცა გემრიელ სამ ქულას ეს არ შესტყობია.

„ძალიან სუსტად ვითამაშეთ, ასე გაგრძელება არ შეიძლება“ — თქვა გელა კიკალეიშვილმა. რაღაც რომ შესაცვლელია ფაქტია და ისიც ცხადია, „ტორპედოს“ ჩავარდნა გაუჭიანურდა, მაგრამ საკითხავია, რამ გამოიწვია დროებითი რეგრესი და როგორ აპირებს კლუბის თუ გუნდის ხელმძღვანელობა მის შეჩერებას. პასუხი ჯერ უცნობია და შესვენებამაც დროზე მოუსწრო რიონისპირელებს.

„ბათუმს“ დაემართა საკვირველი ამბავი, უფრო სწორედ, მის ფეხბურთელებს აერიათ დავთარი. ორმა ავტოგოლმა წაახდინა საქმე, თორემ...

ფეხბურთში ყველაფერი ხდება და საკუთარ კარში გატანილი გოლებიც არც თუ იშვიათია, მით უმეტეს, მასპინძელმა პაპიძემ თავისი შეცდომა გამოასწორა, მანამდე გუნდმა შეძლო მისი ავტოგოლის გაქვითვა, მაგრამ „ბათუმს“ მოღონიერება გადელიამ არ აცალა, „დინამოსთვის“ ისევ საკვანძო გოლი გაიტანა, უკვე ზედიზედ მერამდენედ არც ვიცით, სათვალავი აგვერია.

მერე ისევ ავტოგოლი. ამჯერად სიხარულიძემ შესცოდა და, ალბათ, მატჩის ბედიც მაშინ გადაწყდა. თამაშს თამაშზე იგებენ დინამოელები.

ათგზის ჩემპიონმა წააქცია „ვიტ ჯორჯია“, გაუსწორდა „ბათუმს“, ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა, „ტორპედოც“ დაამარცხა. ახლა „ლოკომოტივს“ მასპინძლობს, საჩემპიონოდ შემართულ „ლოკომოტივს“.

„ბათუმმა“ ძალიან გაირთულა საქმე. მეორე წრის ბოლომდე 6 მატჩია დარჩენილი, აქედან ხუთი პრინციპული, მხოლოდ „იბერიასთან“ შეხვედრაში შეიძლება თამამად სამი ქულის დაგეგმვა. ამჟამად კი ერთი საფეხურით ჩაქვეითდა „ბათუმი“ და მეშვიდეა.

„ლოკომოტივმა“ კახა გოგიჩაიშვილის ძალისხმევით და მამუკა რუსიას კვიმატი დარტყმით მოახერხა „სიონის“ დამარცხება. ულიმღამო თამაში იყო, უინტერესო.

სამაგიეროდ, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციას არ მოჰკლებია დაძაბულობა და ვნებათა ღელვა. მოგვდგა და მოგვდგა რევაზ ძოძუაშვილი, სულ უსინდისო, უზნეო და ნაძირალა ხალხი გვიძახა. პატივცემული მწვრთნელის არც ერთ სიტყვას, ჩვენს მისამართით წამოსროლილს, არ ვლებულობთ, არც ძოძუაშვილი დაგვიდანაშაულებია ხიზანიშვილის ტრანსფერის ჩაშლაში. უბრალოდ, გვაინტერესებს, ვინ და რამ დააბრკოლა ფეხბურთელი და არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ საფეხბურთო საქართველოს, რადგან „არსენალში“ გადასვლის პერსპექტივა ყოველთვიურად როდი უჩნდებათ ჩვენებურ მოთამაშეებს.

ვიღაცამ და რაღაცამ ხომ ჩაშალა თითქმის გაჩარხული ტრანსფერი, ჰოდა, ვთქვათ სიმართლე და პირველ რიგში ზურაბიც დავასვენოთ, დაიღალა ბიჭი ამდენი დავიდარაბით, დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი უმძიმებს ზურგს.

იმედია, ყველაფერი დალაგდება, ჩატეხილი ხიდიც გამთელდება და ზურაბ ხიზანიშვილიც თავის გზას გაიკვლევს.

„მერანმა“ რუსთავულ „გორდას“ მოუგო, ხოლო სტუმარ ბუკიას ძვირი დაუჯდა ერთი ხუმრობა. ანიაშვილს ჰკადრა, ისევ მთვრალი ხომ არ ხარო, ჰკადრა და, გუშინწინ ტაიმნახევარი დაისვენა, კიდევ მოუწევს, ოღონდ რამდენი ხნით ამას სადისციპლინო კომიტეტი გაარჩევს.

იასონ ალადაშვილმა მსაჯს უსაყვედურა, წითელი არ უნდა ამოგეღოო, იქნებ სჯობდა მწვრთნელს თავისი მოთამაშე დაეტუქსა და ჭკუა დაერიგებინა. საფეხბურთო მინდორი ბირჟა სულაც არაა და შაყირი თუ ხუმრობაც სხვაგან უფრო მისაღებია.

გორში „დილამ“ იმდენი საგოლე მომენტი აცუდა, რომ სამ თამაშსაც ეყოფოდა. თსუ-მ კინაღამ ძვირად დაუსვა მასპინძელს, მაგრამ...

აგინეს სტუმართა მეკარეს, ოღონდ არა „დილას“ ერთგულმა ქომაგებმა, არამედ იმათ, ვინც „ცენტრალურზე“ ამას სისტემატიურად სჩადის. ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ, თოთხმეტ-თხუთმეტი წლისანი.

მათკენ გამოქცეული მეკარე რომ ნახეს, თავს უშველეს, გაერიდნენ, პოლიციამაც იყოჩაღა და მშვიდობამაც დაისადგურა. ფეხბურთელებმა თამაშის შემდეგ ერთმანეთი გადაკოცნეს, მასპინძელმა სტუმარი გასახდელში შეაცილა, აღელვებული მეკარეც დამშვიდდა და მალე ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. გინება კი ერთხელაც სიკეთეს არ მოიტანს. ანაც რა საკადრისია, კაცს შორიდან აგინო, მერე კი გაიქცე.

გუგუნავას კი მეტ წინდახედულობას ვურჩევთ. სპორტსმენებს მსგავსი საქციელი არ შეშვენის და მიულებელია. გასაკვირიც იყო ისეთი წყნარი და პატიოსანი კაცისგან ამგვარი მოქმედება, თუმც ყველა ვერ გაუძლებს ათასგვარ, დაუსრულებელ გინებას და...

„ვიტ ჯორჯიამ“ პირველ ტაიმში ოთხი გაუტანა „იბერიას“, ორჯერ ამდენი არ გაიტანა და თამაშით ახალ მწვრთნელსაც მოაწონა თავი.

კარგი გუნდიაო, თქვა მახარაძემ. მეტოქეც შეიცოდა, შინ რომ თამაშობდეს, ბევრს გაამწარებდნენო.

სოსო ფრუიძემ, ლიგაში დარჩენის შანსიც არ გვაქვსო. მწვრთნელს მწარე სინამდვილე კლუბის პრეზიდენტისთვისაც მოუხსენებია.

გოლხვავრიელი გამოდგა მეთექვსმეტე ტური. ექვს მატჩში 21 გოლი ნამდვილად არ გახლავთ ურიგო. „დინამომ“ მოიგო სტუმრად, თორემ ხუთი თამაში მასპინძლისა იყო და არც ერთი ფრე არ ყოფილა.

**მამუკა ძგანტალიანი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინწინდელი „ლოკომოტივი“ — „სიონი“ 1:0. ბოლნისელი გურამ ძაპინძღაშვილი და ბახვა მოსეშვილი ლოკომოტიველი დავით ჭიჭველიშვილის შეჩერებას ცდილობენ



ოთხშაბათს ბაუმში: „ბათუმი“ — „დინამო“ 3:4. ბათუმელი გოჩა ყულეჯიშვილის და დინამოელი რევაზ ქემოკლიძის (№2) საჰაერო დუელი



ვიტელი ლაშა ნოზაძე (ზურგით) და იბერიელი შალვა ბიწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა · 12 ჩემპიონატი · მეორე წრე

# 16 ტური

სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 16 |
| მატჩი | 95 |
| გოლი | 229 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,41 |
| მასპინძელთა მოგება | 49 (51%) |
| ფრეები | 18 (20%) |
| სტუმართა მოგება | 28 (29%) |
| საერთო დასწრება | 152 300 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 603 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | XIII, XV: 12 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 96 | 16,00 |
| სტუმარი | 98 | 16,35 |
| სულ | 194 | 32,35 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 45 | 7,50 |
| სტუმარი | 10 | 1,65 |
| სულ | 55 | 9,15 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 41 | 6,85 |
| სტუმარი | 19 | 3,15 |
| სულ | 60 | 10,00 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 35 | 5,85 |
| სტუმარი | 14 | 2,35 |
| სულ | 49 | 8,20 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 17 | 2,85 |
| სტუმარი | 21 | 3,50 |
| სულ | 38 | 6,35 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 10 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 9 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 8 - იონანიძე | ტორპედო |
| გადელია | დინამო |
| 7 - გ. ვ. მიქაძე | დინამო |
| რუსია | ლოკომოტივი |
| წუწუნავა | თსუ |
| 6 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| აფხაზავა | ბათუმი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |

### ლოკომოტივი 1:0 სიონი

| | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 13 |
| 8 | კუთხური | 4 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 6 | კარში დარტყმა | 1 |
| 4 | თამაშგარე | 2 |

### კოლხეთი 1:0 ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 21 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 4 | კარში დარტყმა | 0 |
| 0 | თამაშგარე | 8 |

### ბათუმი 3:4 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 21 |
| 1 | კუთხური | 1 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 3 | კარში დარტყმა | 6 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

### ვიტ ჯორჯია 4:0 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 15 |
| 4 | კუთხური | 1 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 8 | კარში დარტყმა | 1 |
| 5 | თამაშგარე | 2 |

### მერანი 2:0 გორდა

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 19 |
| 14 | კუთხური | 0 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 5 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

### დილა 4:2 თსუ

| | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 19 |
| 14 | კუთხური | 2 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 9 | კარში დარტყმა | 4 |
| 2 | თამაშგარე | 5 |



„მერან" — „გორდას" არბიტრმა ზურაბ ანიაშვილმა (მარჯვნიდან მესამე) რუსთაველ ალექსანდრე ბუკიას წილისწამება და შაყირი გაძევებად დაუსვა



მერანელთა კაპიტანი იოსებ დევიძე რუსთაველ მცველებს, ლაშა სილაგაძეს (მარცხნივ) და ზურაბ ლაბაძეს შორის

---

თბილისი
29 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 70 900)

## ლოკომოტივი 1:0 სიონი

1:0 რუსია (62)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (გოჩნაროვი 46), რუსია (გილაური 70), გაგუა (ხუროძე 46)
სათადარიგონი: ასლანაძე, დავითაშვილი, ქელიძე, პარამონოვი
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი (მ. სამხარაძე 87), ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, სოლოღაშვილი, მ. გოგოლაძე (გამცემლიძე 74), ბარნოვი (კ. მეტრეველი 67), მოსეშვილი, ისიანი, წიწნიაძე
სათადარიგონი: დალაქიშვილი, დ. ჯაფარიძე, დიმიტრიშვილი
გაფრთხილება: ბარნოვი (35)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ფოთი
29 ნოემბერი
15 საათი
ფაზისი
1 500 (ტევადობა 6 500)

## კოლხეთი 1:0 ტორპედო

1:0 კვირკველია (41)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია (კვირკველია 18), ტორჩინავა, ქუთელია, მაღლაკელიძე, პაპავა, ე. გვასალია, ფანჩულიძე, ახალკაცი, გოგიაშვილი (კრასოვსკი 83), ლალანიძე (ქანთარიძე 83)
სათადარიგონი: ჩემია; გ. ჩიტაია, ხუჭუა, შავგულიძე
ტორპედო: ზოიძე, ახვლედიანი, შალამბერიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე (კ. კვეტენაძე 65), გაბიდაური, გუჩუა, ასათიანი, დ. ჯანაშია (მ. ბობოხიძე 65), იონანიძე, იმედაძე
სათადარიგონი: ქანთურია, თურმანიძე, თავბერიძე, შეყრილაძე, ძამსაშვილი
გაფრთხილება: ტორჩინავა (76), გუჩუა (80)
მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი, ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

ბათუმი
29 ნოემბერი
15 საათი
დინამო
8 000 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 3:4 დინამო

0:1 პაპიძე (20 ს.კ.), 1:1 მუჯირი (22), 1:2 გადელია (30), 1:3 სიხარულიძე (34 ს.კ.), 2:3 ყულეჯიშვილი (41), 2:4 მიქაძე (66), 3:4 პაპიძე (89)
ბათუმი: ბედიაშვილი, სიხარულიძე, მინდაძე, პაპიძე, მგავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი, დარჩიძე (ქაცარავა 77), ყულეჯიშვილი, აფხაზავა, ა. მუჯირი
სათადარიგონი: ჯაში; გველესიანი, თედორაძე, ფურცხვანიძე, სიამაშვილი
დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ზამთარაძე, ა. სახვაძე (კანდელაკი 35), ჯინჭარაძე, სიჭინავა, დათვაძე (მაზიაშვილი 57), გადელია, გ. ვ. მიქაძე (კ. გოგოლაძე 60)
სათადარიგონი: ბათიაშვილი; ბურდული, რუხაძე, თ. მაისურაძე
გაფრთხილება: მგავანაძე (24), ზამთარაძე (79)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი, პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

მცხეთა
29 ნოემბერი
15 საათი
„არმაზი"
500 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 4:0 იბერია

1:0 დილმელაშვილი (10), 2:0, 3:0 მელქაძე (14, 34), 4:0 ნოზაძე (42)
ვიტ ჯორჯია: სტურუა, ქანთოტაძე (ზვ. გვაზავა 67), ჯ. მუჯირი, საჯაია, კობიაშვილი, დილმელაშვილი, დეკანოსიძე (ვ. გოჩაშვილი 60), ყიფიანი, ლ. ნოზაძე (დ. დოლიძე 73), გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე
სათადარიგონი: ქურაძე; ინწკირველი, თავაძე, სულთანიშვილი
იბერია: ჩიმახიძე, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ხმალაძე, ონიანი (ჩიმაკაძე 60), ყურაშვილი, ზ. მეტრეველი (ქოლაძე 70), გიგიაძე, ბინაძე, მუმლაძე
სათადარიგო: ვარდანიძე
მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ჟრუმაძე (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); მ. მალალურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

თბილისი
29 ნოემბერი
15 საათი
სინათლე
500 (ტევადობა 3 000)

## მერანი 2:0 გორდა

1:0 გოდერძიშვილი (47), 2:0 ბაჯელიძე (63)
მერანი: დევაძე, ბაჯელიძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, კობქაშვილი, გ. კვეტენაძე (ივანიშვილი 87), დ. გოდერძიშვილი, როსტიაშვილი (სილაგავა 81), ქინქარაული (მუხინი 75), მინაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია; თოლორდავა, კაკუბავა, კოშკაძე
გორდა: ნიკურაძე, გაბელაია, ა. ბურნაძე, ზ. ლაბაძე, ბექაური, ბუკია, ლაშა სილაგაძე, მელაძე, კ. ალადაშვილი, მიშველიძე (იგემიანი 72), ჯელაძე
სათადარიგონი: გონგაძე; ბერიძე, კაპანაძე, მ. სახვაძე, კოტეიშვილი, მჭედლიძე
გაფრთხილება: კვეტენაძე (42), კობქაშვილი (60)
გაძევება: ბუკია (31)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. დოლიძე, ზ. ჯავარაძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

გორი
29 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 4:2 თსუ

0:1 წუწუნავა (36), 1:1 ხორგუაშვილი (42 პ), 2:1 ლომიძე (44), 3:1 ხმალაძე (59), 3:2 წუწუნავა (67), 4:2 ლომიძე (83)
დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, ციცქიშვილი (გაგნიძე 69), საყვარელიძე (მ. ბურნაძე 87), რევაზიშვილი, ეჯოშვილი, ხორგუაშვილი, ხმალაძე (ხოხობაშვილი 84)
სათადარიგონი: მდივანი; დ. მაისურაძე, ტულუში
თსუ: გუგუნავა (მამარდაშვილი 86), ხარებავა, ებრალიძე, არეშიძე, სვანაძე (მორჩილაძე 65), ახალაძე, მესხი, ერაძე, ადამია (ბ. ნოზაძე 60), წუწუნავა, რ. გოცირიძე
სათადარიგონი: ზვ. ლაბაძე, კვიციანი, ა. ბოკერია
გაფრთხილება: ლომიძე (40), სვანაძე (41), ახალაძე (67), გრიგალაშვილი (84), მესხი (89)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

## სიმბოლური ნაკრები

თემურ გადელია — დინამო
კახა წუწუნავა — თსუ
გელა ფანჩულიძე — კოლხეთი
ზაალ [illegible] — კოლხეთი
გიორგი დეკანოსიძე — ვიტ ჯორჯია
კახა გოგიჩაიშვილი — ლოკომოტივი
არჩილ სახვაძე — დინამო
ირაკლი მაღლაკელიძე — კოლხეთი
გიორგი ლომიძე — დილა
გიორგი ბალაშვილი — ლოკომოტივი
თეიმურაზ ვოლკოვი — სიონი

გუნდი: კოლხეთი
მწვრთნელი: სოსო ფილია

## უმაღლესი ლიგა

| № | გუნდები | სულ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლოკომოტივი | 16 | 13 | 1 | 2 | 31:7 | 24 | 40 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 8 | 6 | 1 | 1 | 12:4 | 8 | 19 |
| 2 | დინამო | 16 | 12 | 1 | 3 | 43:16 | 27 | 37 | 8 | 7 | 0 | 1 | 28:6 | 22 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 3 | ტორპედო | 16 | 11 | 3 | 2 | 23:6 | 17 | 36 | 8 | 5 | 2 | 1 | 10:4 | 6 | 17 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 16 | 9 | 4 | 3 | 25:11 | 14 | 31 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 8 | 3 | 4 | 1 | 14:9 | 5 | 13 |
| 5 | კოლხეთი | 16 | 7 | 3 | 6 | 15:14 | 1 | 24 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 8 | 2 | 1 | 5 | 7:10 | -3 | 7 |
| 6 | მერანი | 16 | 5 | 6 | 5 | 16:17 | -1 | 21 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:13 | -7 | 5 |
| 7 | ბათუმი | 16 | 6 | 2 | 8 | 21:23 | -2 | 20 | 8 | 5 | 0 | 3 | 16:11 | 5 | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 | სიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 12:23 | -11 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 0 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 | გორდა | 16 | 3 | 6 | 7 | 13:22 | -9 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 12 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 | დილა | 16 | 4 | 3 | 9 | 13:27 | -14 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 8 | 1 | 1 | 6 | 2:15 | -13 | 4 |
| 11 | თსუ | 16 | 4 | 2 | 10 | 17:31 | -14 | 14 | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | -7 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 | იბერია | 16 | 0 | 1 | 15 | 3:35 | -32 | 1 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 8 | 0 | 0 | 8 | 2:18 | -16 | 0 |

# დაუმს ნაკრებში იწვევენ



კრისტოფ დაუმი

**გერმანული** ფეხბურთიდან სკანდალით წასული ცნობილი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი, დიდი შანსია, უახლოეს მომავალში თავის საქმეს დაუბრუნდეს: ირანის ფეხბურთის ფედერაციამ დაუმს ამ ქვეყნის ნაკრების გაწვრთნა ადრეც შესთავაზა, ახლა კი კონკრეტული ნაბიჯიც გადადგა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ მწვრთნელთან მოლაპარაკება წამოიწყო. ეს ამბავი საზოგადოებას ირანულმა გაზეთმა „გოდსმა" ამცნო, მოგვიანებით კი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურმაც დაადასტურა, თუმცა ირანული ფეხბურთის მამებმა უფრო კონკრეტულად საუბარი არ ისურვეს.

ორიოდე დღის წინ სამხრეთ კორეის ნაკრების თავკაცად, მოგეხსენებათ, ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი დაინიშნა. მისი წინამორბედი ჰუ იონგ ნოო აზიის თასზე გუნდის ცუდ გამოსვლას შეეწირა. იგივე ბედი ეწია ირანის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ჯალალ ტალებისაც. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მას სწორედ აზიის თასზე წარუმატებელი გამოსვლა არ შეუნდო, თანამდებობიდან გაუშვა და მისი შემცვლელის ძებნასაც შეუდგა. ირანელებს უცხოელი მწვრთნელი უნდოდათ და არჩევანიც კრისტოფ დაუმზე შეაჩერეს.

გერმანელი სპეციალისტის ამჟამინდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგენია, შეთავაზებულ წინადადებაზე უარი თქვას. იგი 1 ივნისიდან, კარგად იცით, გერმანიის ნაკრების თავკაცი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ნარკომანობა დაუმტკიცეს და ქვეყნიდან გასაქცევად გაუხდა საქმე. ახლა დაუმი საზოგადოების თვალში შელახული იმიჯის აღდგენაზე ფიქრობს. ამერიკაში ჩატარებული ტესტირებით ყველას აჩვენა, რომ კოკაინთან არანაირი კავშირი არ აქვს. ჰოდა, ახლა ყველას სამაგიერო უნდა მივუზღო და თან ჩემი საქმეც გავაგრძელოო, ამბობს. აი, შანსიც ეძლევა.

მით უმეტეს, ირანელებიც ამ აზრზე არიან — კარგად ვიცით, დაუმი სუფთაა ამ სკანდალში, ამიტომაც ვიწვევთ, მისი დიდი იმედი გვაქვს და ბოლომდე ვენდობითო. 47 წლის მწვრთნელსაც ეს არ უნდა?

# რივალდო ბრაზილიურად ოცნებობს



**არსად წავა** — ივარაუდა ზოგიერთმა, როცა შეიტყო, მსოფლიოსა და ევროპის წლის საუკეთესო მოთამაშე რივალდო ბრაზილიის ნაკრების დატოვებას აპირებსო. ჰოდა, ესენი, ვინც ეს ცნობა არად ჩააგდო, ახლა აღმოჩნდა, რომ სწორად მოქცეულა — „ბარსელონას" ფორვარდს სულაც არ სურს, ეროვნულ გუნდს ზურგი აქციოს.

„ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე, რომ თუ მწვრთნელი მიმიწვევს, კვლავ ვითამაშებ ნაკრებში — განაცხადა რივალდომ — ჩემი ოცნებაა, ბრაზილიასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე".

გავიხსენოთ მისი დაახლოებით ორი კვირის წინანდელი სიტყვები: „ამდენი ლანძვა მომბეზრდა და უკვე ნაკრების მიტოვებაზეც ვფიქრობ. თავი არასდროს დამიზოგია, გულშემატკივართა რეაქციასაც ყოველთვის გაგებით ვხვდებოდი, მაგრამ ამდენი დაუმსახურებელი გინების ატანა აღარ მსურს, კოლუმბიასთან მატჩის ბოლო წუთებში უკვე ფეხები აღარ მემორჩილებოდა, იმდენად ვიყავი გაოგნებული ტრიბუნებიდან წამოსული შეურაცხყოფით".

რივალდომ რომ თქვა, წავალო, ბრაზილიაში ერთი ამბავი ატყდა. ის ხალხიც კი, ვინც ფეხბურთელს აგინებდა, შეშფოთდა, მართლა რომ წავიდეს, კარგი რა მოხდებაო. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ მაშინ თქვა: „მეეჭვება, მისი შემცვლელი ვიპოვო. შეცდომები? რას იზამ, ხანდახან რივალდოსნაირი ფეხბურთელიც შეიძლება შეცდეს".

# უნარკოტიკო თამაში

## საქველმოქმედო მატჩი

**ბარსელონა 1:2 ესპანეთის კლუბების ნაკრები**

1:0 დანი (8), 1:1 ტურუ ფლორესი (15), 1:2 ოგნიენოვიჩი (16)

ბარსელონა: დუტრუელი (რეინა 46; ვიქტორი 68), პუიოლი, რაიციგერი (ფ. დე ბური 46), კუადრადო (სერხი 46), ბერმუდო (სიმაო 46), გაბრი (ლუის ენრიკე 46), დე ლა პენია (გვარდიოლა 46), პეტი (კოკუ 46), ლიტმანენი (ხერარდი 46), ალფონსო (ოვერმარსი 46), დანი (კლუივერტი 46)

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

ნაკრები: ქატებანი (კონტრერასი 30; ჯონათანი 60), ხაურეგი (ისმაელი 46), პაკო ხემესი (მარიონი 46), პაჩეტა (პაბლო 46), პოშნერი (ოსკარ ალვარესი 46), ოგნიენოვიჩი (იესტე 46), იბაგასა (მოვილია 46), ლუკე (პაბლო სანსი 46), ტურუ ფლორესი (ალბერტო 43), ხავი მორენო (მოა 46), არტეაგა (პაკიტო 46)

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

55 000 მაყურებელი

**გუშინწინ** „კამპ ნოუზე" საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, რომელსაც ესპანეთის დედოფალ სოფიასთან ერთად 55 000 გულშემატკივარი დაესწრო. შეხვედრა ნარკომანიის საწინააღმდეგო აქცია გახლდათ, რომელიც ყოველწლიურად იმართება. ეს მეცხრე ასეთი თამაში იყო.

ანგარიში მეცხრე წუთზე დანიმ გახსნა. იარი ლიტმანენმა უკან დაუგორა ბურთი და მანაც ზუსტად დაარტყა. კლუბთა ნაკრებს გასათანაბრებლად 7 წუთი დასჭირდა. ტურუ ფლორესმა სოლო რეიდის შემდეგ იხეირა. კიდევ ერთი წუთიც და რეალელმა პერიცა ოგნიენოვიჩმა სტუმრები დააწინაურა.

საზოგადოდ, საქველმოქმედო მატჩისთვის 55 000 მაყურებელი საკმაოდ ბევრია და უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი პეპ გვარდიოლას დაბრუნების ხილვის სურვილმაც მიიზიდა. ლორენს სერა ფერერმა გვარდიოლა მეორე ტაიმში შეიყვანა და თუმცა ბევრი არაფერი გაუკეთებია, კაპიტნის დაბრუნებას ქომაგები დიდი სიხარულით შეხვდნენ.



REUTERS ბარსელონიდან

ნარკობიზნესის მუდამ მღვიძარი მტერი, ცნობილი ესპანელი მოსამართლე ბალთასარ გარსონი „კამპ ნოუზე". რაღა სხვათა შორის და, სწორედ მან გასცა ჩილეს დიქტატორ აუგუსტო პინოჩეტის დაპატიმრების სანქცია



აუტს აწვდის „ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან გასპარი

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისის** პირველ დივიზიონში თვის საუკეთესო მწვრთნელად ვესტბრომვიჩელი გარი მეგსონი დაასახელეს. მისმა გუნდმა ნოემბერში სამი მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ცხრილის მეოთხე საფეხურზე დამკვიდრდა. აღსანიშნავია, რომ „ვესტ ბრომვიჩის" ლიდერი და კაპიტანი დერეკ მაკინსი ტრავმის გამო სეზონის უმეტეს ნაწილს გამოტოვებს, თუმცა მის არყოფნაში განსაკუთრებით ძლიერად ათამაშდნენ პორტუგალიელი ნახევარმცველი ჟორდაუ და თავდამსხმელი ლი ჰიუზი. ამ უკანასკნელმა ბოლოს ორჯერ შეასრულა ჰეთ-თრიქი.

**იტალიური** „ფიორენტინა" ფრანჩესკო ტოლდოს „რომაში" გაყიდვას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ შესაძლო ტრანსფერის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ „გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა. „მეკარეს ფლორენციიდან არ გავუშვებთ. თუ „რომას" წინადადებას მაინც დავთანხმდებით, „ფიორენტინაში" სანაცვლოდ ფრანჩესკო ტოტის გადმოყვანას მოვითხოვთ" — თქვა „ფიორენტინას" გენერალურმა მენეჯერმა ჯანკარლო ანტონიონიმ.

**ბრაზილიელმა** ჯალმინიამ „დეპორტივოსთან" კონტრაქტი 2005 წლამდე გააახანგრძლივა. ახალი ხელშეკრულებით, თუ რომელიმე კლუბი კონტრაქტს გამოისყიდის და ნახევარმცველს თავისთან გადაიბირებს, გალისიელებს საკომპენსაციოდ 2002 წლამდე 100 მილიონ დოლარს, ხოლო შემდეგი სამი წლის განმავლობაში 55 მილიონ დოლარს გადაუხდის. „ჩემი მიზანია „დეპორტივოსთან" ერთად რაც შეიძლება ბევრი ტიტული მოვიპოვო, განსაკუთრებით სასიხარულო იქნება, თუ ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ, რაც ძალიან ძნელია, თუმც შეუძლებელი არაა" — განაცხადა ჯალმინიამ, რომელიც მალე ესპანეთში ორმაგი მოქალაქეობის მიღებას აპირებს.

**ესპანელი** ფორვარდი პედრო მუნიტისი „ბოკა ხუნიორსთან" შეხვედრის შემდეგ ტოკიოდან მადრიდში დაშავებული დაბრუნდა და შესაძლოა, შაბათს „ოსასუნას" წინააღმდეგ ვერ ითამაშოს. „პედროს კუნთი დაუზიანდა. მას კიდევ ერთხელ გამოვიკვლევთ და ზუსტ პასუხს მოგვიანებით ვიტყვით" — განაცხადა მადრიდის „რეალის" ექიმმა ალფონსო დელ კორალმა. არგენტინელებთან შეხვედრაში მცირე ტრავმები რაულმა და ფიგუმაც მიიღეს, თუმცა შაბათს პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში თამაშს, ალბათ, შეძლებენ.

**ჰოლანდიური** „სიტარდის" მწვრთნელი ჰენკ დატი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მან გუნდის კრიზისიდან გამოყვანა ვერ მოახერხა. „სიტარდმა" 13 ტურში მხოლოდ 4 ქულა დააგროვა და ბოლო ადგილზეა. 36 წლის დატისთვის ეს სამწვრთნელო დებიუტი გახლდათ. მას დროებით ასისტენტები — ჰანს დე კონინგი და დიკ ვორნი შეცვლიან.

**ბრაზილიელი** ანჟელო დე სოუზა ჟუნიორი შესაძლოა, სამშობლოში დაბრუნდეს — „პარმას" ფეხბურთელის ყიდვა „ფლამენგოს" სურს. სამხრეთამერიკელი იტალიაში ერთი წელიწადია იმყოფება, თუმცა „პარმას" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება. „ფლამენგოს" ხელმძღვანელობა აპენინელებთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს და იტალიაში სატრანსფერო სეზონის გახსნის შემდეგ ფეხბურთელს ალბათ გადაიბირებს. თუ ვერ იყიდა, შესაძლოა ერთი წლით ინათხოვროს.

**გერმანულმა** „ჰამბურგმა" მეორე ბუნდესლიგის „ზანქტ პაულის" 21 წლის ნახევარმცველ კრისტიან რანს დაადგა თვალი. რანი „კიკერმა" წლეულს უკვე 12-ჯერ შეიყვანა მეორე ბუნდესლიგის ტურის სიმბოლურ ნაკრებში. მისი შეძენით „ჰამბურგის" გარდა „ლევერკუზენიც" ყოფილა დაინტერესებული. „რანი ნამდვილი ტალანტია. ძალიან გამიხარდება, თუ იგი უახლეს მომავალში ჰამბურგელი გახდება. მისი მოსვლით გამთამაშებლის პრობლემა მოგვეხსნება" — თქვა კლუბის თავკაცმა ფრანკ პაგელსდორფმა. „ჰამბურგმა" რანის გადასაყვანად უკვე მოლაპარაკებებიც წამოიწყო.

**ჩეხი** თავდამსხმელი იან კოლერი, შესაძლოა, მალე დორტმუნდის „ბორუსიაში" გადავიდეს. ბელგიური „ანდერლეხტის" ტანმაღალი ფორვარდის შეძენის სურვილი დორტმუნდელთა მწვრთნელ მათიას ზამერს ჩემპიონთა ლიგაში კოლერის თამაშის ნახვის შემდეგ გაუჩნდა. გერმანულმა კლუბმა ჩეხი ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით „ანდერლეხტს" უკვე ოფიციალურადაც მიმართა. წინასწარი ინფორმაციით, ბელგიელებმა კოლერი არცთუ მცირე თანხა, 20 მილიონი გერმანული მარკა დააფასეს. ზამერს კოლერი ტვინის კიბოთი დაავადებული ჰაიკო ჰერლიხის შემცვლელად ესახება და მისი შეძენის დიდი იმედიც აქვს.

**რუმინული** „უნივერსიტატიას" მწვრთნელი ფლორინ მარინი გუნდში ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა. „წასვლა გადავწყვიტე, რადგან გულშემატკივრებისგან დიდ ზეწოლას განვიცდიდი. ისინი უმოკლეს დროში მოითხოვდნენ შედეგების მიღწევას" — განაცხადა აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა. აღსანიშნავია, რომ „უნივერსიტატიამ" ბოლო ხუთ წელიწადში უკვე 12 მწვრთნელი გამოიცვალა. ახალი ხელმძღვანელი კლუბს ჯერ არ გამოუცხადებია, რუმინეთის ჩემპიონატში კი ზამთრის არდადეგები დაიწყო. სეზონი 3 მარტს განახლდება.

**ბელგიური** „შარლერუას" მწვრთნელმა მანუ ფერერამ პრესის საშუალებით კლუბის ხელმძღვანელობა გააკრიტიკა, რისთვისაც თანამდებობა დაკარგა. ფერერა „შარლერუაში" წინა სეზონის დასასრულს მივიდა, რათა გუნდი უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნისგან ეხსნა. მან ესეც მოახერხა და უფრო მეტიც, წლეულს შარლერუელები ცხრილის ზედა პოზიციებზეც არიან. ხელმძღვანელებმა გათავისუფლებული მწვრთნელი მაინც კლუბში დატოვეს და სელექციონერობა უბოძეს.

**რუსეთის** ვიცე-ჩემპიონი მოსკოვის „ლოკომოტივი" მომავალი წლის ზაფხულიდან ახალ, 30-ათასიან სტადიონზე ითამაშებს. ინგლისური ყაიდის არენას რუსეთის რკინიგზის სამინისტრო აშენებს. მოსკოველმა ფანებმა სტადიონს „ანგლია" უწოდეს. „გათვალისწინებულია დიდი რესტორნის მშენებლობაც, საიდანაც გულშემატკივარს პირდაპირ შეეძლება თამაშის ხილვა" — იუწყება კლუბი.

**ჩეხური** „სპარტას" ხელმძღვანელობა მწვრთნელ ივან ჰაშეკის „სტრასბურში" სამუშაოდ გაშვებაზე არ თანხმდება. ფრანგულმა კლუბმა გუნდის თავკაცი კლოდ ლე რუა გაათავისუფლა და სწორედ ჰაშეკის მიწვევა სურდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩეხი 1990-94 წლებში სწორედ სტრასბურული კლუბის ღირსებას იცავდა. მწვრთნელად მუშაობა მან „სპარტაში" დაიწყო და პირველივე წელს გუნდი ჩეხეთის ჩემპიონი გახადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პუელს ვერ უმართლებენ

## საფრანგეთი

XVIII ტური

**გენგამი 0:1 ლანსი**

0:1 სიბირსკი (61)

**პსჟ 0:1 რენი**

0:1 შაბუი (30)

**ბორდო 0:0 ბასტია**

**ლიონი 2:2 სედანი**

0:1 ნდიეფი (48), 0:2 მიონე (52), 1:2 მარლე (68), 2:2 ანდერსონი (85)

**მარსელი 2:1 სენტ ეტიენი**

1:0 ვეა (81), 1:1 უარი (87), 2:1 ადრიანო (88)

**ლილი 1:1 სტრასბური**

1:0 პეირლედი (25), 1:1 მარტენსი (34)

**ტულუზი 2:1 ტრუა**

1:0 ბონილია (15), 1:1 გუსე (31), 2:1 რეგრაგი (84)

**ოსერი 1:0 მეცი**

1:0 კივარში (27პ)

**ნანტი 3:1 მონაკო**

1:0 კარიერი (26), 1:1 ფარნერუდი (66), 2:1 მოლდოვანი (70), 3:1 ზიანი (88პ)

**მარსელის** „ოლიმპიკს“ ახალი მწვრთნელის მოსვლამ, ეტყობა, არგო. მარსელელებმა ხავიერ კლემენტეს სადებიუტო მატჩში „სენტ ეტიენი“ დაამარცხეს და გასავარდნთა ზონასაც თავი დააღწიეს. პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათაც გოლის გატანის უამრავი შანსი ჰქონდათ. თუმცა ხან მარსელინიო ზედმეტად ათრევდა ბურთს, ხან „მწვანეთა“ მცველები თამაშობდნენ კარგად და ხანაც მათი მეკარე სჯობდა ჟორჟ ვეასა და კომპანიას. ტაიმის მიწურულს კი სტუმრებმა თამაში შედარებით გაათანაბრეს და რამდენჯერმე მწარედაც უჩხვლიტეს მეტოქეს.

შესვენების შემდეგ მატჩი ისევ „მარსელის“ შეტევებით განახლდა, თუმცა გოლი კინაღამ მის კარში გავიდა. პედრონის ჩამოწოდებულ კუთხურს მეტომომ თავური შეაგება. ტრევიზანი უძლური იყო და მასპინძლები ლერუამ გადაარჩინა, რომელმაც ბურთი კარის ხაზიდან მოიგერია. თითქოს შეხვედრა უგოლო ფრისკენ მიდიოდა, მაგრამ 82-ე წუთზე ვალემმა ბურთის საკუთარი საჯარიმოდან ამოტანისას მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. ბელმადიმ ვეა მოძებნა და ლიბერიელმაც „მარსელის“ მაისურით თავისი მეორე გოლი შეაგდო. ბოლო ათი წუთი კი მშვენიერი ბურთაობა გაჩაღდა. შეტევათმონაცვლეობას შეცვლაზე შემოსული უარის თავური გოლი მოჰყვა. მასპინძლებმა მომდევნო იერიშივე დააგვირგვინეს. მათ რიგებშიც შემცვლელმა გამოიჩინა თავი — ადრიანომ კვლავ სენტეტიენელთა შეცდომით იხეირა.

ლიდერმა „ბორდომ“ „ბასტია“ მიიღო და ცდაც არ დაუკლია კორსიკელთა დასამარცხებლად, მაგრამ მაინც ორი ქულა დაკარგა. სტუმრებმა თამაში დაცვაზე ააგეს და ჟირონდელთა თავდამსხმელებს პერსონალური მეურვეები მიუჩინეს. ლასლანდმა მხოლოდ თავიდან გაუძლო კაზანოვას პრესინგს, მერე კი ლირებული თითქმის ალარაფერი გაუკეთებია. მე-9 წუთზე მის დარტყმულს „ბასტიას“ მცველი სუმა რომ არ გადაღობებოდა, გოლი გარდაუვალი იყო.

მეორე ტაიმში „ბორდო“ ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ კორსიკელთა კარში დიურანი ბრწყინავდა. მატჩის ბოლოს კი მასპინძლებმა კინაღამ იქით გაუშვეს გოლი ანდრე-ნეს კომბინაციის შემდეგ. საბოლოოდ ფრე, რომელიც უფრო „ბასტიას“ გაუხარდა.

დაკარგული ქულების მიხედვით „ნანტი“ გალიდერდა, რომელმაც წინა ჩემპიონ „მონაკოს“ სძლია. სათავადოს გუნდის მწვრთნელმა კლოდ პუელმა ნანტში ძირითადი მეკარე პორატო არ იახლა, აქაოდა, ლანსში ოთხი გოლი როგორ გაუშვაო. თუმცა პუელს ვერც პორატოს შემცვლელმა ობრიმ გაუმართლა, რადგან სამი ოთხზე ბევრად ნაკლები ნამდვილად არაა. ოღონდ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ზიანიმ თერთმეტმეტრიანიდან აჯობა ობრის. პენალტი კი ჯეტუს უხეშობისთვის დაინიშნა, თავად მონაკოელი მოედნიდან გააძევეს, ხოლო „ნანტმა“ ამ გოლის მერეღა დაიგულა თავი ქუდში.

**გაიოლ თალაბგაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 18 | 8 | 7 | 3 | 25:14 | 31 |
| ნანტი | 17 | 9 | 3 | 5 | 30:20 | 30 |
| სედანი | 18 | 8 | 6 | 4 | 25:18 | 30 |
| გენგამი | 18 | 8 | 4 | 6 | 20:20 | 28 |
| ლილი | 17 | 7 | 6 | 4 | 18:12 | 27 |
| ლანსი | 18 | 7 | 6 | 5 | 22:18 | 27 |
| პსჟ | 17 | 7 | 4 | 6 | 28:23 | 25 |
| ბასტია | 17 | 7 | 4 | 6 | 18:17 | 25 |
| ოსერი | 18 | 7 | 4 | 7 | 18:19 | 25 |
| ლიონი | 17 | 5 | 9 | 3 | 22:16 | 24 |
| ტრუა | 18 | 6 | 5 | 7 | 21:26 | 23 |
| მონაკო | 18 | 6 | 4 | 8 | 25:26 | 22 |
| რენი | 18 | 6 | 4 | 8 | 17:18 | 22 |
| სენტ ეტიენი | 18 | 5 | 6 | 7 | 25:27 | 21 |
| მარსელი | 18 | 6 | 3 | 9 | 19:24 | 21 |
| მეცი | 18 | 5 | 5 | 8 | 15:23 | 20 |
| სტრასბური | 18 | 4 | 4 | 10 | 15:37 | 16 |
| ტულუზი | 17 | 3 | 6 | 8 | 16:21 | 15 |

## მეორე დივიზიონი

XXI ტური

კანი — აიაჩო 1:0; გენიონი — ბოვე 2:0; სოშო — კაენი 3:0; ლე მანი — შატორუ 2:1; ნანსი — კრეტეი 2:0; ვალკენი — ლავალი 2:1; ანჟერი — მარტიგი 1:1; ლორიანი — ნიცა 3:0; ლე ავრი — ნიორი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლორიანი | 21 | 12 | 7 | 2 | 32:17 | 43 |
| სოშო | 21 | 12 | 6 | 3 | 39:15 | 42 |
| ნიორი | 21 | 11 | 6 | 4 | 36:19 | 39 |
| მონპელიე | 20 | 10 | 8 | 2 | 29:16 | 38 |
| ლავალი | 21 | 10 | 5 | 6 | 24:17 | 35 |
| ნანსი | 21 | 9 | 6 | 6 | 25:14 | 33 |
| შატორუ | 21 | 8 | 8 | 5 | 27:21 | 32 |
| ლე ავრი | 21 | 6 | 10 | 5 | 26:22 | 28 |
| კრეტეი | 21 | 7 | 7 | 7 | 21:21 | 28 |
| ნიმი | 20 | 7 | 6 | 7 | 26:27 | 27 |
| ლე მანი | 21 | 5 | 10 | 6 | 23:23 | 25 |
| გენიონი | 21 | 6 | 7 | 8 | 19:27 | 25 |
| კაენი | 21 | 6 | 7 | 8 | 21:30 | 25 |
| მარტიგი | 21 | 4 | 11 | 6 | 20:28 | 23 |
| ვალკენი | 21 | 5 | 7 | 9 | 19:23 | 22 |
| ნიცა | 21 | 6 | 3 | 12 | 20:34 | 21 |
| ბოვე | 21 | 3 | 10 | 8 | 17:26 | 19 |
| აიაჩო | 21 | 5 | 4 | 12 | 14:27 | 19 |
| კანი | 21 | 4 | 6 | 11 | 25:38 | 18 |
| ანჟერი | 21 | 2 | 8 | 11 | 18:36 | 14 |



მარსელი — სენტ ეტიენი 2:1. მასპინძელი მარსელინიო (მარჯვნივ) და ჟულიენ საბლე ბურთისთვის იბრძვიან



კრისტიან პანუჩი

# ლონდონში დაჩაგრული იტალიელი

**იტალიელი** მცველი კრისტიან პანუჩი „ჩელსიში“ თავს დაჩაგრულად გრძნობს და სურს, ლონდონიდან რაც შეიძლება მალე წავიდეს. იგი, ალბათ, სამშობლოში დაბრუნდება. გავიხსენოთ, რომ კრისტიანი „ჩელსის“ ერთი სეზონით „ინტერმა“ ათხოვა, „სტემფორდ ბრიჯზე“ მის გადაყვანაში ლონდონელთა იმჟამინდელმა თავკაცმა ჯანლუკა ვიალიმ დაიდო დიდი წილი. მაგრამ სადღაა ვიალი... პანუჩი ლონდონში ხეირიანად არც დამკვიდრებულიყო, რომ მწვრთნელი მოხსნეს და „ჩელსის“ სადავეები ასევე იტალიელ კლაუდიო რანიერის ჩააბარეს.

რანიერის კი პანუჩის თამაში არ მოსწონს და დაცვის მარჯვენა ფლანგზე თვისტომის ნაცვლად ჰოლანდიელ მარიო მელხიოტს აყენებს. ბუნებრივია, კრისტიანი ამაზე ბრაზობს. „ჩელსიში“ თამაშის ძალზე მცირე შანსი მაქვს. კონკრეტულად არავის ვადანაშაულებ, უბრალოდ ფაქტია, რომ ჩემს პოზიციაზე სხვა ფეხბურთელს ამჯობინებენ“ — განაცხადა „მილანისა“ და მადრიდის „რეალის“ ყოფილმა მოთამაშემ.

იტალიაში კი პანუჩის შესახებ ორი სხვადასხვა ინფორმაცია გავრცელდა. პირველის თანახმად, 27 წლის მცველი „ინტერს“ მალევე დაუბრუნდება, იტალიური გამოცემა „ტუტოსპორტი“ კი იტყობინება, პანუჩის „ლაციო“ ეპატიჟებაო.

„ვიმედოვნებ, რომ მალე კვლავ სამშობლოში ვიქნები. „ჩელსიში“ თითქმის არ მითამაშია და ჯობს, აქედან წავიდე“ — ამბობს ლონდონში დაჩაგრული იტალიელი.

## ბრაზილია

**ჩემპიონატის მეოთხედფინალი. I მატჩი**

**ინტერნასიონალი 1:1 კრუზეირო**

## მექსიკა

**ჩემპიონატის მეოთხედფინალი. I მატჩი**

სანტოს ლაგუნა — ნეკაქსა 2:1; ატლასი — კრუზ აზული 0:1; ამერიკა — ტოლუკა 0:2; მორელია — პაჩუკა წუხელ გვიან გაიმართა

## რუმინეთი

**თასის მეოთხედფინალი**

როკარი (ბუქარესტი) — ნაციონალი (ბუქარესტი) 1:0; სპორტული (სტუდენტეში) (II) — ოცელული (გალატი) 0:0 (პენ. 4:3); პეტროლული (პლოეშტი) — სტიაუა (ბუქარესტი) 1:0; დინამო (ბუქარესტი) — რაპიდი (ბუქარესტი) 1:1 (2:1 დ.დ.)

# სურენი თავს იმართლებს და მიატოვიჩისკენ იყურება

**ევროპის** სუპერთასის მფლობელ სტამბოლის „გალათასარაის“ პრეზიდენტი ფარუკ სურენი ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს. პრეზიდენტიც ადგა და ოთხშაბათს გამთენიისას ცოლთან ერთად ქვეყნიდან გაიქცა, თავი შვეიცარიას შეაფარა.

სურენის მაკომპრომეტირებელი მასალები ორიოდ დღის წინ თურქულ გაზეთ „მილიეთში“ გამოქვეყნდა. „გალათასარაის“ პრეზიდენტს 80 მილიონი ამერიკული დოლარის მითვისებაში ადანაშაულებენ, თუმცა მას საფეხბურთო კლუბი არ გაუძარცვავს. საქმე ის არის, რომ სურენი იმავდროულად თურქეთში ერთ-ერთი უდიდესი ჰოლდინგური კომპანიის მფლობელია, რომელიც მრავალფეროვან კომერციულ საქმიანობას ეწევა, ძირითადად კი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციებითა და სატრანზიტო ტვირთების გადატანით არის დაკავებული. „მილიეთის“ მტკიცებით, სურენს თურქეთის მთავრობისგან გრანტის სახით 80 მილიონი დოლარი მიუღია, რომელიც მთლიანად ჯიბეში ჩაუდვია, ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტს ამ ფულის დახარჯვის არანაირი დოკუმენტაცია არ ჰქონია. ამ ამბით თურქეთის ფინანსთა სამინისტრო და პოლიციაც დაინტერესებულან. სურენსაც რაწამს ეს შეუტყვია, შვეიცარიაში გაქცეულა. მის სამშობლოშიც ერთი ამბავია ამტყდარი, როგორ შეიძლება ასეთი კაცი ერის საყვარელი კლუბის პრეზიდენტი იყოს და ბრალდებულს გუნდიდან წადიო, მოუწოდებენ.

სურენმა მასმედიასთან კომენტარზე უარი თქვა, ოთხშაბათ საღამოს კი ყველა დიდ გაზეთსა თუ ჟურნალს ფაქსი გაუგზავნა, რომელშიც მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. „ჩემი კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. ამიტომ წინასწარ რაიმე ბრალდებების წაყენება ნაადრევია. თუმცა ამავე დროს ვაცხადებ, რომ პირადად მე უდანაშაულო ვარ და საერთოდ, ჩემი კომპანიის გარშემო ატეხილი ხმაური პროვოცირებულია“ — წერს პრეზიდენტი ფაქსში. იქვე სურენი იმ ფირმასაც ასახელებს, რომელიც მას ებრძვის. „ცოტა ხნის წინ „გალათასარაის“ აქციების 22 პროცენტი და კლუბის რეკლამის უფლებები ერთ ამერიკულ ფირმას მივყიდე. აქციების შეძენით თურქული მედია-ჰოლდინგი „დოგან“ იყო დაინტერესებული, რომელსაც ობიექტური მიზეზების გამო უარი ვუთხარი. „დოგან“ რამდენიმე გაზეთის მფლობელია. მათ შორის არის „მილიეთიც“, რომელმაც გაავრცელა ჩემი ვითომდა მაქინაციებში მონაწილეობის ამბავი. ამით ყველაფერი ნათელია“ — თავს იმართლებს „გალას“ ხელმძღვანელი.



ფარუკ სურენი

სურენი „გალათასარაის“ პრეზიდენტად 1991 წელს აირჩიეს. მას შემდეგ სტამბოლური კლუბი თურქულ ფეხბურთში ბატონობს. თითქმის ყოველ წელს, ეუფლება იგი შინაურ ასპარეზზე მთავარ ჯილდოებს. ბოლო წლებია, „გალათასარაი“ ევროპაშიც ღირსეულად გამოდის, შარშანდელი სეზონი კი სულაც ტრიუმფით დაამთავრა — ჯერ უეფას თასი მოიპოვა, მერე სუპერთასიც აიღო. ერთი სიტყვით, სურენის ხანა „გალათასარაისთვის“ ძალიან წარმატებული გამოდგა.

მიუხედავად იმისა, რომ „გალას“ პრეზიდენტს ამ დღეებში მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, რომლებიც გუნდიდან წასვლას უკიჟინებენ, სურენი ყურს არ იბერტყავს და თავისი მოვალეობის შესრულებას განაგრძობს. ახლა ახალი ტრანსფერის განხორციელებაც განუზრახავს. გუშინ კლუბის წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ იტალიური „ფიორენტინადან“ იუგოსლავიელი პრედრაგ მიატოვიჩის გადაყვანას აპირებენ. 31 წლის თავდამსხმელი თურქებს ბრაზილიელი მარიო ჟარდელის შემცვლელად შეუგულებიათ. ჟარდელი ამბობს, იქაურ ფეხბურთს ვერ შევეგუე და სხვა ქვეყანაში უნდა წავიდე სათამაშოდო. მან ეს მას შემდეგ თქვა, რაც მისით პორტუგალიური „ბენფიკა“ დაინტერესდა. ახლახან კი ჟარდელის შეძენის სურვილი ინგლისურმა „ჩელსიმაც“ გამოთქვა. ასე რომ, ბრაზილიელ თავდამსხმელს დიდხანს აღარ მოუწევს თურქეთში ყოფნა. „გალათასარაიც“ მიატოვიჩის გასტამბოლელებას უახლოეს მომავალში აპირებს და ამ ამბავში „ფიორენტინას“ თურქი მწვრთნელის, ფათიჰ თერიმის იმედიც აქვს.

**ვანო ოქროპირიძე**

# მადრიდის რეალის მწვრთნელი ნუმანსიაში

**ქება** და დიდება ფრანსისკო ერერას, მისმა გაწვრთნილმა ბიჭებმა „ბარსელონასთან“ ტოლ-სწორად ითამაშეს, „კამპ ნოუდან“ ქულა წამოიღეს, ხოლო „რეალი“ სულაც ბეჭებზე გააკრეს — ასეთი აზრი სუფევდა პატარა კასტილიურ ქალაქ სორიაში, რომლის „ნუმანსიამაც“ პრიმერადივიზიონის მერვე და მეცხრე ტურებში სენსაცია მოახდინა. მაშინ სორიელთათვის რომ გეთქვათ, თვის ბოლომდე მაგ თქვენ ნაქებ მწვრთნელს დაითხოვენო, ალბათ, არ დაიჯერებდნენ.

მეათე ტურში „ნუმანსია“ „მალიორკასთან“ დამარცხდა, მერე სოსიედადთან“, გასულ უქმეებზე კი „ლას პალმასთან“. სამი მატჩის წაგება ერერას ძველი დამსახურების დასავიწყებლად საკმარისი აღმოჩნდა და იგი გაუშვეს.

მარიანო გარსია რემონი „ნუმანსიას“ ახალი მწვრთნელია. ახლა მან უნდა გადაარჩინოს კლუბი, რომელიც პრიმერადივიზიონში მე-17 ადგილზეა და მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით არაა გასავარდნთა ზონაში.

ახალი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ძლიერი გუნდის შექმნა ძალუძს, მაგრამ როგორ? „წლის ბოლომდე ახალი ფეხბურთელების ყიდვა მინდა, თუმცა ჯერ ფული უნდა ვიშოვო, რისთვისაც ამ შემადგენლობიდან რამდენიმე კაცის გაყიდვა მომიწევს“.

რემონი ძველი მეკარეა და მადრიდის „რეალში“ თამაშობდა. მწვრთნელობაც იქვე დაიწყო და „სამეფო კლუბის“ რეზერვებს ავარჯიშებდა. მერე იყო „ლას პალმასი“, ხიხონის „სპორტინგი“ და „ალბასეტე“. რემონის ბოლო სამუშაო ადგილი კი „სალამანკა“ გახლდათ, საიდანაც გასულ სეზონში დაითხოვეს. საინტერესოა, რომ როცა რემონი მოხსნეს, „სალამანკა“ სეგუნდა დივიზიონში მეორე ადგილზე იყო.

## გერმანია

### თასის მერვედფინალი

**შტუტგარტი 2:1 ჰანოვერი**

**მიონხენგლადბახი 1:0 ნიურნბერგი**

**ფრაიბურგი 3:2 ლევერკუზენი**

0:1 პონტე (23), 1:1 კობიაშვილი (34პ), 2:1 კელი (36), 2:2 კირსტენი (74), 3:2 დორნი (77)

ფრაიბურგი: გოლცი, დიარა (კონდე 46), შუმანი, კობიაშვილი, ბერმელი, კელი, ცქიტიშვილი, ა. ცაიერი, ბაია (ვ. ბუტი 81), იაშვილი, კულიბალი (დორნი 65)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ტ. ჰოფმანი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, რამელო, ოჟიგვე (ჟივკოვიჩი 46), ვრანიეში, ბალაკი, ბ. შნაიდერი (ზე რობერტო 65), პონტე (კირსტენი 63), რინკი

მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი

გაფრთხილება: დიარა, პონტე

18 000 მაყურებელი

**მიუნხენ 1860 0:5 ბოხუმი**

**შალკე 2:1 დორტმუნდი**

**უნიონი 4:2 ულმი**

**მაგდებურგი 5:3დ.დ. (3:3) კარლსრუე**

**ვოლფსბურგი 1:1დ.დ.(0:0)3:4 დუისბურგი**

**ესეც ესე.** „ლევერკუზენის“ ცხრამატჩიან წაუგებელ სერიას ოთხშაბათს წერტილი დაესვა. სასიამოვნოა, რომ ბერტი ფოგთსის გუნდის წარმატებული სვლა აწ უკვე ოთხი ქართველის „ფრაიბურგმა“ შეაჩერა, ამ ამბავში თავისი არც თუ მოკრძალებული წვლილი ლევან კობიაშვილმა, ალექსანდრე იაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმაც შეიტანეს. მეოთხე ჩვენებურის, გიორგი კიკნაძის „ფრაიბურგის“ ძირითად გუნდში გამოჩენას კი იანვრამდე არ უნდა ველოდეთ.

„ლევერკუზენი“ ბოლოს 17 ოქტომბერს დამარცხდა. მაშინ გუნდმა, რომელსაც სკანდალით წასული კრისტოფ დაუმი წვრთნიდა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში სტუმრად მადრიდის „რეალთან“ წააგო. ის მატჩი დაუმისთვის ბოლო აღმოჩნდა. რუდი ფიოლერის ხელმძღვანელობით ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონს ექვსი მატჩი არ წაუგია, ორი კვირის წინ კი გუნდის სათავეში ბერტი ფოგთსი მივიდა, რომელმაც დაუმარცხებლად სულ ორი შეხვედრა ჩაატარა. იგი ქომაგებს



REUTERS

შალკე — დორტმუნდი 2:1. დორტმუნდელთა მეკარე იენს ლემანს (№1) გოლის გატანაში შალკელმა კოლეგამ ოლივერ რეკმა შეუშალა ხელი

„ფრაიბურგთანაც“ ჰპირდებოდა წარმატებას, მაგრამ...

გერმანიაში თასს რომ დიდ ყურადღებას არ აქცევენ, შემადგენლობებიდანაც ჩანს. მასპინძელთა თავკაცმა ფოლკერ ფინკემ წინა ორ მატჩთან შედარებით ხუთი ცვლილება მოახდინა, ფოგთსმა — შვიდი. მიუხედავად ამისა, თამაში საინტერესო გამოდგა და დაძაბულობა წუთით არ მოჰკლებია. უპირატესობას ძირითადად „ლივერკუზენი“ ფლობდა. მომენტებიც უფრო მეტი და უკეთესი ჰქონდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. არადა, თავიდან იგებდა — ბალაკის ბრწყინვალე თამაშის შემდეგ პონტემ სტუმრები დააწინაურა. ცამეტიოდე წუთში მასპინძლებმა არა მარტო გაათანაბრეს ანგარიში, წინაც გავიდნენ. ჯერ კობიაშვილმა გამოიყენა კელის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი, მერე თავად კელიმ ივარგა.

მეორე ნახევარში სტუმრები უფრო გააქტიურდნენ, ფოგთსმა კირსტენი, ზე რობერტო და ჟივკოვიჩიც შეიყვანა მინდორზე. ცვლილებამ თითქოს გაამართლა, 74-ე წუთზე კირსტენმა ისევ ბალაკის პასით წონასწორობა აღადგინა, თუმცა მცირე ხნით. სამ წუთში დორნმა გადამწყვეტი გოლი შეაგდო — 3:2. ასე გაუყენა „ფრაიბურგმა“ „ლევერკუზენი“ სამოყვარულო „პფულენდორფისა“ და ბრემენის „ვერდერის“ გზას.

კობიაშვილმა, ცქიტიშვილმა და იაშვილმა „კიკერისგან“ შესაბამისად „2“, „3“ და „4“ დაიმსახურეს.

„საწყის 35 წუთში შესანიშნავად ვითამაშეთ. თითქმის ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ იყო, მაგრამ უეცრად რაღაც მოხდა, ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით და შედეგიც შესაბამისი მოვიმკეთ. სულაც არ მიკვირს, რომ „ფრაიბურგმა“ მოიგო. უბრალოდ გული მწყდება, რომ მეტოქეს გამარჯვება ვაჩუქეთ“ — განაცხადა ფოგთსმა ნამატჩევს. ფინკემ კი, კარგია, რომ ასეთი ბრძოლა და თავდადება დაგვიფასდაო, თქვა.

მერვედფინალებიდან დიდ ყურადღებას „შალკე“ — „დორტმუნდის “ მატჩიც იპყრობდა. დორტმუნდელები რევანშისათვის ემზადებოდნენ, 23 სექტემბერს შინ „შალკესგან“ ნაწვნევი 0:4-ისთვის შურისძიება სწყუროდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

მატჩი კი ისე დაიწყო, სტუმრები უკეთესს ვერ ინატრებდნენ. ფეხბურთელებს ოფლი არ გამოსვლოდათ, რომ გოლიც გავიდა. „დორტმუნდმა“ გაიხარა — რიკენის წამოწყებული იერიში რეინამ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. მერე კი მინდორზე ფეხბურთს ერთი გუნდი თამაშობდა და ეს გუნდი „შალკე 04“ იყო. გელზენკირხენელებმა ანგარიშიც მალე გაქვითეს — მე-6 წუთზე ებე სანდმა თავით ერთ დროს შალკელი იენს ლემანი დაამწუხრა. ამის მერე ლემანმა ერთი-ორჯერ იხსნა კარი, [illegible] ცილეს მიზანს. 42-ე წუთზე კი „დორტმუნდის“ [illegible] ვან კერკჰოვენმა მატჩს წერტილი დაუსვა. ბოლო წუთებზე გოლის გასატანად „დორტმუნდის“ მეკარე იენს ლემანიც წავიდა, მაგრამ...

„ვულოცავ „შალკეს“ წარმატებას. მათ ეს დაიმსახურეს. ყველამ ნახა, რომ გუნდში ჯერაც ბევრი სამუშაო გვაქვს“ — მოკლედ მოჭრა პრესკონფერენციაზე ზამერმა. მისმა კოლეგამ, ჰუუბ სტევენსმა კი არ დამალა, ჩემი გუნდის დღევანდელი თამაშით აღფრთოვანებული ვარო.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავი ორია — „მიუნხენ 1860“ შინ „ბოხუმთან“ 0:5 განადგურდა, „ვოლფსბურგი“ კი, ქვედალიგელმა „დუისბურგმა“ გააგდო. იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ „ბოხუმთან“ მიუნხენელები ასეთ შერცხვენას არ იმსახურებდნენ. ეგებ, გაიოცოთ, რომ გითხრათ, მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენო, მაგრამ სწორედ ასე იყო. „მიუნხენმა“ თითქმის მთელი თამაში შეტევაში გაატარა, მაგრამ უხეიროდ უტევდა და თავსაც ძალიან ცუდად იცავდა. ხუთიდან ოთხი გოლი ბოლო ოც წუთში გავიდა, როცა მასპინძლები მეტოქის ნახევარზე დასახლდნენ.

„ვოლფსბურგი“ — „დუისბურგის“ მატჩში კი ყველაზე გამორჩეული ფიგურა სტუმართა მეკარე ბობელი იყო, რომელსაც ერთი შეცდომაც არ დაუშვია. დამატებითი ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებს უხეშობისთვის აკპობორი გაუძევეს. „დუისბურგმაც“ ისარგებლა ამით და 116-ე წუთზე გოლი გაიტანა. თითქოს ყველაფერი ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ბოლო წამებზე აკონორმა გაათანაბრა. საქმეც პენალტებამდე მივიდა, იქ კი ბობელმა ორჯერ ივაჟკაცა.

მეოთხედფინალებს, რომლებიც 19 და 20 დეკემბერს ჩატარდება, ოთხი პირველი ბუნდესლიგის, ორი მეორე ბუნდესლიგის და ორიც სამოყვარულო კლუბი შემორჩა.

**ვანო ოქროპირიძე**

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი
### I მატჩები

**ლაციო 2:1 უდინეზე**

0:1 მარკიონა (48), 1:1 სტანკოვიჩი (86), 2:1 ნედვედი (87)

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო (ფავალი 46), ფერნანდუ კოუტუ, კოლონეზე, პეზარეზი, ლომბარდო (ბერეტონი 65), სტანკოვიჩი, ბარონიო, ნედვედი, სალასი (ს. ინძაგი 46), რავანელი

მწვრთნელი: სვენ გორან ერიქსონი

უდინეზე: დე სანქტისი, ძამბონი, გარგო, ბერტოტო, ალბერტო (სოტილი 79), პიზარო (ჯიანგარდი 69), ჯანიკედა, ფიორე, დიასი, სოსა, მარკიონა (მუცი 53)

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

გაფრთხილება: ბერტოტო, პანკარო, სტანკოვიჩი, დე სანქტისი

გაძევება: ბერტოტო (79), სოსა (89)

15 000 მაყურებელი

**პარმა 6:1 ინტერი**

1:0 სენსინი (18), 2:0 მიკუ (33), 3:0 მონტანო (34), 4:0 ამოროზო (39), 4:1 რეკობა (44), 5:1 აპია (53), 6:1 სარტორი (61)

პარმა: ბუფონი, ტურამი (ფ. კანავარო 68), სენსინი, ბენარივო, სარტორი (ა. კანავარო 86), აპია, ლამუში, ჟუნიორი, მიკუ, ამოროზო (ბასო 68), მონტანო

მწვრთნელი: ალბერტო მალესანი

ინტერი: ბალოტა, სიმიჩი, ფერარი, ჩირილო, სერენა, კოუ, ვამპეტა, გრეშკო (მაჩელარი 46), ზედორფი, რეკობა, სამორანო

მწვრთნელი: მარკო ტარდელი

20 000 მაყურებელი

**ეჰ, სინიორ** ტარდელი, რა გინდოდათ, რა დაკარგეთ ამ „ინტერში“, ყოფილიყავით ახალგაზრდულ ნაკრებში...

თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „პარმამ“ „ინტერს“ 6:1 მოუგო. თუმცა მოგება ის სიტყვა არაა, 6:1-ს რომ შეეფერება. ახლანდელი „ინტერი“ რა გუნდია, კი ვიცით, მაგრამ ასეთი დაბეჩავება, ცოტა არ იყოს, გასაკვირია.

მილანური კლუბი ასეთი სხვაობით ბოლოს 1995 წლის 8 იანვარს დამარცხდა მილანურ დერბიში — 0:5, ხოლო 6 გოლი მხოლოდ შორეულ წარსულში გაუშვია. ამასთანავე, „პარმა“ ის გუნდია, რომელთან თამაშიც „ინტერს“ განსაკუთრებით უჭირს. მათი ბოლო 10 შეხვედრიდან 9 პარმელთა გამარჯვებით დასრულდა. ბარემ აქვე დავამატოთ, რომ მალესანის გუნდი სათასო თამაშებში 1995 წლის ივნისის შემდეგ არ დამარცხებულა.

„ინტერმა“, რომელსაც, სხვათა შორის 11 წელია იტალიაში არაფერი მოუგია, 6 გოლი 6 სხვადასხვა ეროვნების ფეხბურთელისგან გაუშვა: ნესტორ სენსინი არგენტინელია, იოან მიკუ — ფრანგი, 17 წლის ხუნიერ მონტანო — კოლუმბიელი, მარსიო ამოროზო ბრაზილიელია, კადევ ერთი ყმაწვილი ფეხბურთელი სტეფან აპია იტალიაში განიდან მოხვდა და მხოლოდ ლუიჯი სარტორი გახლავთ ადგილობრივი, თან ერთ დროს სწორედ „ინტერში“ თამაშობდა.

მატჩის შემდეგ მარკო ტარდელი ისეთ გუნებაზე იყო, ჟურნალისტებთან საუბარი იუარა, ალბერტო მალესანიმ კი გაამხნევა, რა მოხდა მერე, ვის არ წაუგია, „ინტერი“ არ იყო, გასულ სეზონში 5:1 რომ მოგვიგოო. მალესანი მერე ჟურნალისტებსაც მიუბრუნდა: „მარკო ჩემი მეგობარია და გული მტკივა, ასეთ დღეში რომ ვხედავ. კრიტიკა თქვენი საქმეა, მაგრამ მარკოს ვურჩევ, გაზეთები არ წაიკითხოს, უფრო ანერვიულდება და უარესად წაუვა საქმე. ახლა მას სიმშვიდე სჭირდება, რათა ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოს და კრიზისიდან გამოსავალი მოძებნოს.“

მალესანისათვის ასე ლაპარაკი იოლია — „პარმამ“ გასულ უქმეებზე „ლაციო“ დაამარცხა, ახლა „ინტერიც“ გადაყლაპა და სადარდებელი არაფერი აქვს.

რაც შეეხება „ლაციოს“, ის ძლივს გადაურჩა მორიგ მარცხს. შვებით ამოისუნთქა სვენ გორან ერიკსონმაც. სკუდეტოს მფლობელი სერია A-ში მე-8 ადგილზეა და ქომაგები გაიძახიან, ერიკსონი ინგლისზე ფიქრობს, „ლაციო“ აღარ აინტერესებსო.

არადა, „უდინეზესთან“ რომაელები 86-ე წუთამდე აგებდნენ. ეგებ, საბოოლოდაც დამარცხებულიყვნენ, მსაჯს უდინელთა კაპიტანი ვალერიო ბერტოტო რომ არ გაეძევებინა. ის ფაბრიციო რავანელის ეუხეშა და ყვითელ ბარათს გამოჰკრა ხელი, რომელიც მისთვის მეორე იყო. ამ გაძევებას დეიან სტანკოვიჩისა და ერთ წუთში პაველ ნედვედის გოლები მოჰყვა. დარჩენილ ორ წუთში კი სტუმრებს კარლოს სოსაც გაუგდეს.

## ინგლისი

### ლიგის თასის მერვედფინალი

**მანჩესტერ სიტი 2:1 უიმბლდონი**

0:1 რობერტსი (11), 1:1 ვანჩოპე (26), 2:1 გოტერი (81)

**ბირმინგემი 2:1 ნიუკასლი**

0:1 დაიერი (14), 1:1 ადებოლა (31), 2:1 ჯონსონი (90)

**ვესტ ჰემი 1:2 შეფილდ უენსდი**

0:1 მორისონი (30), 0:2 კრენი (49), 1:2 ლამპარდი (72)

**სტოკ სიტი 0:8 ლივერპული**

0:1 ციგე (6), 0:2 მიცერი (26), 0:3 ბაბელი (28), 0:4 ფაულერი (39), 0:5 ჰიპია (59), 0:6 მერფი (65), 0:7, 0:8 ფაულერი (82, 85პ)

**ფულემი 3:2 დერბი ქაუნთი**

0:1 კრისტი (13), 1:1 საჰა (28), 2:1 ლუისი (39), 2:2 ბურლი (45), 3:2 საჰა (90)

**რვა** გუნდიღა შემორჩა ლიგის თასს და აქედან მხოლოდ ოთხია პრემიერლიგელი. უმაღლესი საზოგადოების წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებით უიღბლო ოთხშაბათი გამოდგა: ერთბაშად სამმა მათგანმა თასისკენ მიმავალი გზა პირველდივიზიონელს დაუთმო.

ბოლო წუთებში წააგეს „ნიუკასლმა“ და „დერბი ქაუნთიმ“. ჯორდებმა ტრევორ ფრენსისის „ბირმინგემ სიტისთან“ კარგად დაიწყეს, კირონ დაიერმა გახსნა კიდეც ანგარიში, მაგრამ მასპინძლებმა პირველივე ტაიმში გაათანაბრეს, ძირითადი დროის წამატებულ წუთებში კი მცველმა მაიკლ ჯონსონმა, ფანები „მეჯიქს“ რომ ეძახიან, გადამწყვეტი გოლი შეაგდო. დაახლოებით ასეთივე სცენარით მიმდინარეობდა მატჩი ლონდონის „კრივენ კოტიჯში“, სადაც გიო ქინქლაძის გარეშე მოთამაშე დერბელები იგებდნენ, მაგრამ 90-ე წუთი მათთვისაც საბედისწერო გამოდგა — „ფულემის“ ფრანგმა ლეგიონერმა ლუი საჰამ სეზონში თავისი მე-17 გოლი (ამ მატჩში მეორე) გაიტანა და მოჰამედ ალ ფაედის გუნდი „ლივერპულს“ დააჯახა.

აბა, „ლივერპულზე“ რაღა უნდა ვთქვათ? ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს, თუმცა ორიოდ საინტერესო ამბავს ამ თამაშზეც გეტყვით.

პირველი ისაა, რომ შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს თვალს ადევნებდა... ისლანდია. ამ ყინულოვან ქვეყანაში, თუმცა გამთბარ სახლებში მყოფი ადამიანები „სტოკ სიტიში“ მოთამაშე თავიანთ ოთხ თანამემამულეს გულშემატკივრობდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, კინაღამ მეოთხე წუთზევე გაიხარეს — სტოკელმა პიტერ ტორნიმ ბურთი სტუმართა კარის ძელს გაარტყა... 90 წამში ანგარიში გაიხსნა და მას მერე მოედანზე ცალმხრივი მოძრაობა გაჩაღდა. ლივერპულელთაგან, ვისაც არ დაეზარა, ყველამ გაიტანა, თუმცა ჟერარ ულიე განსაკუთრებით რობი ფაულერის ჰეთ-თრიქმა გაახარა. სხვათა შორის, ეს ლიგის თასზე მერსისაიდული კლუბის უდიდესი სასტუმრო გამარჯვებაა. შეგახსენებთ, რომ „ლივერპული“ ამ თასს ხუთჯერ ფლობდა.

და კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი: ინგლისურ კლუბთან „ლივერპული“ ერთადერთიღაა, ვინც ერთბაშად ოთხ შეჯიბრში მონაწილეობს: ლიგის თასი, უეფას თასი, პრემიერლიგა და ქვეყნის თასი, რომლისთვისაც ბრძოლას ეს გუნდი იანვრიდან შეუერთდება. შეუძლია ჟერარ ულიეს გუნდს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ორი წლის წინანდელი მიღწევის განმეორება (მაშინ „იუნაიტედმა“ სამი შეჯიბრი მოიგო)? ამაზე ფრანგი ალალად პასუხობს, „მანჩესტერი“ სხვა დონის, გნებავთ, სხვა პლანეტის გუნდია და მას ვერ შევედრებითო.

## შოტლანდია

### XVIII ტური

**დანფერმლაინი 1:0 ჰართსი**

1:0 დეარი (40)

**ჰიბერნიანი 0:0 სელტიკი**

**მოზერუელი 2:0 სენტ მირენი**

1:0 ტვიდლი (74), 2:0 ნიკოლსონი (90)

**დანდი იუნ. 0:1 კილმარნოკი**

0:1 დარგო (77)

**სენტ ჯონსტონი 0:0 აბერდინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 18 | 14 | 3 | 1 | 43:19 | 45 |
| ჰიბერნიანი | 18 | 11 | 5 | 2 | 31:12 | 38 |
| რეინჯერსი | 16 | 10 | 2 | 4 | 36:21 | 32 |
| კილმარნოკი | 17 | 9 | 3 | 5 | 22:17 | 30 |
| ჰართსი | 18 | 7 | 4 | 7 | 28:29 | 25 |
| სტ. ჯონსტონი | 17 | 6 | 5 | 6 | 18:24 | 23 |
| დანდი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:18 | 22 |
| მოზერუელი | 18 | 6 | 4 | 8 | 24:26 | 22 |
| დანფერმლაინი | 18 | 5 | 5 | 8 | 15:22 | 20 |
| აბერდინი | 16 | 3 | 7 | 6 | 17:23 | 16 |
| სენტ მირენი | 18 | 3 | 2 | 13 | 12:35 | 11 |
| დანდი იუნ. | 17 | 1 | 2 | 14 | 11:35 | 5 |

## ჰოლანდია

### XIV ტური

**ფეიენოორდი 2:1 სპარტა**

1:0 კეისი (პ.კ.), 2:0 ბოსვე (76), 2:1 ელხატაბი (79)

**ჰერენვენი 1:1 ალკმარი**

1:0 დ. დე ნოიერი (13), 1:1 ნელისე (72)

**როზენდალი 0:1 ბრედა**

0:1 ბენდერსი (44)

**როდა 2:3 ვიტესი**

0:1 სიკორა (19), 0:2 მამადუ (52), 1:2 ანასტასიუ (60), 1:3 კრეეკი (68), 2:3 ანასტასიუ (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 13 | 11 | 1 | 1 | 32:12 | 34 |
| ვიტესი | 14 | 10 | 2 | 2 | 32:20 | 32 |
| პსვ ეინდჰოვენი | 13 | 9 | 3 | 1 | 23:9 | 30 |
| აიაქსი | 14 | 7 | 3 | 4 | 30:18 | 24 |
| როდა | 14 | 7 | 3 | 4 | 30:22 | 24 |
| ნაიმეგენი | 14 | 5 | 8 | 1 | 23:15 | 23 |
| ვალვაიკი | 13 | 6 | 4 | 3 | 15:10 | 22 |
| ალკმარი | 14 | 6 | 3 | 5 | 25:23 | 21 |
| ტვენტე | 14 | 5 | 5 | 4 | 25:23 | 20 |
| ბრედა | 14 | 6 | 2 | 6 | 21:21 | 20 |
| ჰერენვენი | 13 | 3 | 6 | 4 | 14:19 | 15 |
| უტრეხტი | 14 | 4 | 3 | 7 | 23:29 | 15 |
| ტილბურგი | 13 | 3 | 5 | 5 | 19:20 | 14 |
| გრააფსხაპი | 15 | 4 | 1 | 10 | 23:29 | 13 |
| გრონინგენი | 14 | 3 | 3 | 8 | 18:28 | 12 |
| სპარტა | 14 | 2 | 4 | 8 | 19:30 | 10 |
| როზენდალი | 15 | 3 | 0 | 12 | 21:40 | 9 |
| სიტარდი | 13 | 0 | 4 | 9 | 7:32 | 4 |

## ავსტრია

გადადებული მატჩები: ზალცბურგი — ტიროლი 1:1; რაპიდი — რიდი 2:1; შტურმი — გრაცერი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 21 | 12 | 5 | 4 | 41:17 | 41 |
| რაპიდი | 21 | 11 | 6 | 4 | 39:25 | 39 |
| აუსტრია | 22 | 11 | 5 | 6 | 37:21 | 38 |
| ზალცბურგი | 21 | 9 | 6 | 6 | 32:26 | 33 |
| გრაცერი | 21 | 9 | 4 | 8 | 29:27 | 31 |
| შტურმი | 21 | 9 | 3 | 9 | 37:30 | 30 |
| რიდი | 21 | 8 | 5 | 8 | 35:32 | 29 |
| ბრეგენცი | 22 | 6 | 4 | 12 | 28:43 | 22 |
| ადმირა | 21 | 4 | 4 | 13 | 17:50 | 16 |
| ლინცერი | 21 | 3 | 6 | 12 | 22:46 | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერსედესი სანტა კლაუსისგან




მაგნუს ნორმანი

ლისაბონი. პორტუგალია. „მასტერსის თასი“. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 3,7 მილიონი $

## წითელი ჯგუფი

II ტური

**პიტ სამპრასი (3, აშშ) — ალექს კორეჩა (7, ესპანეთი) 7:6 (7:2), 7:5**

თუ ჩოგბურთი ცოტა მაინც გაგეგებათ და ბოლო რამდენიმე წელია, მეტნაკლებად ადევნებთ შედეგებს თვალს, მაშინ კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ — პიტ სამპრასის ჩამოწერა ნაადრევად არასოდეს შეიძლება. დისკოზი აწუხებს თუ გადაბრუნებული კოჭი, გარდაცვლილ მწვრთნელს გლოვობს თუ თაფლობის თვეში ჩოგანს საერთოდ არ გაკარებია, უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონს ყველა მეტოქე ჭირივით უფრთხის, მის ლაზარესეულ მიდრეკილებაზე კი ქართულ ეკონომიკას ოცნებაც შერცხვება.

ერთი დღით ადრე ლისაბონის „მასტერსის თასზე“ თავისივე თქმით, ლეიტონ ჰიუიტისგან „დამცირებულმა“ ამერიკელმა ერთი უძილო ღამე გაატარა, მომხდარზე ბევრი იფიქრა და 0:6 წაგება დავიწყებას მისცა: „ლოგინში კრაგა ხანს ვიტრიალე და თვალი ძლივს დავხუჭე, იმ უსიამოვნო წუთებზე ფიქრი არ მასვენებდა. გადავწყვიტე, მოვიგებდი თუ წავაგებდი, ხეირიანად მაინც მეთამაშა“.

პირველი მატჩი ტურნირზე სამპრასის მეტოქეს, ალექს კორეჩასაც წააგო, ამიტომ უკან დასახევი გზა არც ერთს ჰქონდა და ორივეს უცილობლად გამარჯვება ესაჭიროებოდა.

ესპანელი „პისტოლ პიტის“ მოწოდებებზე უკეთ ირჯებოდა, უკანა ხაზიდანაც ნაკლებ ცდებოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში, როგორც ყოველთვის, სამპრასი შეუვალი იყო. აუღელვებლად გადაარჩინა ამერიკელმა ორი სეტ-პოინტი 5:6-ზე პირველ ხელში, მეორეში აურაცხელ ბრეიკ-პოინტსაც დაუძვრა და ერთი შეხედვით უპირატესობის მქონე კორეჩას ზედიზედ მეორე მარცხილა შეატოვა ხელში.

„ვერ ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშე, უბრალოდ, როგორც კი რაიმე შანსი გამიჩნდებოდა, პიტი არაჩვეულებრივად ირჯებოდა. საოცარია, გუშინს მერე როგორ მოახერხა მან ასე სწრაფად აღდგენა, ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან გამაკვირვა. აი, რატომაა ის კარგი ჩოგბურთელი, არა, კარგი კი არა, განსაკუთრებული“ — განაცხადა ესპანელმა.

ახლა სამპრასს კიდევ ერთი, ალბათ, მთავარი გამოცდა ელის წინ მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარატ საფინის სახით: „იმედი მაქვს, საფინი ისე კარგად ვერ ითამაშებს, როგორც აშშ-ის ღია პირველობის ფინალში. წესით, მოშვებული უნდა იყოს, ნაკლებად კონცენტრირებული. ისე კი, მას ყველაფერი გააჩნია, რათა დიდი ჩემპიონი გახდეს. ის უკვე არის კიდეც ნამდვილი ჩემპიონი“.

**მარატ საფინი (1, რუსეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (ნ,ავსტრალია) 6:4, 6:4**

ახალი თაობის ორი საუკეთესო წარმომადგენლის შეხვედრა იმედგამაცრუებელი გამოდგა. 19 წლის ლეიტონ ჰიუიტმა, რომელმაც სამშაბათს პიტ სამპრასი გაანადგურა, 20 წლის მარატ საფინის კამეჩის ჯან-ღონეს ვერაფერი დაუპირისპირა.

ATP ტურის, ალბათ, უსწრაფეს მოთამაშეს რუსის ყუმბარების გაუვნებლება ძალიან უჭირდა და კორტზე წაღმა-უკუღმა ციბრუტივით ტრიალის მიუხედავად, დამატებით ორ-ორი ხელფეხი თუ უშველიდა. საფინის უპირატესობა იმდენად თვალშისაცემი იყო, თავად მას ზოგჯერ თამაშის მიმართ ინტერესიც ეკარგებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, ანგარიში კიდევ უფრო ცალკარა რომ არ გამოდგა და ჰიუიტმა მეორე სეტში მეტოქისთვის ორჯერ მოწოდებისართმევაც მოახერხა.

ახლა საფინს მესამე ტურის მატჩში პიტ სამპრასის დამარცხებაც ეყოფა, რომ გუსტავო კუერტენისთვის მიუწვდომელი გახდეს და სეზონის ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგნობა სარეკორდოდ ახალგაზრდა ასაკში დაიბევოს. თუმცა ამერიკელთან შეხვედრის პერსპექტივა თავად მარატს არც ისე ხიბლავს: „ეგებ თქვენ ელით მოუთმენლად ჩემი და პიტის მატჩს, მაგრამ მე — სულაც არა. მისი მოწოდების უკან დაბრუნებაზე ფიქრი და აქეთ-იქეთ მიწყდომა სასიამოვნო სულაც არ არის. ის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელია“.

სამაგიეროდ, საფინს ძალიან მოსწონს ხანგრძლივი სეზონის დასრულებისა და საშობაოდ სანტა კლაუსისგან საჩუქრების მიღების პერსპექტივა: „საუკეთესო საჩუქარი კლასიფიკაციაში პირველობა იქნება. ამის გარდა კი თავში იმდენი რამ მიტრიალებს, მაგალითად, კიდევ ერთი მანქანა. ჯერ კიდევ შტუტგარტის ტურნირის დროს „მერსედესი“ უნდა მეყიდა, ქარხანაში შევუკვეთე კიდეც, მაგრამ ორი დღის მერე ხელმეორედ დავრეკე და მითხრეს, თქვენი მანქანა სადღაც გაქრაო. ასე რომ, კიდევ ერთხელ მომიხდა შეკვეთა. იმედია, საშობაოდ მზად იქნება“.

| | თ. | მ. | წ. | სეტ. |
|---|---|---|---|---|
| 1. მარატ საფინი | 2 | 2 | 0 | 4-1 |
| 2. ლეიტონ ჰიუიტი | 2 | 1 | 1 | 2-2 |
| 3. პიტ სამპრასი | 2 | 1 | 1 | 2-2 |
| 4. ალექს კორეჩა | 2 | 0 | 2 | 1-4 |

## მწვანე ჯგუფი

I ტური

**ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — მაგნუს ნორმანი (4, შვედეთი) 4:6, 7:5, 6:1**

ლისაბონის „ატლანტიკ პავილიონში“ დაგებული ნელი კორტი და ATP-ის მიერ არჩეული დიდი ბურთები, გათამაშებათა სწრაფად დამთავრებასა და რისკის გამწევისთვის კუთვნილი შამპანურის ბოძებას ხელს ნამდვილად არ უწყობს.

ამის დასტურად სწორედ ევგენი კაფელნიკოვისა და მაგნუს ნორმანის მატჩი გამოდგება: ქულებს, როგორც წესი, ის მოთამაშე ითვლიდა, ვინც უკანა ხაზზე მოკალათებული მოთმინებით ელოდა თავის შანსს ან მეტოქის შეცდომას, ბადესთან გასვლა და აქტიურობის სხვა მსგავსი გამოვლენა კი თითქმის უკლებლივ ისჯებოდა.

ერთხანს მეტისმეტად აგრესიულად განწყობილმა კაფელნიკოვმა საკუთარ ტყავზე იწვნია ამის უარყოფითი შედეგები და დროზე მოეგო გონს. სოჭელ ჟენიას ცოტათი გაუმართლა კიდეც: მეორე სეტში 4:4-ზე ნორმანს ოთხი ბრეიკ-პოინტიდან ერთი მაინც რომ გამოეყენებინა, მატჩი, ალბათ, სულ სხვაგვარად დასრულდებოდა.

ასე კი მძიმე სიტუაციისგან თავის დაღწევით ფრთაშესხმულმა რუსმა მესამე სეტში აშკარად დაჩაგრა საკუთარ თავზე გაბრაზებული და გასავათებული მეტოქე. თუმცა კაფელნიკოვს კიდევ ერთი ხიფათი ელოდა: „შესანიშნავი შემოვლებული დავარტყი, 5:1 დავწინაურდი, ამის აღსანიშნავად ჩოგანი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადავიტანე და მჯიღი მოვიღერე. წამის შემდეგ, ჩემდა გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ ხელს ველარ ვშლიდი“ — გაიხსენა მოგვიანებით სოჭელმა, რომელსაც რამდენიმე წუთის მანძილზე ერთბაშად ორი ექიმი წამლობდა.

ATP-ის ესკულაპებმა ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი, კაფელნიკოვს დაკრუნჩხული მკლავი აუმოძრავეს და მალე მატჩიც დასრულდა.

| | თ. | მ. | წ. | სეტ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ევგენი კაფელნიკოვი | 1 | 1 | 0 | 2-1 |
| 2. ანდრე აგასი | 1 | 1 | 0 | 2-1 |
| 3. გუსტავო კუერტენი | 1 | 0 | 1 | 1-2 |
| 4. მაგნუს ნორმანი | 1 | 0 | 1 | 1-2 |

**ავთანდილ სვანიძე**




ევგენი კაფელნიკოვი






იტალიელი სიმონ ბიანჩეტი და მისი „აკვარელი“ ლიდერებს გვარიანად ჩამორჩება

# ორომტრიალის წინადღე

**ბუენოს აირესის** პორტში თვლემენ „BT ჩელენჯის“ იახტები, ჰავანისაში — „ტაიმს კლიპერისა“. მათი ეკიპაჟები მომქანცველი ნაოსნობის შემდეგ დამსახურებულად ისვენებენ და ამბებიც ნაკლებად გვესმის იმ ორი დიდი ქალაქიდან. მხოლოდ ბუენოს აირესიდან შევიტყვეთ, რომ „ვერიტასის“ შკიპერს რეგატის მაკონტროლებელი საერთაშორისო ჟიურისთვის პროტესტი გაუშანშალებია. საქმე ქულების ჩამორთმევას ეხება, რითაც იახტა ძრავის უკანონო გამოყენებისთვის დასაჯეს. პროტესტი მიღებულია, შედეგი მომავალში იქნება.

„ვენდი გლოუბი“ კი კარნავალის ბოლო დღეებს ითვლის. რამდენიმე იახტიდან უკვე შემოთვალეს, ცაზე ღრუბლები მოჯარდნენო, მაგრამ რაღა შემოთვლა, მეტეოროლოგთა მოზრდილი ჯგუფი სპეციალურად რეგატის მარშრუტზე მუშაობს და საათების სიზუსტითა აქვს გათვლილი, ქარი როდის საით დაუბერავს და ტალღები რამხელა იქნება. მათგან დახატული სურათი ასეთია: ბოლო რამდენიმე დღეა, „ვენდი გლოუბის“ იახტები წმინდა ელენეს კუნძულიდან წამოსული მაღალი წნევის არის დასავლეთ საზღვარზე მიცურავენ, რაც ხელსაყრელ ქარსა და მაღალ სიჩქარეებს განაპირობებს. რეგატის ზონაში ქარი ერთგვარად ნახევარწრეს შემოწერს, ამიტომ ჩამორჩენილთათვის იგი აღმოსავლეთისაა, ლიდერთათვის — ჩრდილოეთისა და სამხრეთით ცურვისას ეს უკანასკნელები, ცხადია, მეტს ხეირობენ. ფრანგებმა, ივ პარლემ და მიშელ დეჟუაიემ მდევრები გვარიანად მოიტოვეს, უფრო პირველმა, რომელიც „ვენდი გლოუბზე“ ორი წარუმატებლობის შემდეგ მესამედ მაინც გამარჯვებას გეგმავს. პარლე იქნება პირველი, ვისაც ბუნება სულ მალე თავს დაატყდება და მერე სტიქიის შემოტევას მეტ-ნაკლებად სხვებიც იგემებენ. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაიძრა მარ დელ პლატას მაღალი წნევის არე და არგენტინის ნაპირიდან წამოსული წმინდა ელენესკენ მიემართება. დაბალი წნევის ზონა, რომლის განაპირასაც იახტები მოცურავენ, სულ უფრო ვიწროვდება და მალე მაღალი წნევის არეთა დიდი შეჯახება მოხდება (ხვალისთვის, სავარაუდოდ), ამას კი მოჰყვება წვიმა, ტალღები, ცვლადი მიმართულებით მობობოქრე ქარი და, აქედან გამომდინარე, მეზღვაურთა უძილობაც. მათ წამდაუწუმ იალქნების გადაყენება მოუწევთ და ის 15 კვანძიც, რომლითაც ახლა დეჟუაიე მიცურავს, სანატრელი გაუხდებათ. სხვებზე ნაკლებად კატრინ შაბო დაზარალდება, რადგან მან სიჩქარის დაკარგვის ხარჯზე თავიდანვე გაუხვია სამხრეთ-აღმოსავლეთით და ამჟამინდელი სიჩქარით რბოლას სხვებზე სტაბილურად გააგრძელებს.

მანამდე კი ზღვის მგლები სიწყნარითა და უსაქმურობით ცოტათი კიდევ დატკბობას ლამობენ. ელენ მაკარტური იტყობინება, წამდაუწუმ ანძაზე მივძვრები, ეგებ ირგვლივ რამე საინტერესო მომხვდეს თვალშიო, მაგრამ საინტერესო როლან ჟურდენმა ნახა, როცა ერთხანს მკვლელი ვეშაპების გუნდთან ცურვამ უწია. ხიფათს გადაეყარა ბრიტანელი ჯოშ ჰოლი, როცა მისი იახტა „EBP-გარტმორ“ მოულოდნელად დამუხრუჭდა და სამიშად შეირყა. იგი მავანი თევზსაჭერი გემისგან დაგებულ ბადეში გახვეულიყო. ინციდენტი მშვიდობიანად ამოიწურა და ჰოლმა გზა განაგრძო. იგი ახლა სამხრეთ განედის 20 გრადუსის რაიონშია, ბრიტანელივე მაიკ გოლდინგი კი ჩრდილოეთის 8 გრადუსისა. თუ რატომ ჩამორჩა ასე ძალიან რეგატის ფავორიტი, მკითხველმა იცის (გატეხილი ანძისა და 9-დღიანი პაუზის ისტორია), მაგრამ შესანიშნი ისაა, რომ გოლდინგი ყველაზე სწრაფად მიერეკება თავის საზღვაო ბედაურს და საზღვაო მილებს ელვის სისწრაფით ყლაპავს, ხოლო პრობლემები ისევ არ ელევა. ამჯერად წყლის მწარმოებელი აპარატი გაუფუჭდა ხელმეორედ და პარალელურად იმის შეკეთებაზე ჩალიჩობს.

საერთოდ, „ვენდი გლოუბის“ ძირითადმა მასამ გზის მეხუთედი უკვე გალია და მთლიან მარშრუტს ერთხელაც მოკლედ შეგახსენებთ: ლე საბლ დოლონი (საფრანგეთი) — ანტარქტიკა — კუნძული ჰერნი — ჰორნის კონცხი — ლე საბლ დოლონი. გზის 60 პროცენტი სამხრეთის წყლებში გადის, აისბერგებს შორის და თუ რომელიმე შკიპერმა ყურადღება მოადუნა, ღმერთმა ნუ ქნას და ეგებ „ტიტანიკის“ ისტორია განმეორდეს.

**დავით გულუა**

VENDEE GLOBE
2000 2001
LES SABLES D'OLONNE

**რეგატა «ვენდი გლოუბი»**

30 ნოემბრის ვითარება

პირველი ხუთეული

1. **ივ პარლე („აქუიტან ინოვასიონს“, საფრანგეთი) 18915 საზღვაო მილი ფინიშამდე;**
2. **მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანგეთი) +136;**
3. **როლან ჟურდენი („სილ“, საფრანგეთი) +220;**
4. **კატრინ შაბო („ვირლპულ“, საფრანგეთი) +223;**
5. **ელენ მაკარტური („კინგ ფიშერ“, დიდი ბრიტანეთი) +286;**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. მე-15 ტური** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 23.15 | 001 | უნტერჰახინგი-ვერდერი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 18.30 | 002 | კიოლნი-მიუნხენ 1860 | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 18.30 | 003 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 005 | ბოხუმი-აინტრახტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-ფრაიბურგი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 23.15 | 007 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 20.30 | 008 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.30 | 009 | კოტბუსი-ჰანზა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-15 ტური** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 010 | ფიურტი-არმინია | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 011 | ქემნიცი-დუისბურგი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 012 | ოსნაბრიუკი-როიტლინგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 013 | ზაარბრიუკენი-კიკერსი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 014 | მაინცი-ნიურნბერგი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-ალენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 18.00 | 016 | ულმი-ვალდჰოფი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 017 | ზტ. პაული-ალემანია | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 23.15 | 018 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. მე-16 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 019 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 020 | არსენალი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 021 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 022 | ბრედფორდი-ქოვენთრი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 023 | იფსვიჩი-დერბი ქაუნთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 024 | ლესტერი-ლიდსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 025 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 026 | ლივერპული-ჩარლტონი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 027 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 19.00 | 028 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 029 | ჩელსი-სიტი | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 24.00 | 030 | სანდერლენდი-ევერტონი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. 21-ე ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 031 | ბარნლი-ნოტინგემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 032 | ჯილინგემი-ბირმინგემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 033 | გრიმსბი-კრისტალ პალასი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 034 | ჰადერსფილდი-ქრიუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 035 | პორტსმუთი-ნორვიჩი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 036 | პრესტონი-ფულემი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 037 | უენსდი-ქუინზ პარკი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 038 | სტოკპორტი-შეფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 039 | ტრანმერი-ბლექბერნი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 040 | უიმბლდონი-ვესტ ბრომვიჩი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 041 | ვულვერჰემპტონი-ბარნსლი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.00 | 042 | ბოლტონი-უოტფორდი | 2,2 | 3,0 | 3,0 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. მე-20 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 043 | ბრენტფორდი-უიგანი | 2,7 | 2,8 | 2,3 |
| 19.00 | 044 | ბრისტოლი-ბერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 045 | კოლჩესტერი-ნოტსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 046 | ნორთჰემპტონი-სუინდონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 047 | ოლდემი-ოქსფორდი | 1,45 | 3,4 | 6,0 |
| 19.00 | 048 | პიტერბრო-რექსემი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 049 | რედინგი-კემბრიჯი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 050 | როტერჰემი-მილუოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 051 | სტოკი-ლუტონი | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 052 | სუონსი-როვერსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 053 | უოლსოლი-პორტ ვეილი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 054 | უიკომბი-ბორნმუთი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. მე-20 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 055 | ტორკი-კარდიფი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 17.00 | 056 | ექსეტერი-პლიმუთი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 057 | ბრაიტონი-ჰალიფაქსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 058 | ბრაიტონი-ჰალიფაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 059 | კარლაილი-ლინკოლნი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 060 | ჩელტენემი-ბარნეტი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 061 | ჩესტერფილდი-ლეიტონი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 062 | დარლინგტონი-მენსფილდი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 063 | ჰარტლპული-საუთენდი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 064 | კიდერმინსტერი-მაკლსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 065 | როჩდეილი-ბლეკპული | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 066 | სკანთორპი-ჰალი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 067 | იორკი-შრიუსბერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-19 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 20.15 | 068 | მეცი-ლიონი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 069 | ბასტია-ოსერი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 070 | ტრუა-ბორდო | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 23.00 | 071 | ნანტი-გენგამი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 072 | რენი-ლილი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 073 | სედანი-პსჟ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 074 | მონაკო-სტრასბური | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 23.00 | 075 | სენტ ეტიენი-ტულუზი | 1,55 | 3,2 | 6,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 076 | ლანსი-მარსელი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. 22-ე ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 077 | ლე მანი-ანჟე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 078 | მარტიგი-კანი | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 23.00 | 079 | კრეტეი-გენიონი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 080 | კაენი-ლავალი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 081 | შატორუ-ლორიანი | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 23.00 | 082 | ბოვუა-ნანსი | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 23.00 | 083 | აიაჩო-სოშო | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 23.00 | 084 | ნიცა-ვასკეალი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 21.00 | 085 | ნიმი-ლე ავრი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 086 | ნიორი-მონპელიე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | | **იტალია. სერია A. მე-9 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 087 | ლაციო-რეჯინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 088 | ლაციო-რეჯინა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.30 | 089 | პარმა-ატალანტა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 090 | ბოლონია-ვიჩენცა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 091 | ლეჩე-ფიორენტინა | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 092 | ნაპოლი-ბარი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 093 | პერუჯა-რომა | 4,0 | 2,9 | 1,85 |
| 18.00 | 094 | უდინეზე-მილანი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 18.00 | 095 | ვერონა-ბრეშა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.30 | 096 | ინტერი-იუვენტუსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **იტალია. სერია B. მე-14 ტური** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 097 | პესკარა-სალერნიტანა | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 098 | ანკონა-ტერნანა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 099 | ჩიტადელა-კროტონე | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 18.00 | 100 | ემპოლი-კალიარი | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 18.00 | 101 | მონცა-ტრევიზო | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 102 | პისტოიეზე-ჯენოა | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 103 | სამპდორია-სიენა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 18.00 | 104 | ტორინო-რავენა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 18.00 | 105 | ვენეცია-პიაჩენცა | 1,9 | 2,6 | 4,4 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 106 | კოზენცა-კიევო | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| | | **იტალია. სერია C1/ა. მე-13 ტური** | | | |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 107 | ალბინოლეფე-მოდენა | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 17.30 | 108 | ალესანდრია-პიზა | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 17.30 | 109 | ალძანო-არეცო | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 17.30 | 110 | ბრეშელო-ლეკო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 111 | კომო-რეჯანა | 1,6 | 2,9 | 6,5 |
| 17.30 | 112 | ლივორნო-სპალ | 1,6 | 2,9 | 6,5 |
| 17.30 | 113 | ლუკეზე-ვარეზე | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 17.30 | 114 | სპეცია-კარარეზე | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 115 | ჩეზენა-ლუმეცანე | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| | | **იტალია. სერია C1/ბ. მე-13 ტური** | | | |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 116 | ასკოლი-ატლეტიკო | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 17.30 | 117 | კატანია-ბენევენტო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 17.30 | 118 | ფ.ანდრია-ლოდიჯანი | 2,2 | 2,6 | 3,4 |
| 17.30 | 119 | მესინა-ჯულიანოვა | 1,65 | 2,8 | 6,0 |
| 17.30 | 120 | ნოჩერინა-ტორესი | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 17.30 | 121 | პალერმო-ფერმანა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 17.30 | 122 | სავოია-დი სანგრო | 1,7 | 2,6 | 6,5 |
| 17.30 | 123 | პეზარო-აველინო | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 17.30 | 124 | ვიტერბეზე-აკილა | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. მე-13 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 21.00 | 125 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 21.00 | 126 | რაიო ვალეკანო-რასინგი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 22.00 | 127 | ესპანიოლი-დეპორტივო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.15 | 128 | ოსასუნა-რეალი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 24.00 | 129 | სელტა-ბარსელონა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 130 | ოვიედო-მალაგა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 131 | ალავესი-ბილბაო | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 132 | ვილიარეალი-ნუმანსია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 133 | სოსიედადი-ლას პალმასი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 134 | სარაგოსა-მალიორკა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. მე-15 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 135 | ატლეტიკო-სალამანკა | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 21.00 | 136 | ფეროლი-ლეიდა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 137 | უელვა-ხეტაფე | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 138 | ელჩე-ლევანტე | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 22.00 | 139 | უნივერსიდადი-ეიბარი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 140 | კორდობა-მურსია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 141 | ბადახოსი-სევილია | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 20.00 | 142 | ბეტისი-ლეგანესი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 143 | კომპოსტელა-ალბასეტე | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 144 | ხაენი-სპორტინგი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 145 | ტენერიფე-ესტრემადურა | 1,5 | 3,4 | 6,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. I ლიგა. მე-13 ტური** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 146 | ბელენენსეში-გიმარაეში | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 147 | ბეირა მარი-ავეში | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 148 | ბრაგა-პორტუ | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 149 | კამპომაიორენსე-მარიტიმუ | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 150 | ამადორა-ჟილ ვისენტე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 151 | ფერეირა-ფარენსე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 152 | ლეირია-სალგეირუში | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 153 | ბენფიკა-სპორტინგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 01.00 | 154 | ბოავიშტა-ალვერკა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 155 | ბოავიშტა-ალვერკა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. მე-13 ტური** | | | |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 156 | ესპინიუ-მარკუ | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 157 | ფელგეირაში-ოვარენსე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 158 | ნავალი-ლამაში | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.30 | 159 | რიუ ავე-ვარზიმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 160 | ნასიონალი-ლეცა | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 161 | შავეში-ფრეამუნდე | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 162 | მაია-აკადემიკა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 163 | სეტუბალი-პენაფიელი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 164 | სანტა კლარა-იმორტალი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 165 | როდა-პსვ | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 22.30 | 166 | ტილბურგი-ალკმაარი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 167 | სიტარდი-უტრეხტი | 2,5 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 168 | სპარტა-გრააფსხაპი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 169 | ნაიმეგენი-ტვენტე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 17.30 | 170 | ვალვაიკი-გრონინგენი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 17.30 | 171 | აიაქსი-ჰერენვენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 172 | აიაქსი-ჰერენვენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-15 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 173 | იგლსი-ჰერაკლესი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 174 | ემენი-ჰელმონდი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 175 | ჰაარლემი-ოსი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 176 | დენ ჰააგი-ვენლო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 177 | დენ ბოსხი-ვეენდამი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 178 | დენ ბოსხი-ვეენდამი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.00 | 179 | კამბური-დორდრეხტი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 22.00 | 180 | მაასტრიხტი-ტელსტარი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.00 | 181 | ექსელსიორი-ზვოლე | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 182 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. მე-15 ტური** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 183 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 184 | ბევერენი-სენტ ტრუიდენი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 23.00 | 185 | შარლერუა-აალსტი | 1,45 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 186 | ანტვერპენი-მეხელენი | 1,75 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 187 | ლიერსი-ბეერსხოტი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 188 | გენკი-ლუვიე | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 23.00 | 189 | გენტი-სტანდარდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 190 | მუსკრონი-ლოკერენი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 191 | ჰარელბეკე-ვესტერლო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. მე-15 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 22.30 | 192 | გეელი-ტინენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 193 | ლიეჟი-დაინცე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 194 | ინგელმუნსტერი-დესელი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 195 | ოსტენდე-დენდერლეუ | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 196 | ჰეუსდენი-ლომელი | 3,6 | 3,2 | 1,75 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 197 | სტრომბეკი-ჰეკელგემი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 17.30 | 198 | მონსი-მაასლანდი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.00 | 199 | რუზელარე-მოლენბეკი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 18.00 | 200 | სერკლი-ტურნჰაუტი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **საბერძნეთი. მე-9 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 21.00 | 201 | პანიონიოსი-აეკ | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 202 | ოლიმპიაკოსი-კალამატა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 203 | ოლიმპიაკოსი-კალამატა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 19.00 | 204 | ქსანთი-პაოკ | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 205 | იანინა-პანაჰაიკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 206 | არისი-იონიკოსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 207 | ეთნიკოსი-ოფი | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| 20.45 | 208 | ირაკლისი-პანათინაიკოსი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 209 | ათინაიკოსი-პანილიაკოსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **ჩეხეთი** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 19.30 | 210 | სლავია-სპარტა | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 16.30 | 211 | ბლშანი-ბრნო | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| | | **თურქეთი. მე-15 ტური** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 212 | ანკარაგიუჯიუ-გალათასარაი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 213 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 15.30 | 214 | იოზგათი-ისთანბული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 16.00 | 215 | ანთალია-ქოჯაელი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 216 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 217 | იეთფა-დენიზლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 15.00 | 218 | რიზე-სამსუნი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 15.30 | 219 | ადანა-ბურსა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 21.00 | 220 | ფენერბაჰჩე-ერზურუმი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 221 | ფენერბაჰჩე-ერზურუმი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **შოტლანდია. მე-19 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 222 | აბერდინი-კილმარნოკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 223 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 224 | სელტიკი-დანფერმლაინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 225 | დანდი-სენტ ჯონსტონი | 1,9 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 226 | სენტ მირენი-დანდი იუნ. | 1,8 | 3,2 | 3,2 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.35 | 227 | ჰართსი-რეინჯერსი | 4,7 | 3,1 | 1,6 |
| 22.05 | 228 | მოზერუელი-ჰიბერნიანი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| | | **ავსტრია. მე-22 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 18.30 | 229 | ადმირა-ლინცერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 230 | რაპიდი-ბრეგენცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 231 | რაპიდი-ბრეგენცი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.30 | 232 | რიდი-აუსტრია | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 18.30 | 233 | ზალცბურგი-შტურმი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 19.30 | 234 | გრაცერი-ტიროლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-21 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 20.30 | 235 | ლოზანა-ქსამაქსი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 236 | ლუგანო-სერვეტი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.15 | 237 | არაუ-გრასჰოპერი | 2,2 | 3,1 | 3,2 |
| 19.15 | 238 | სიონი-ლუცერნი | 1,2 | 4,0 | 7,0 |
| 19.15 | 239 | სენტ გალენი-ივერდონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.15 | 240 | ციურიხი-ბაზელი | 1,75 | 3,2 | 3,4 |
| | | **კალათბურთი** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 801 | ფილადელფია-შარლოტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.00 | 802 | ტორონტო-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 803 | ბოსტონი-მინესოტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.30 | 804 | მაიამი-იუტა | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 04.30 | 805 | ორლანდო-ნიუ ჯერსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.00 | 806 | დეტროიტი-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 807 | ჩიკაგო-ნიუ იორკი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 07.00 | 808 | ვანკუვერი-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 809 | ლეიკერსი-სან ანტონიო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.30 | 810 | საკრამენტო-ფინიქსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 811 | ატლანტა-მილუოკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 812 | შარლოტი-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 813 | კლივლენდი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 814 | ნიუ ჯერსი-ორლანდო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 815 | ნიუ იორკი-მინესოტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 816 | ვაშინგტონი-მაიამი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.30 | 817 | ჰიუსტონი-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 818 | დენვერი-სიეტლი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.30 | 819 | გოლდენ სტეიტი-დალასი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 21.30 | 820 | ბოსტონი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 24.00 | 821 | მილუოკი-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 00.30 | 822 | ვანკუვერი-სან ანტონიო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.00 | 823 | დეტროიტი-ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 824 | ფინიქსი-პორტლენდი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 06.00 | 825 | სიეტლი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 06.30 | 826 | ლეიკერსი-დალასი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 04.30 | 827 | ნიუ იორკი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 06.00 | 828 | დენვერი-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 901 | ბუფალო-პიტსბურგი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 04.30 | 902 | ვაშინგტონი-ბოსტონი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 903 | ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 904 | ატლანტა-ტამპა ბეი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 05.00 | 905 | ფლორიდა-დეტროიტი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 05.00 | 906 | ნეშვილი-ჩიკაგო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 907 | კოლორადო-დალასი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 908 | ბოსტონი-ვაშინგტონი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.00 | 909 | ტორონტო-რეინჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 910 | ოტავა-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 911 | კალგარი-მონრეალი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 912 | პიტსბურგი-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 913 | ტამპა ბეი-დეტროიტი | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 914 | კოლუმბუსი-ატლანტა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.30 | 915 | სენტ ლუისი-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 06.00 | 916 | ფინიქსი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 07.00 | 917 | ვანკუვერი-ედმონტონი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 07.30 | 918 | ლოს ანჯელესი-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 919 | აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 02.00 | 920 | კაროლინა-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 921 | რეინჯერსი-კოლორადო | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 05.00 | 922 | ჩიკაგო-კოლუმბუსი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 05.00 | 923 | ედმონტონი-სან ხოსე | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 924 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 04.30 | 925 | ტორონტო-ფლორიდა | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.30 | 926 | ატლანტა-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 927 | კალგარი-სან ხოსე | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 07.00 | 928 | ვანკუვერი-ნეშვილი | 1,6 | 4,0 | 2,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

XI ტურის საუკეთესო მოთამაშე

## დავით აკოლაშვილი

დინამო


გუჩამ თოლორდავაშვილის ფოტო

მეათე ეროვნულის პირველ წრეში „დინამოსგან" დამარცხებული თსუ სამშაბათს სრულფასოვან რევანშს გეგმავდა, მაგრამ საპირისპიროდ კი მოხდა. ლევან მოსეშვილის „დინამომ" თავიდანვე ხელთ იგდო მატჩის სადავეები, მთელი შეხვედრა სასურველი სცენარით წარმართა და სტუდენტობას იოტის ოდენი შანსიც არ დაუტოვა.

დინამოელთა ლიდერსა და გამთამაშებელ დავით თორთლაძეს იმ დღეს ღირსეული პარტნიორობა გაუწია მისმა სეხნია აკოლაშვილმა, რომელიც სულ ახლახან, წრეებს შორის პერიოდში „მაკაბიდან" გადაბარგდა „დინამოში" და ამ კლუბში თავის მეორე ოფიციალურ მატჩს ატარებდა. ყოფილ გუნდში მუდმივად სათადარიგოებში მყოფი დავით აკოლაშვილი „დინამოს" ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა, თორთლაძესთან ერთად ბევრად უფრო შეხმატკბილებული გახადა „დინამოს" უკანა ხაზის ქმედება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში თსუ-სთვის გადაულახავი ჯებირი გამოდგა. მთლიანობაში აკოლაშვილი 28 ქულით ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა მატჩში, შორიდან სროლებში კი მას ბადალი არ ჰყავდა — 18 ქულა დათომ სწორედ სამქულიანებით მოაგროვა.

მთელი შეხვედრის განმავლობაში თითქმის უშეცდომოდ მოთამაშე აკოლაშვილმა „სარბიელისგან" აღიარება იმიტომაც დაიმსახურა, რომ იგი თავისი გუნდისთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიც ზუსტი იყო. შუაგულ თამაშში დაცვაში ზონურად განლაგებულ თსუ-ს სწორედ აკოლაშვილმა აგრძნობინა სნაიპერული ქმედებით ამ ტაქტიკის ამაოება, შეხვედრის მიწურულს კი, როცა დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, იმავე აკოლაშვილმა აალებინა ბრძოლაზე ხელი მეტოქეს — მან ერთ წუთში ორი სამქულიანი ჩააგდო და ყველა კითხვას პასუხი გასცა.

აკოლაშვილის გარჯა მარტო იმიტომ როდია დასაფასებელი, რომ იგი შეტევაში იყო მარჯვე. დათო ამ მატჩში დაცვითი თამაშითაც გამოირჩა. ლევან მოსეშვილმა მას სტუდენტური გუნდის ლიდერის, ირაკლი მაისურაძის გაუვნებლება დაავალა, რასაც წარმატებით გაართვა თავი. მართალია, მაისურაძემ „დინამოსთან" 17 ქულა მაინც გააკეთა, მაგრამ აკოლაშვილის გადამკიდე იმ ძირითად ფუნქციებს ვერ ასრულებდა, რაც გამთამაშებელს აკისრია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ „დინამოში" გადასვლის შედეგ აკოლაშვილი წარუმატებლობას საბოლოოდ მოიტოვებს უკან. ბოლო დროს დათო მართლაც ვერ ავლენდა თავის შესაძლებლობებს სრულად, რაც, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ შესაფერის გარემოში ვერ მოხვდა. აკოლაშვილისთვის შარშანწინდელი სეზონი იყო ბევრისმომცემი, როდესაც იგი „შევარდენში" თამაშობდა და ამ გუნდის ლიდერი იყო. ასკ-ში გადასვლამ მის კარიერას სასიკეთო ვერაფერი შესძინა, „მაკაბიში" კი იქნებ სულაც გული აეყარა კალათბურთზე, ლევან მოსეშვილს „დინამოში" რომ არ მიეწვია...

29 ნოემბერი

**ნიუ იორკი 81:84 მაიამი**

ნიუ იორკი: სპრიუელი (22)
მაიამი: გრანტი (24 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), მეისონი (19 ქულა, 18 მოხსნა)

**მინესოტა 100:107 დენვერი**

მინესოტა: გარნეტი (25 ქულა, 13 მოხსნა), ბილაფსი (21)
დენვერი: ვან ექსელი (30), ლაფრენცი (25), ლენარდი (19)

**ორლანდო 86:88 იუტა**

ორლანდო: მაკგრეიდი (28), ამაეჩი (17)
იუტა: მელოუნი (27 ქულა, 11 მოხსნა)

**ვანკუვერი 109:106 ფინიქსი**

(ძირითადი დრო 87:87)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (33 ქულა, 14 მოხსნა), ჰარინგტონი (16 ქულა, 14 მოხსნა)
ფინიქსი: კიდი (34), რობინსონი (18), მარიონი (14 ქულა, 19 მოხსნა, 8 პასი)

**დეტროიტი 97:76 ნიუ ჯერსი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (31), ბაროსი (18)
ნიუ ჯერსი: მარბერი (20)

**შარლოტი 103:79 ტორონტო**

შარლოტი: ვესლი (32), მაშბურნი (18)
ტორონტო: დევისი (15 ქულა, 12 მოხსნა)

**კლიპერსი 106:83 გოლდენ სტეიტი**

კლიპერსი: რიჩარდსონი (18), მაკინისი (18), ოდომი (16 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (24), ჰიუზი (20)

**ფილადელფია 93:87 ვაშინგტონი**

ფილადელფია: აივერსონი (29), რეთლიფი (18 ქულა, 9 დაფარება, 8 მოხსნა), სნოუ (18)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (26)

**სან ანტონიო 82:79 საკრამენტო**

სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 13 მოხსნა)
საკრამენტო: ვებერი (25 ქულა, 17 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (16)

# დანა ჯერ კიდევ ბასრია

„მაიამი ჰითსა" და „ნიუ იორკ ნიქსს" ბევრი მიზეზი აქვთ საიმისოდ, რომ ერთმანეთი გულზე არ ეხატებოდეთ. ამ ორი აღმოსავლელი ბობოლას მტრობა ხუთი წლის წინ იღებს სათავეს და მას აქეთ „ჰითმა" და „ნიქსმა" არაერთხელ გაამწარეს ერთმანეთი. მათი შეხვედრებიც ყოველთვის უკიდურესი დაძაბულობით გამოირჩევა. ასე იყო ახლაც.

წინა წლებში „ნიუ იორკისა" და „მაიამის" დაპირისპირებებში უმთავრესი და ყველაზე თვალსასეირო ორი მძლავრი ცენტრის — პატრიკ იუინგის და ალონზო მურნინგის დუელი გახლდათ. თუმც დღეს როლები შეიცვალა, „ნიუ იორკმა" იუინგი „სიეტლში" გაუშვა, მაიამელ მურნინგს კი თირკმლის დაავადების გამო მთელი სეზონის იძულებით გამოტოვება მოუწევს. ამიტომ ახლა წინა პლანზე წამოიწია უკანახაზელთა პაექრობამ. და მაინც, მიუხედავად ამისა, „მაიამიმ" სტუმრად რომ იმარჯვა, ძირითადად მისი მაღლების — ბრაიან გრანტის და ენტონი მეისონის დამსახურებაა.

ამ შეხვედრაში სტუმარ „მაიამის" მასპინძელზე მეტი მოტივაცია ჰქონდა, რადგაც უნდა დასჯდომოდა, ეს თამაში უნდა მოეგო. არა, აქ ძველი მტრობა არაფერ შუაშია. ფლორიდელები ახალ სეზონს ამბიციამოძალებულები შეეგებნენ, მაგრამ ერთი თვე გავიდა და მათ ატლანტიკის დივიზიონის ქვედა ეშელონიდან ფეხი ვერ მოუცვლიათ. „მაიამიმ" წააგო ბოლო ოთხი თამაში და შელახული თავმოყვარეობის აღდგენას ყველაზე უკეთ ამ შეხვედრის მოგებით მოახერხებდა. ფლორიდელებს ეს გამოუვიდათ.

სტუმართა დამრიგებელი პატ რაილი, რომელიც „მაიამიმდე" სწორედ „ნიუ იორკს" წვრთნიდა, დიდ იმედებს ამყარებდა დაბლებზე — ედი ჯონსსა და ტიმ ჰარდევეიზე. ამ უკანასკნელმა 16 ქულა გაახერხა. რაც შეეხება ჯონსს, მან თავისიანებს 15 ქულა შეაწია, თუმც ამისთვის უამრავი სროლა დასჭირდა, შეხვედრის მიწურულს კი სულაც დაალალატა თავისიანები, მეექვსე პერსონალური მიიღო და მატჩის მონაწილეთაგან მაყურებლებში გადაინაცვლა. ბედად, სტუმრებს ბრაიან გრანტი ჰყავდათ.

შეხვედრა მაიამელთა მცირე უპირატესობით დაიწყო, მასპინძლებმა ინერტულად აიღეს სტარტი და სტუმრებმაც ამით ისარგებლეს. „ნიქსიდან" ძირითადად ორი კაცი უწევდა „ჰითს" წინააღმდეგობას, ცენტრი მარკუს კემბი ფარქვეშ გრანტს ავიწროებდა, ლატრელ სპრიუელი კი ფარსგარეთ მუშაობდა, თუმც მათი გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა და „ნიუ იორკმა" პირველი ტაიმი 15 ქულის სხვაობით, 51:36 დათმო. მასპინძლები მეორე ნახევარშიღა გამოფხიზლდნენ და შეხვედრის ბოლოსთვის შეძლეს სხვაობის მინიმუმამდე შემცირება. აქ კი ივაჟკაცა ბრაიან გრანტმა, კემბის მეექვსე პერსონალური აჰკიდა და როგორც იქნა, მოიშორა. ამის შემდეგ მაიამელთა თავდამსხმელმა თავი ხალვათად იგრძნო და ფარქვეშ გაბატონდა. ბოლო წუთებში გრანტმა ორჯერ დაუფარა მასპინძლებს და რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთიც ჩააგდო, თუმც საფინალო სირენამდე ათი წამით ადრე ყველაფერი ლამის წყალში გადაყარა, როცა 84:81-ზე ორი საჯარიმოდან ვერც ერთი გამოიყენა. ბედად, მასპინძელმა კრის ჩაილდსმა ორი წამით ადრე სამქულიანი ააცილა და მეტოქე აზეიმა.

„ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება, რომელიც ამ სეზონში მოვიპოვეთ. ვფიქრობ, ეს წინაპირობაა იმისა, რომ ძველ ფორმას დავიბრუნებთ საშინელი ერთი თვის შემდეგ. ეს ნოემბერი ყველაზე ცუდად მახსენდება ჩემს კარიერაში" — „ნიუ იორკის" სტუმრად ძლევამ მაიამელთა დამრიგებელ პატ რაილი ... ტურად განაწყო.

„მაიამიზე" ... ფლორიდელი გუნდი „ორლანდო მეჯიქია". „ჰითისგან" განსხვავებით, ორლანდოელებს ნაკლებად გაუმართლათ. „ჯადოები" „იუტა ჯაზს" მასპინძლობდნენ და უგებდნენ, შეხვედრის ბოლოს კი, როგორც სჩვევიათ, ჩათვლიმეს და გამარჯვება სტუმრებს გადაულოცეს.

„ორლანდოს" ვერც ახალგამომცხვარმა ლიდერმა, 21 წლის ტრეისი მაკგრეიდიმ უშველა. მან ნატკენი იდაყვის გამო წინა ორი შეხვედრა გამოტოვა და ახლა შეხვეული ხელით „იუტას" 28 ქულა შეაგება. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მით უმეტეს, მაკგრეიდიმ შეხვედრის მიწურულს ყურადღება მოადუნა და ამით თავისი გუნდი აზარალა. ბოლო მეოთხედში მასპინძლები 11 ქულით იგებდნენ, მაგრამ მაკგრეიდი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და ბლომად კარგავდა ბურთებს, გამოცდილი „იუტა" ნაბიჯ-ნაბიჯ წამოეწია მეტოქეს და მელოუნმა ჯერ 84:84 გაათანაბრა, დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი 88:84 დააწინაურა თავისიანები. ჯონ ამაეჩის ორი საჯარიმო — სულ ეს მოახერხეს მასპინძლებმა დარჩენილ დროში. „მეჯიქის" მწვრთნელმა კი შეგირდთა უთავბოლოობა მსაჯთა არაკომპეტენტურობით გაამართლა, რომელთაც, მისი თქმით, ბოლო წუთში სულ ცოტა სამ ჯარიმაზე არ დაუსტვინეს მასპინძელთა სასარგებლოდ, რადგან „იუტა", რაც უნდა იყოს, ავტორიტეტია და მას არ აწყენინებდნენ.

ერთი თვეა, სეზონი დაიწყო, „დეტროიტ პისტონზი" კი ახლა კომპლექტდება. ამ ერთ კვირაში კლუბმა ორი თავისუფალი აგენტი, ჯერ ჯო სმიტი, ახლა კი დანა ბაროსი აიყვანა და ახალწვეულებიც ამართლებენ. სმიტმა თავის სადებიუტო მატჩში ახალ გუნდს 20 ქულა შეაწია, ბაროსმა კი სეზონი „ნიუ ჯერსისთან" გახსნა და 18 ქულით თავისიანებს მის განადგურებაში გვარიანად წააშველა ხელი. „მართალია, ბაროსს კარგა ხანია, არ უთამაშია, მაგრამ ეს მის დაღმასვლაზე სულაც არ მეტყველებს. პირიქით, დანა თავს არ ზოგავს და ეს ამ თამაშშიც გამოჩნდა" — ამბობდა ნამატჩევს „დეტროიტის" ვიცე-პრეზიდენტი და ამ გუნდის ყოფილი სუპერვარსკვლავი ჯო დუმარსი. „პისტონზში" კი საუკეთესო კვლავ ჯერი სტეკჰაუზი გახლდათ, რომელმაც 31 ქულა გაუხერხა გუნდსა და საკუთარ თავს და ლიგის ბომბარდირთა დავაში პირველი ადგილიც შეინარჩუნა.

სანამ ლიგის სტეკჰაუზამდელი ბომბარდირი, ტორონტოელი ვინს კარტერი ტრავმას იშუშებს, მისი გუნდი ყოველ მატჩში წასაგებადაა განწირული. აი, „შარლოტთან" კი „ტორონტოს", ალბათ, კარტერიც ვერ უშველიდა. შარლოტელმა „კრაზანებმა" მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ დაკბინეს მწარედ „დინოზავრები". ეს „შარლოტის" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იყო.

„ფინიქს სანზმა" ბევრი იჯაჯგურა ვანკუვერში იქაურ „დათვებთან", მატჩი ორჯერ დამატებით დროში გადაიყვანა და ეგებ ბრძოლა მესამე ოვერტაიმშიც გაგრძელებულიყო, ფინიქსელთა ლიდერ ჯეისონ კიდს ბოლო წამებზე ხელი რომ არ მოსცარვოდა. ამ შეხვედრაში კიდმა თავისი უშეცდომო მოვალეობის, პასების კეთების ნაცვლად ქულების დაგროვებას მოჰყო ხელი და საბოლოოდ სეზონში მისთვის ყველაზე მეტ, 34 ქულასაც მოუყარა თავი, თუმც მეორე ოვერტაიმის ბოლო წამებზე სამქულიანი ააცილა და გამარჯვება კანადაში დატოვა.

შინ გაუჭირდა ექსჩემპიონ „სან ანტონიოს" მუდამ მებრძოლ „საკრამენტოსთან". მასპინძლებმა მხოლოდ მას შემდეგ გატეხეს კერკეტი მეტოქე, რაც „საკრამენტოს" ლიდერებმა — კრის ვებერმა და ჯეისონ ვილიამსმა მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტრავმები მიიღეს და თამაშს გამოეთიშნენ.

**ირაკლი ფირცხალავა**


AP ნიუ იორკიდან

ნიუ იორკი — მაიამი. ნიუიორკელი კრის ჩაილდსის ამ სამქულიანს მატჩის დამატებით დროში გადაყვანა შეეძლო

# დანკანს ყურზე ვუკბინე, მელოუნმა კბილები ჩამომიღო

## უთხრა „სარბიელს“ ბრაიან გრანტმა, რომელსაც სტეფანია ნოვიცკის აგონებს

სეზონთაშორის პერიოდში თავისუფალ აგენტ ბრაიან გრანტზე დიდი მოთხოვნილება იყო. მისი დასაკუთრებისთვის ატეხილი ომი „მაიამი ჰითმა“ მოიგო და მეტად სასარგებლო ფორვარდი თავისთან გადაიბირა. ალონზო მურნინგის ავადმყოფობამ მისი ფასი ერთიორად გაზარდა. დღეს გრანტს თირკმელმტკივანი მურნინგის, ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრის ადგილი უკავია განახლებულ „მაიამიში“.

ამ დღეებში „სარბიელი“ მაიამიში ტელეფონით დაუკავშირდა ბრაიან გრანტს და ისიც უპრობლემოდ დათანხმდა ინტერვიუზე.



ბრაიან გრანტი (№44) ძალისმიერი თამაშითაც გამოირჩევა

**—ბრაიან, საქართველოდან გაწუხებთ.**

— ინტერვიუზე ჯერ არავისთვის მითქვამს უარი, მაგრამ ერთ შეკითხვას მეც დაგისვამთ — რატომ მაინცდამაინც მე? ნბა-ში ხომ ბევრი ჩემზე სახელმოხვეჭილი კალათბურთელი თამაშობს.

**— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქართველოში სხვა მოთამაშეებზე ნაკლები პოპულარობით არ სარგებლობთ. გარდა ამისა, რაც თქვენ, ენტონი მეისონი და ედი ჯონსი „ჰითში“ გადაბვედით, ეს კლუბი ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად იქცა.**

— ყველაფერი მართლაც მშვენივრად დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ გუნდიდან წავიდნენ მაშბურნი, ბრაუნი და რამდენიმე ძლიერი სათადარიგო მოთამაშე. შევსება არანაკლებ სოლიდური იყო. ბუქმეიკერებმაც „ჰითი“ „ლეიკერსის“, „ბლეიზერსისა“ და „სფურზის“ შემდეგ ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატად მიიჩნიეს. „ზოს“ (ალონზო მურნინგი) ავადმყოფობამ კი ყველაფერი აგვირია.

**— მურნინგი მართლაც რომ აუნაზღაურებელი დანაკარგია „ჰითისთვის“, მაგრამ თქვენ დღესაც ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი შემადგენლობა გყავთ...**

— ურიგო გუნდი მართლაც არ არის, მაგრამ ჯერ კიდევ უამრავ სათამაშო კომპონენტში მოვიკოჭლებთ. მაგალითად, ტონი (მეისონი), რომელიც ატლეტურ, აგრესიულ თამაშს ანიჭებს უპირატესობას, ვერ ხვდება, რომ პირველი შეტევის დროს უნდა გამოიტყუოს თავისი მეურვე სამწამიანი ზონიდან, რათა ედიმ (ჯონსი) და ტიმმა (ჰარდევეი) დაუბრკოლებლად ესროლონ. ალბათ, იკითხავთ, კი მაგრამ, ჯონსმა და ჰარდევეიმ ხომ მანამდე უნდა ჩამოიცილონ მეურვე? ამაზე გიპასუხებთ, რომ ჯონსი და ჰარდევეი ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დრიბლინგით გამოირჩევიან და ერთი-ერთზე ნებისმიერი მეურვის მოტყუება შეუძლიათ.

**— ვინ არის გუნდის ლიდერი?**

— ჰარდევეი. ტიმს ლიგაში ყველა აფასებს. მაშინაც კი, როდესაც „ზო“ მოედანზე იყო, ტიმი „ჰითის“ სულისჩამდგმელი და ნამდვილი ლიდერი გახლდათ. სათამაშო სქემების გარჩევისას მწვრთნელი პატ რაილი ხშირად ეკითხება ჭკუას ჰარდევეის. ჩემი აზრით, ტიმი, კარლ მელოუნი და დევიდ რობინსონი არიან სწორედ ის მოთამაშეები, რომლებსაც ყველაფერში უნდა მიბაძონ ახალგაზრდა ვარსკვლავებმა.

**— ორი წლის წინ მელოუნმა კინაღამ დალუპა თქვენი კარიერა, თქვენ კი მას სამაგალითო კალათბურთელად მიიჩნევთ.**

— ბოლო წლებში კალათბურთი აგრესიული გახდა. თანამედროვე ვარსკვლავები, ისეთები, როგორებიც შაკი, რაშიდ უოლესი და კრის ვებერი არიან, პირველ ყოვლისა, თავიანთი გაბარიტების წყალობით ცდილობენ უკეთესი პოზიციის დაკავებას, უკეთ გახსნას. მელოუნიც ამ ტიპის მოთამაშეა. ისე კი, რაღა დაგიმალოთ და მართლაც ისეთი მითავაზა... სამი კბილი ხომ მომტეხა, ტვინის შერყევაც მივიღე და „სან ანტონიოს“ წინააღმდეგ ჩალურჯებული თვალით ვითამაშე.

**— ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გიჭირთ თამაში?**

— ასეთები ლიგაში ბევრნი არიან. თავიანთი სიმაღლის ხარჯზე ყველას ჩაგრავენ გარნეტი, უოლესი და დანკანი. უოლესი ფორვარდის კვალობაზე ძალიან მოქნილია. ეფექტურად თამაშობს გარნეტი, თუმცა მისი გუნდი ვერასდროს გახდება ჩემპიონი. დანკანი კი ლიგაში ყველაზე გაწონასწორებული მოთამაშეა. „ბლეიზერსისა“ და „სფურზის“ ნახევარფინალური სერიის დროს რა აღარ ვიღონე, წყობიდან რომ გამომეყვანა, ერთხელ ყურზეც კი ვუკბინე, მაგრამ არც ამან გაჭრა.

**— ნბა-ში ორი წლის განმავლობაში თამაშობდა ჩემი თანამემამულე ვლადიმერ სტეფანია. რას ფიქრობთ მის შესახებ?**

— სტეფანიას ურიგო სროლა არა აქვს, მისი სიმაღლის გათვალისწინებით სწრაფიცაა, მაგრამ აშკარად უნდა მოლონიერდეს. იგი „მავერიქსში“ მოთამაშე დირკ ნოვიცკის მაგონებს, თუმცა გერმანელმა სტეფანიაზე მალე აუღო ალღო პროფესიონალებში თამაშს. თანაც სტეფანია მოხვდა ისეთ გუნდში, სადაც მაქსიმუმ ხუთი-ათი წუთის განმავლობაში ეძლეოდა თამაშის საშუალება. ამასთანავე იგი ძალიან სწრაფად ჯარიმდება. „სიეტლისა“ და „პორტლენდის“ ერთ-ერთი შეხვედრის დროს რაშიდმა (უოლესი) სულ რაღაც ოთხ წუთში მიაღებინა მას ხუთი პერსონალური, რის შემდეგადაც სტეფანია საერთოდ აღარ გამოჩენილა მოედანზე.

**— თქვენი აზრით, ვინ არის წლევანდელი ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატი?**

— რა თქმა უნდა, „ჰითი“. ჩვენი კონფერენციიდან ფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს „ფილადელფიას“, რომელიც წლეულს გაცილებით გამართულად თამაშობს. ურიგოდ არ ირჯებიან „ნიუ იორკი“, „შარლოტი“ და „ტორონტო“.

დასავლეთიდან კი ერთბაშად შვიდრვა გუნდს შეუძლია ფინალში მოხვედრა, უპირველესად კი, ალბათ, მაინც „ლეიკერსსა“ და „სფურზს“.

**— ბრაიან, თქვენი აზრით, ვინ არის ნბა-ს საუკეთესო მოთამაშე?**

— ნბა-ს ისტორიაში თუ დღესდღეობით?

**— დღესდღეობით.**

— ალბათ, მაინც შაკი. რომ არა ონილი, „ლეიკერსი“ პლეი ოფს პირველივე წრეში დამარცხდებოდა „საკრამენტოსთან“. შაკის შემდეგ კი მოდიან პეიტონი, აივერსონი და დანკანი.

**— როგორც მოთამაშე, ვინ იყო თქვენი კერპი?**

— ლარი ბერდი. თავისუფალ დროს ხშირად ვუყურებ „სელტიქსისა“ და „ლეიკერსის“ ძველ თამაშებს. დღევანდელ კალათბურთს ერთობ აკლია ლარის, მეჯიქისა და ჯორდანის ყაიდის მოთამაშეები. ეს კალათბურთელები ქმნიდნენ შოუს, დღევანდელი თაობა კი თამაშის სტატისტიკური მონაცემებით უფრო დაინტერესებული, ვიდრე მისი სანახაობრივი მხარით.

**— კი მაგრამ, თქვენც ხომ ამ თაობის წარმომადგენელი ხართ?**

— სამწუხაროდ, მართალი ბრძანებით. ნბა-მ დაკარგა ის, რის გამოც 10-15 წლის წინ ცალკე სამყაროდ აღიქმებოდა.

**— კალათბურთის გარდა, რა გიტაცებთ?**

— სპორტის სახეობებიდან — კრივი და ცურვა. ვაგროვებ ვიდეოფილმებსაც, კვირაში სამ-ოთხ კასეტას ვყიდულობ. ძალიან მომწონს არნოლდ შვარცნეგერისა და უესლი სნაიპსის ფილმები, განსაკუთრებით „BLADE“, სადაც უესლისთან ერთად ჩემი მეგობარი სტივენ დორფიც თამაშობს.

**— ცხოვრებას თავიდან რომ იწყებდეთ, რას შეცვლიდით?**

— არაფერს, რადგანაც კალათბურთმა ძალიან ბევრი მომცა. არ ვგულისხმობ მხოლოდ ფულს, სპორტმა, პირველ ყოვლისა, ადამიანებთან ურთიერთობა მასწავლა.

**ზურაბ თალაკვაძე**

## ევროპის ჩემპიონატი 2001

### შესარჩევი ეტაპი. VIII ტური. 29 ნოემბერი

### A ჯგუფი

**სლოვაკეთი 61:81 უნგრეთი**

სლოვაკეთი: ბოპუნიცკი (5), გავლაკი (6), კრამერი (3), მიჩუდა (10), პრაჟნოვსკი (14), სნოპკო, შტეცი (13), სვიტეკი (4), ვიმერი (6)
უნგრეთი: ციგლერი (11), ფოდორი (3), გემეში, პალმი (4), კალმანი (17), მესაროში (3), ნემეტი (9), პანკარი (10), შიტკუ (24)

**ინგლისი 69:74 ლატვია**

ინგლისი: ბეიკერი, ბეტსი (17), ბაკნელი (7), დორსი (10), გარდინერი (1), ჰანსელი (15), ჰესლემი (2), ჰიუგინსი (15), ვილიამსი (2)
ლატვია: ბაგაცკისი (33), ჰელმანისი (3), ლაკსა (2), მელნიკსი, რ. მიგლინიეკსი (12), შტელმახერსი (10), შტურმსი (8), ვალეიკო (2), ვეკვაგარსი (4), ვიტოლსი

**შვეიცარია 74:83 ხორვატია**

შვეიცარია: ბორტერი (4), ჩერეზა (8), ედვარდსი (11), ჟაკიე (2), კოლერი (7), მრაზეკი (20), სასელა (7), ვალისი (15)
ხორვატია: კრსტიჩი (20), მამიჩი (2), მარცელიჩი (27), მარიჩი (9), ნიჩევიჩი (4), ი. რუჟიჩი (11), ტ. რუჟიჩი, ვუიჩიჩი (6), ჟიჟიჩი (4)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 8 | 8 | 0 | 672:543 | 16 |
| ლატვია | 8 | 5 | 3 | 664:594 | 13 |
| ინგლისი | 8 | 4 | 4 | 608:602 | 12 |
| უნგრეთი | 8 | 4 | 4 | 574:574 | 12 |
| შვეიცარია | 8 | 3 | 5 | 545:608 | 11 |
| სლოვაკეთი | 8 | 0 | 8 | 494:636 | 8 |

### B ჯგუფი

**ბელარუსი 78:86 საბერძნეთი**

ბელარუსი: ალექსეევი (2), ბაიდაკოვი (14), კლემეზი (14), კოვნეცი (2), კუზმინი (3), კრივონოსი (3), კული (17), მეშჩერიაკოვი (23), პინტიკოვი
საბერძნეთი: ალვერტისი (23), ხარისისი (5), დიამანტოპულოსი (10), ეკონომუ (7), იაკულისი (2), დიკუდისი (5), პაპადოპულოსი (6), პაპალუკასი (12), პაპანიკოლაუ (7), სიგალასი (9)

**პოლონეთი 81:73 ესტონეთი**

პოლონეთი: პლებოვიცკი (4), პიზი (6), იანკოვსკი (2), კორიტეკი (8), კოსციუკი, პლუტა (10), სიდორი (2), ტომჩიკი (12), ვოიციკი (21), ზიელინსკი (16)
ესტონეთი: კრიისა (2), კულამი (11), კუუსმაა (8), მეტსტაკი (13), მიიუურსეპი (24), პარნი (2), პეჰკა (9), რუმა (2), ტეინი (2)

**ავსტრია 83:84 ჩეხეთი**

ავსტრია: ბუგელშაიმი (2), ფრიცი (3), ჰელმიკი (2), მოშიკი, რენფროუ (14), სტაჟიჩი (17), ვოლჩიჩი (25), ვაისენბეკი (20)
ჩეხეთი: ბეჩკა (4), ბენეში (3), ფრანა, კუბალეკი (17), ნოვაკი (9), შტუხლი (16), ტრნკა (10), ველში (25)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 8 | 8 | 0 | 654:536 | 16 |
| ესტონეთი | 8 | 5 | 3 | 630:598 | 13 |
| პოლონეთი | 8 | 5 | 3 | 625:607 | 13 |
| ჩეხეთი | 8 | 4 | 4 | 615:623 | 12 |
| ბელარუსი | 8 | 1 | 7 | 574:635 | 9 |
| ავსტრია | 8 | 1 | 7 | 565:664 | 9 |

### C ჯგუფი

**ჰოლანდია 73:56 ბოსნია**

ჰოლანდია: დე ფრიზი (4), ფლანდერსი (16), ჰარისი, ჰაინენი (20), ჯონსი (3), კრიგერი, ლომერსე, სმიტსი (21), ტრიემსტრა (9)
ბოსნია: ფირიჩი (6), ჰუკიჩი (17), კაჰრიმანოვიჩი, კრასიჩი (2), ლერიჩი (6), მრშიჩი (11), ოვჩინა (8), სულიანოვიჩი (6)

**ფინეთი 68:86 ისრაელი**

ფინეთი: ჯოინერი (4), კოტი (4), კუისმა (20), კუმპულაინენი (5), ლეჰტორანტა (2), ლუჰტანენი (1), მაკელა (15), პეჰკონენი (5), პრატესი, რიიჰელა (12)
ისრაელი: ბურშტეინი (6), კოენი (14), გრინი (11), მუხტარი (8), ნისიმი (4), საფარი (7), შარფი (21), შელეფი (8), ტამირი (4), თორჯემანი (3)

**შვედეთი 101:98 ბულგარეთი**

შვედეთი: ბულანდერი (23), სალსტრომი (23), ი. ლარსონი (21), ჰ. ლარსონი (16), პეტერსონი (8), ბერგსტრომი (3), დიარა (2), დიუბო (2), იონსონი (3)
ბულგარეთი: დიმიტროვი (26), მინჩევი (19), სტოიკოვი (13), რადიონოვი (11), პეტროვი (9), ნატოვი (8), კოჩინოვი (2), ანგელოვი (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 8 | 7 | 1 | 650:540 | 15 |
| ჰოლანდია | 8 | 4 | 4 | 596:572 | 12 |
| ბოსნია | 8 | 4 | 4 | 581:594 | 12 |
| ფინეთი | 8 | 4 | 4 | 637:697 | 12 |
| ბულგარეთი | 8 | 3 | 5 | 636:638 | 11 |
| შვედეთი | 8 | 2 | 6 | 600:659 | 10 |

### D ჯგუფი

**პორტუგალია 67:71 მაკედონია**

პორტუგალია: ანტუნეში (21), აზევედუ, დე კამპოსი, დიასი (4), პინტუ (17), სიმაო (5), მაჩედუ (6), მონტეირუ (5), ოლივეირა (9), პერდიგაო
მაკედონია: ბლაჟევსკი (3), ბოჩევსკი (16), ჩეკოვსკი (7), გეჩევსკი (4), იოვანოვსკი (5), კურტოვიკი, ნაუმოსკი (22), სტეფანოვი (14)

**უკრაინა 92:89 ბელგია**

უკრაინა: ხრიაპა (17), ლოხმანჩუკი (20), მოლჩანოვი, ოკუნსკი (13), პუდზირეი (5), რაევსკი (4), იაილო (24), იევსტრატენკო (9)
ბელგია: ბაერტი (6), ბაიერი, ბეგინი (2), კლეიმანსი (5), ელისი (22), ჟომინი (24), ლაუერსი (4), სტასი (12), სტრიულენსი (14), ვან დენ შპიგელი

**ისლანდია 80:90 სლოვენია**

ისლანდია: არნარსონი (2), ბირგისონი, ეინარსონი (5), გუნარსონი (29), ჰაფსტეინსონი, მაგნუსონი (10), ნუნდარსონი (1), ორმსონი (15), ფ. სტეფანსონი (4), ი. სტეფანსონი (14)
სლოვენია: ალიბეგოვიჩი (16), ბეჩიროვიჩი (14), ბრეზეცი (1), დრაგშიჩი (5), დუშჩაკი (6), გოლემაცი (4), გორენცი (13), გრუმი (6), სმოდიში (2), ტუშეკი (23)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 8 | 8 | 0 | 699:558 | 16 |
| უკრაინა | 8 | 6 | 2 | 616:535 | 14 |
| მაკედონია | 8 | 5 | 3 | 617:572 | 13 |
| ბელგია | 8 | 4 | 4 | 615:573 | 12 |
| პორტუგალია | 8 | 1 | 7 | 563:656 | 9 |
| ისლანდია | 8 | 0 | 8 | 495:711 | 8 |



REUTERS ფოტო

უკრაინა — ბელგია. უკრაინელი ალექსანდრ რაევსკი ჰერსტ ბაერტს (მარცხნივ) და ტომ ვან დენ შპიგელს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვიშ, რა კარგია ვიშის ქვეყანა!
## გადავითვალოთ ქალები

დასაწყისი პირველ გვერდზე

**მსაჯმა** დიდი ბოდიშით აცნობა ნონას უსიამოვნო შედეგი — ალმის ჩამოვარდნა. „აუხსნელიაო“, ვახსენე, მაგრამ ახსნა ამ უცნაურ მოვლენას ალბათ მაინც აქვს. ნებისმიერ ასაკში (ნონა მაისში 60 წლის ხდება და, იმედია, შევძლებთ გამორჩეულად აღვნიშნოთ ეს დიდი იუბილე) ძნელია ჩემპიონატამდე 2 დღით ადრე მსგავსი საჰაერო მარშრუტის დაფარვა: თბილისი — ფრანკფურტი — ლისაბონი (23 ნოემბერს ნონამ იქ ლექცია ჩაატარა სმისლოვთან და იუდიტ პოლგართან ერთად) — ციურიხი — დელი. ნონა, მართლაც, განსაკუთრებული „ჯიშისაა“ (ამიტომაც გადაგვიარა თავის დროზე „ტანკივით“), მაგრამ, რომ იტყვიან, „მეტისმეტი რეტისრეტიო“. ინგა ხურცილავა ჩვენებიდან პირველი გავიდა შემდეგ ეტაპზე. II რაუნდში მისი მეტოქე იქნება ლიტველი ვიქტორია ჩმილიტე, რომელმაც ოლიმპიადაზე I დაფა მოიგო! იქამდე კი — ლიტვის ვაჟთა ჩემპიონატი. I რაუნდში მასაც საოცრად გაუმართლა: მეტოქემ მოგებულ დაბოლოებაში ბოლო სვლა გააკეთა და დროს გადააცილა.

ოლიმპიადაზე ნინო ხურციძემ ჩვენებიდან ყველაზე მეტი — 13 პარტია ითამაშა. ეტყობა, რომ ჩემპიონატამდე სარეაბილიტაციოდ დარჩენილი დრო არ აღმოჩნდა მისთვის საკმარისი. სტარტზე დაშვებული უხეში შეცდომის გამო ნინოს II ტურში მხოლოდ გამარჯვება აწყობდა, რათა დამატებით სწრაფ პარტიებში გადაეწყვიტა მატჩის ბედი. მთელი პარტიის განმავლობაში ნინო დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამერიკელმა ანა ჰანმა ჩვენებურს მეორე პარტიაც მოუგო.

სოფიკო ტყეშელაშვილს არ გამოუვიდა შავებით თამაში ალისა მარიჩთან და 30-ე სვლაზე იძულებული გახდა დანებებულიყო.

ნამდვილად გამარჯვებას იმსახურებდა მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ნორჩი მონაწილე ლელა ჯავახიშვილი. ჩვენებში სწორედ ლელას ჰყავდა ყველაზე მრისხანე მეტოქე — ქეთევან კახიანი, ასევე ჩვენი, მაგრამ გერმანული პასპორტით. ოლიმპიადის ბოლო ტურში ქეთიმ ბრწყინვალედ დაამარცხა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ალისა გალიამოვა. ლელა ჯავახიშვილმა შავებით შესანიშნავად გადაითამაშა გამოცდილი მეტოქე, მოუგო პაიკი, და როცა გამარჯვებამდე ნახევარი ნაბიჯი დარჩა, წაიფორხილა. „შესანიშნავი მოწაფე გყოლიაო“ — მითხრა პარტიის შემდეგ დაღლილმა და ყაიმით გახარებულმა ქეთევან კახიანმა. II რაუნდში ქეთი მანაკოვას ხვდება თეთრებით.

ახლა ცოტაც სასიამოვნო, რომ გიხაროდეთ. II ეტაპზე გასვლა ქეთევან არახამიამ (რომელიც შოტლანდიაში ცხოვრობს და რომელსაც ქართული პასპორტი არ გამოუცვლია) კიდევ ერთი გამარჯვებით აღნიშნა. მან თავისი ძლიერი მხარე გამოიყენა და ტაქტიკურ ბრძოლაში აჯობა თეორიულად კარგად განსწავლულ ამერიკელ ჯენიფერ შაჰადს, რომელიც, სხვათა შორის საჭადრაკო ოჯახიდან ყოფილა (მამაც და ძმაც მოჭადრაკეები ჰყოლია).

მაშ ასე, I რაუნდის ბატალიების შემდეგ, „კოგდა სჩიტატ მი სტალი რანი“, აღმოჩნდა, რომ 9 ქალიდან დაგვრჩა 4; რუსებს 6-დან 5; ჩინელებს 5-დან 4.

II რაუნდიდან ვაჟთა ჩემპიონატი ჩვენთვისაც საინტერესო ხდება — ორთაბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი, მსოფლიო თასის მფლობელი ვიში ანანდი და ზურაბ აზმაიფარაშვილი ჩაერთვებიან.

მახსოვს, ერთხელ მე და ცნობილი რუსი ჟურნალისტი იური როსტი ჟვანეცკის კონცერტზე დაგვიანებით მივედით. დარბაზი გადატენილი იყო. გაგვიმართლა, 2 კაცი წამოდგა და გავიდა. ჟვანეცკიმ კითხვა შეწყვიტა: — „ეტყობა, უინტერესოა და ამიტომ გადიანო“. მერე ჩვენ შეგვამჩნია — „სამაგიეროდ, როგორი ორი შემოვიდაო“! და გახარებულმა გააგრძელა კითხვა. ეს შემთხვევა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ჩვენი ქალების მოულოდნელმა გავარდნამ გამახსენა. სამაგიეროდ, როგორი ორი შემოდის: მაია ჩიბურდანიძე და ნანა იოსელიანი.

ძველო გვარდიავ, აბა თქვენ იცით!

### გუშინ

*დელიში მეორე რაუნდი დაიწყო. ქალებშიც და ვაჟებშიც საქმეში ფავორიტები ჩაერთვნენ. მეტწილად ისევ ცუდი ამბის მაცნენი ვართ. ოთხი ქართველი ქალიდან სამმა წააგო, ერთმა მოიგო და ზურაბ აზმაიფარაშვილმაც. ჩვენიანთა და სხვა ფავორიტების ნათამაშევს ქვემორე ცხრილს გაგაცნობთ.*

**ქალები**

**მაია ჩიბურდანიძე — კორინა პეპტანი (რუმინეთი) 0:1**
**ნანა იოსელიანი — ნიინა კოსკელა (ფინეთი) 1:0**
**კანინგ ქინი (ჩინეთი) — ქეთევან არახამია-გრანტი 1:0**
**ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) — ინგა ხურცილავა 1:0**
**სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) — ნატაშა ბოიკოვიჩი (იუგოსლავია) 1:0**

**კაცები**

**ზურაბ აზმაიფარაშვილი — ვლადიმირ ბაკლანი (უკრაინა) 1:0**
**ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა) — ვიშვანათან ანანდი 0,5:0,5**
**ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — ჟილბერტო მილოში (ბრაზილია) 1:0**
**დაო თიენ ჰაი (ვიეტნამი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5**
**ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5**
**ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) — იან ელვესტი (ესტონეთი) 0,5:0,5**
**ანდრეი ხარლოვი (რუსეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5**
**ევგენი ბარეევი (რუსეთი) — რაფაელ ვაჰანიანი (სომხეთი) 1:0**



# პარასკანდალი

**ესპანეთის** პარაოლიმპიურმა კომიტეტმა (ეპკ) სენსაციური გამოძიება დაიწყო. სკანდალი ერთ-ერთი პარაოლიმპიური ჩემპიონის განცხადებას მოჰყვა, რომელიც ამტკიცებს, რომ სიდნეიში გონებრივად ჩამორჩენილების „ნილბით“ ბევრი და ჯანმრთელი სპორტსმენი გაიგზავნა, რათა ესპანეთის დელეგაციის შედეგები გაუმჯობესებულიყო.

კარლოს რიგაბორდამ, რომელიც, ხელობით ჟურნალისტია და ოქტომბერში სიდნეის პარაოლიმპიურ თამაშებზე ესპანეთის კალათბურთელთა ნაკრებში თამაშობდა, განაცხადა, რომ მას და მის ცხრავე თანაგუნდელს არანაირი სამედიცინო შემოწმება არ გაუვლიათ. ექიმთა დასკვნის გარეშე კი ადამიანზე გონებრივად ხეიბარიაო, ძნელი სათქმელია. მანვე აღნიშნა, რომ ესპანეთის ინვალიდ კალათბურთელთა გუნდში უკვე ორი წელია, ირიცხება, არადა, დებილი და დაუნი ნამდვილად არა ჩანს. ისე, რიგაბორდას საუბარი საკმაოდ დალაგებულია და მისი სიცრუეში დადანაშაულება იოლი არ არის.

ეპკ-მ გადაწყვიტა, სიდნეის პარაოლიმპიურ თამაშებზე ყველა ესპანელი შეამოწმოს. ესპანეთის პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხოსე მარია აროიომ განაცხადა — თუ რიგაბორდას ბრალდებები გამართლდა, მაშინ ყველა დამნაშავე სასტიკად დაისჯებაო.

სკანდალი სკანდალად და თუ გაინტერესებთ, ესპანელი ინვალიდების სიდნეური შედეგები, გეტყვით, რომ პირინეელებმა ავსტრალიაში თავიანთი საუკეთესო შედეგი აჩვენეს, ჯამში 107 მედალი მოიპოვეს და მხოლოდ მასპინძლებსა და დიდბრიტანელებს ჩამორჩნენ.

**გაგი გურული**






ფელიქს ტრინიდადი (მარცხნივ) და ფერნანდო ვარგასი დონ კინგმა (შუაში) მოარიგა

# აი, ამპარტავნობა!
## უხმობენ ტრინიდადს, შედის ვარგასი, უხმობენ ვარგასს, შედის ტრინიდადი

**წესი** ისაა, რომ რინგზე ჯერ ჩემპიონობის მაძიებელი ადის, მერე კი ჩემპიონი. წესი ისიცაა, რომ საზოგადოებას ჯერ პრეტენდენტის გვარ-სახელს უცხადებენ, შემდეგ კი ჩემპიონისას.

მაგრამ ფელიქს ტრინიდადს პირიქით უნდა. მერე რა, რომ ჩემპიონი ფერნანდო ვარგასია, მე უფროსი ვარ, უფრო ხანგრძლივი კარიერა მქონდა და ქამრებისთვის გაცილებით მეტი მიბრძოლიაო. ერთი სიტყვით, შაბათს, პირველ საშუალო წონაში საჩემპიონო ბრძოლის წინ, ლას ვეგასის „მენდალი ბეის“ ცენტრში, ყოყლოჩინობა ტრინიდადს მოუნდა.

ვარგასი, ცხადია, იოლად არ დათანხმდებოდა, ვივაჭროთო. დასხდნენ მეტოქეთა წარმომადგენლები და მართლაც ივაჭრეს, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომაც, საბოლოოდ პრომოუტერმა დონ კინგმა აიმაღლა ხმა, მე ხურდას ავაგდებ და როგორც დაჯდება, ისე გადავწყვიტოთო.

მონეტის აგდება პატივცემულ მარკ რატნერს ანდეს. იგი ნევადის შტატის სპორტული კომისიის აღმასრულებელი დირექტორია და იმავდროულად ამერიკული ფეხბურთის მთიანი დასავლეთის კონფერენციის ოფიციალური წარმომადგენელიც გახლავთ. მოკლედ, დიდი კაცია.

და, როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვა? ტრინიდადმა. ამრიგად, მას საშუალება ეძლევა რინგზე ვარგასის ასვლის შემდეგ ცოტა შეყოვნდეს და ნერვები მოუშალოს.

მაგრამ, პატივცემული მარკ რატნერის ბრძანებით, მეორედ შესვლა, მეორედ გამოცხადებას არ ნიშნავს და ამიტომ კონფერანსიე ჯერ მაინც ტრინიდადს დაიღრიალებს, შემდეგ კი ვარგასს.

ზოგადად ტრინიდადი რკინისნერვა კაცად არის ცნობილი. გარდა ამისა თავხედიცაა, თუმცა ამაში უკვე დარწმუნდებოდით. მას სურს, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდ მოკრივედ აღიარონ, ყოველ შემთხვევაში მათ შორის, ვინც თითო კილოგრამით განსხვავდება ერთმანეთისგან — მოგეხსენებათ, ძალიან ბევრი წონა ფრიად სიმბოლურადაა ერთმანეთისგან დაცილებული — თანაც ინგლისურს არ სწავლობს, ჩემს პუერტო რიკოში ხომ გმირი ვარ და ინგლისურენოვანმა სამყარომაც კეთილი ინებოს და ასევე მაღიაროსო.

როგორც მოკრივე, ტრინიდადი ნამდვილი პროფესიონალია, ანუ იმის თქმა გვინდა, რომ დღევანდელ მდგომარეობას წლობით, დილიდან საღამომდე მუშაობით მიაღწია, მაგრამ ერთი მინუსი აქვს — ქარიზმა აკლია და მისი ბრძოლები მაინც და მაინც დიდი ხმაურით ვერ ხვდება ტელეეკრანებზე.

სხვათაშორის, ამ მხრივ, ფერნანდო ვარგასი, უფრო სრულად კი ფერნანდო ფერდინანდო ვარგასი განსხვავებულია. ის სარეკლამო ფირნიშებსა და nაირ-ნაირ პლაკატებიდან დიდი წარმატებით უცქერს მოსახლეობას, თუმცა ტრინიდადს „ტიტოს“ ეძახიან. მერე რაო, იკითხავთ თქვენ. მერე ის, რომ ეს მეტსახელი ძალიან უხდება მეტოქეთა ერთი დარტყმით გამთიშველ მოკრივეს.

ტრინიდადს ერთიხანობა ეუბნებოდნენ, მოდი კარიბეთის ურაგანს შეგარქმევთო, მაგრამ იუარა. შემდეგ კარიბეთის კაშკაშა ვარსკვლავობა შესთავაზეს. ეს უკეთესიაო, თქვა, მაგრამ ვინაიდან „ტიტო“ მაინც სხვაა, შაბათს, „მენდალი ბეის“ რინგზე ასეც გამოაცხადებენ.


რესტორანი მზიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3
ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

რაგბი

# კასტენიედი რომ ფეხბურთელი იყოს...


ტომა კასტენიედი

**4 ნოემბერს** საფრანგეთისა და ავსტრალიის ტესტისთვის მზადებისას ვარჯიშზე „მამლების“ მცველ ტომა კასტენიედს აქილევსის მყესი გაუწყდა. ტრავმა აბა, ვისთვისაა საიამოვნო, მაგრამ კასტენიედს მან ერთობ ბევრი პრობლემები მოუტანა. მორაგბისთვის ხელფასის გადახდა არავის უნდა, ტრავმაზე პასუხისმგებელი არავინ ყოფილა — მაშინ, როცა დაშავება უეჭველად ვარჯიშებისა და თამაშების ბრალია...

წესით, საფრანგეთის ნაკრებში დაშავებულებს მაინც ფრანგული კლუბები უხდიან ფულს, ინგლისში კი ჯიბეზე ხელის გაკვრა კავშირს უწევს ხოლმე.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ფრანგი კასტენიედის თავს, რომელიც ინგლისურ კლუბში თამაშობს. მისი გუნდი „სარასენსი“ თვლის, რომ ტომას ფული საფრანგეთის რაგბის კავშირმა უნდა გადაუხადოს გამოჯანმრთელებამდე, რადგან იგი სწორედ ნაკრებში დაიმტვრა. კავშირი ყაბულსაა, კასტენიედის გარკვეული თანხა მისცეს, ოღონდ მისთის „სარასენსის“ ხელფასის ანაზღაურებას არ აპირებს. მხოლოდ იმდენს მივცემთ, რამდენსაც სხვა „მამლებს“, თითქოს ის კვლავაც ნაკრებში თამაშობდეს და არ დაშავებულიყოსო, ამბობენ კავშირში.

„სარასენსი“ კი თავს დაჩაგრულად გრძნობს, თქვენს გამო ტრავმირებულ მორაგბეს ჩვენი ფულით რატომ უნდა ვუმკურნალოთ და ხელფასიც ტყუილად რატომ უნდა ვაძლიოთო, შეუთვალეს ფრანგული რაგბის მამებს. „ამ საქმის გარკვევას ჩემს ფინანსისტებს დავავალებ, თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ყველაფერი ისედაც ნათელია: ჩვენ კომპენსაციას ვითხოვთ. საფრანგეთის რაგბის კავშირმა კასტენიედის გამოჯანმრთელებამდე ყველა ხარჯი ასი პროცენტით უნდა გაიღოს“ — განაცხადა „სარასენსის“ სამხრეთაფრიკელმა მენეჯერმა ფრანსუა პინარმა ფრანგული „ეკიპის“ საშუალებით.

თუმცა საქმე არც ისე ნათელია, როგორც პინარი აცხადებს, რადგან საფრანგეთ-ავსტრალიის ტესტამდეც აწუხებდა კასტენიედს ტრავმა და „სარასენსი“ მაინც ათამაშებდა. „ტომა კასტენიედმა თავის კლუბისთვის ტკივილგამაყუჩებელით ითამაშა. მე არც ინგლისელი კოლეგების განსჯა მინდა და არც პოლემიკის დაწყება. უბრალოდ, იმის აღნიშვნა მსურს, რომ ამას საფრანგეთში არ ვაკეთებთ, რათა მორაგბეს ტრავმა კიდევ უფრო არ გაურთულდეს“ — თქვა საფრანგეთის ნაკრების ექიმმა ტიერი ერმერელმა.

ჰოდა, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, საფრანგეთის რაგბის კავშირმა და „სარასენსმა“ ფულის გადახდის ვალდებულება ერთმანეთს გადაულოცონ. ამ შემთხვევაში თავად მორაგბე დაზარალდება. ისე, ეგებ საქმე სასამართლომდეც მივიდეს.

აქვე დავამატებდთ, რომ კასტენიედი ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, ფიფას წესების თანახმად, სადავო თანხის გადახდა „სარასენსს“ დაეკისრებოდა.

**გაგი გურული**

თხილამურობა

# ერთი პერი და სამი პერო

**თხილამურობის** მსოფლიოს თასიც დაიწყო. კაცთა და ქალთა პირველ ეტაპებს ნორვეგიულმა ბეიტოსტოლენმა უმასპინძლა, სადაც სუსტმა სქესმა 5 კილომეტრზე ირბოლა, ძლიერმა — ათზე. ქალებში ისეთი გასაკვირი არაფერი მომხდარა, ფინელმა კაისა ვარისმა გაიმარჯვა, იტალიელი სტეფანია ბელმონდო მეორე იყო და ესტონელი კრისტინა სმიგუნი — მესამე. სულ ცნობილი გვარ-სახელები გახლავთ. თითქმის იგივე სურათი დაიხატა კაცებშიც. მესამე ადგილზე ნორვეგიელი თომას ალსგაარდი გავიდა, მეორეზე — ფინელი სამი პერო, ხოლო იმას 20,2 წამით შველმა პერ ელოფსონმა გაუსწრო. ელოფსონი გამოირჩევა მასმედიისადმი სიცივითა და სათხილამურო ტალანტით. მისია გამოთქმა, ჟურნალისტებთან ლაყაფისთვის საჭირო ენერგია თხილამურებს დავახარჯო მირჩევნიაო. ამიტომ ელოფსონის გამარჯვებაზე კომენტარები სხვებმა გააკეთეს, კერძოდ, ალსგაარდმა. „ელოფსონი სუპერფორმაშია — თქვა ნორვეგიელმა მეზობლის შესახებ — იმედი მაქვს, იგი წინასაშობაო ვარსკვლავი იქნება, იანვარში კი, ალბათ, დავეწევი“. ცალკე აღნიშვნის ღირსი ის ფაქტია, რომ ჯერ კიდევ გასულ კვირას ელოფსონი გრიპით ავად იყო და ხეირიანად არც იცოდა, თხილამურებზე შედგომას თუ შეძლებდა. შეძლო და კარგადაც...

**კაცები.** 10 კმ. 1. პერ ელოფსონი (შვედეთი) 22:37,9; 2. სამი პერო (ფინეთი) +20,2; 3. ტომას ალსგაარდი (ნორვეგია) +23,4.

**ქალები.** 5 კმ. 1. კაისა ვარისი (ფინეთი) 12:34,2; 2. სტეფანია ბელმონდო (იტალია) +0,8; 2. კრისტინა სმიგუნი (ესტონეთი) +1,3.


კაისა ვარისი

ჰოკეი

# დიდი გატან-გამოტანა ტორონტოში

29 ნოემბერი

**კოლუმბუსი — ფილადელფია 3:4**

1:1 2:1 0:2

1:0 რაიტი 12'11 (5); 1:1 ჯ. ბალი 12'24 (3); 2:1 ობენი 22'33 (4); 3:1 ნუმელინი 10'35 (1); 3:2 პრიმო 37'10 (7); 3:3 რეკი 48'37 (4); 3:4 რეკი 59'01 (5)

**ვაშინგტონი — ტამპა 4:1**

0:1 2:0 2:0

0:1 ლეკავალიე 18'18 (11); 1:1 ოუთსი 26'45 (4); 2:1 ჰალპერნი 33'28 (4); 3:1 ჯ. მერფი 52'57 (1); 4:1 სიმონი 55'11 (3)

**ატლანტა — დეტროიტი 4:6**

2:1 1:5 1:0

0:1 მაკარტი 1'49 (3); 1:1 დონოვანი 9'36 (3); 2:1 ფერარო 10'41 (7); 2:2 ლაპოინტი 23'37 (12); 3:2 დონოვანი 31'47 (4); 3:3 დ. ბრაუნი 32'17 (5); 3:4 ლიდსტრომი 33'40 (5); 3:5 კოზლოვი 35'25 (8); 3:6 უორდი 36'14 (3); 4:6 დონოვანი 46'33 (5)

**ედმონტონი — მონრეალი 2:3**

1:2 0:0 1:1

1:0 გრიერი 4'41 (8); 1:1 ბრისბუა 5'46 (7); 1:2 სავაჟი 9'19 (7); 2:2 გრიერი 44'33 (9); 2:3 რუჩინსკი 48'18 (8)

**ნიუ ჯერსი — რეინჯერსი 5:2**

1:0 0:1 4:1

1:0 ბოლიკი 18'27 (6); 1:1 მალჰოტრა 36'18 (2); 2:1 არნოტი 44'34 (3); 3:1 რაფალსკი 49'54 (4); 3:2 ნედვედი 50'50 (7); 4:2 ბანდოლფო 54'29 (3); 5:2 არნოტი 56'26 (4)

**დალასი — კალგარი 3:4**

0:0 1:1 2:3

1:0 ნუინდაიკი 24'29 (11); 1:1 უიმერი 28'42 (7); 1:2 სტილმანი 41'08 (8); 2:2 მოდანი 42'07 (9); 2:3 იგინლა 45'49 (9); 2:4 სტილმანი 46'24 (9); 3:4 ლანგენბრუნერი 53'58 (4)

**ფლორიდა — კაროლინა 1:2**

0:0 1:0 0:1 0:1

1:0 შეიერი 36'45 (3); 1:1 ვასიჩეკი 54'12 (5); 1:2 ბატალია 61'21 (6)

**კოლორადო — ფინიქსი 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 საკიკი 37'13 (11); 1:1 დოუნი 52'58 (7); 2:1 სკულა 58'48 (1)

**ტორონტო — სენტ ლუისი 5:6**

1:0 3:0 1:5 0:1

1:0 ველკი 8'38 (3); 2:0 დომი 23'18 (5); 3:0 სუნდინი 32'04 (5); 4:0 მენსონი 39'15 (1); 5:0 დომი 42'54 (6); 5:1 პრონგერი 44'51 (4); 5:2 ხავანოვი 46'53 (2); 5:3 მაკინისი 48'37 (5); 5:4 ჰანდზუსი 54'20 (5); 5:5 ხავანოვი 59'35 (3); 5:6 ჰეხტი 60'18 (5)

**იცინის** ის, ვინც ბოლოს გაიცინებს. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ტორონტოს საქმე ისე მისდიოდა, გეგონებოდათ, ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ სენტ ლუისს კი არა, რომელიმე აუტსაიდერს ეთამაშებაო. მასპინძლები ხშირად ფლობდნენ უპირატესობას და გოლებიც ისე გაჰქონდათ, ლამის აბუჩად იგდებდნენ მეტოქეს. თავად ტაი დომიმ, გუნდის მთავარმა პოლიციელმა, გაილაღა, 3 (2+1) ქულა კარიერაში პირველად მიითვალა და როდესაც მან თავისიანები 43-ე წუთზე 5:0 დააწინაურა, თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა. ეტყობა, ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფიც დარწმუნდა ამაში, რადგან როცა კრის პრონგერმა პირველი საპასუხო გოლი გაუტანა, ისე ირონიულად გაიღიმა, თითქოს ამბობდა, დიდი რამე, მხოლოდ შათაუტი გავუშვი ხელიდანო. რა იცოდა კუჯომ, სულ მალე რა ელოდა. ტორონტოელები გონს ვერც კი მოეგნენ, როცა წესების ორჯერ უსაფუძვლოდ დარღვევა მათ კარში გატანილი კიდევ ორი გოლით დასრულდა. მერე კი მატჩის დამთავრებამდე 25 წამით ადრე, ახალბედა მცველმა ალექსეი ხავანოვმა გაისროლა ძლიერად და ანგარიშიც გათანაბრდა. ოვერტაიმში, მეტოქეს გამოფხიზლება რომ ვერ მოესწრო, „ბლუზმენებმა“ სწრაფი შეტევა განახორციელეს და პავოლ დემიტრას (3 პასი) ასისტენტობით ამ ესოდენ დრამატულ მატჩს იოჰენ ჰეხტმა დაუსვა წერტილი.

მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი რუსი მოთამაშე არ ჰყავდა, კოლორადო მაინც გაუმკლავდა თავის ყველაზე მოუხერხებელ მეტოქეს, ფინიქსს. მართალია, ამჯერადაც ოდნავ გაუჭირდა „ეველანშს“, რადგან მეტწილად მოწინააღმდეგე ფლობდა ინიციატივას და უფრო სახიფათოდაც უტევდა, მაგრამ საბოლოოდ ბედმა მაინც კოლორადოს გაუღიმა. ჯერ იყო და კეიტ ტკაჩუკის მიერ არცთუ ისეთი აშკარა წესების დარღვევის შემდეგ ჯო საკიკმა გამოიყენა რიცხვმრავლობა, ხოლო მატჩის მიწურულს, როცა საქმე ოვერტაიმისკენ მიდიოდა, მარტენ სკულამ სტუმართა მეკარე შონ ბურკისა და მცველთა შეცდომებით ისარგებლა და თავისიანები საბოლოოდ დააწინაურა.

აგერ უკვე 20 მატჩია რეინჯერსმა ნიუჯერსელ ეშმაკებს ვერაფერი მოუხერხა. ამჯერადაც უძლური აღმოჩნდა გამოცოცხლებული მეტოქის წინააღმდეგ, რომელმაც გაფიცული ჯეისონ არნოტის და სკოტ ნიდერმაიერის მორჯულების შემდეგ ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო და დივიზიონსაც სათავეში მოექცა. თავად არნოტმა ამ პერიოდში უკვე 4 გოლი გაიტანა. თუმც ისინიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტუმრებმა წინა დღეს ლოს ანჯელესთან უმძიმესი ბრძოლა გადაიტანეს და თან შუა მატჩში მარკ მესიე დაკარგეს, რომელსაც შაიბამ ფეხი დაუზიანა.

მიუხედავად შონ დონოვანის ჰეთ თრიქისა, რომელიც შარშანდელი დებიუტანტისთვის მეოთხეა, ატლანტამ ვერ შეძლო დეტროიტის შეჩერება. სტუმრებმა მეორე პერიოდში 4 წუთის განმავლობაში 4 შაიბა შეაგდეს, აქედან სამი ბრენდან შენაჰანის დახმარებით.

კალგარიმ მოულოდნელად დალასს სძლია, თანაც სტუმრად, სადაც ბოლო რვა თამაშში მხოლოდ 2 ქულა აელო. აღსანიშნავია, რომ დალასის მეკარე ედ ბელფორს მატჩის შუაგულამდე, საერთო ჯამში კი 219 წუთის განმავლობაში, გოლი არ გაუშვია, მაგრამ როგორც კი ჯეისონ უიმერმა ჯადო მოხსნა, სტუმრებს თამაში წაუვიდათ.

ფილადელფიას ტრავმირებული ლიდერები უბრუნდებიან და ნელ-ნელა ძალას იკრებს. ამჯერად „მფრინავებმა“ ჯონ ლეკლერის კვლავ ყინულზე ყოფნა აღნიშნეს გამარჯვებით. საუკეთესო კი მარკ რეკი გახლდათ.

ფლორიდამ ერთი ქულა რომ შეიმატა, ამას მეკარე ტრევორ კიდს უნდა უმადლოდეს. კიდი (40 მოგერიება) ლამის მთელი მატჩის განმავლობაში მარტო ეომებოდა კაროლინას ფორვარდებს და რა მისი ბრალია, რომ ოვერტაიმში სტუმრებმა იძალეს და მაინც გამოჰგლიჯეს გამარჯვება.

**სამველ ლარიბიანი**


არის... ტამპელი მარტინ სენტ ლუისი (26) და ვაშინგტონელი პეტერ ბონდრა კარში

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 24 | 13 | 4 | 0 | 7 | 77:58 | 30 |
| ტორონტო | 24 | 12 | 3 | 2 | 7 | 70:53 | 29 |
| ბუფალო | 22 | 12 | 2 | 1 | 7 | 60:53 | 27 |
| ბოსტონი | 24 | 8 | 3 | 2 | 11 | 59:85 | 21 |
| მონრეალი | 25 | 8 | 2 | 0 | 15 | 64:78 | 18 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 23 | 16 | 3 | 0 | 4 | 77:44 | 35 |
| დეტროიტი | 26 | 15 | 1 | 2 | 8 | 83:71 | 33 |
| ნეშვილი | 24 | 9 | 5 | 1 | 9 | 58:61 | 24 |
| ჩიკაგო | 24 | 8 | 2 | 2 | 12 | 62:74 | 20 |
| კოლუმბუსი | 25 | 7 | 1 | 1 | 16 | 49:81 | 16 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 23 | 12 | 3 | 0 | 8 | 82:62 | 27 |
| რეინჯერსი | 25 | 13 | 0 | 0 | 12 | 85:82 | 26 |
| პიტსბურგი | 23 | 11 | 3 | 1 | 8 | 65:61 | 26 |
| ფილადელფია | 24 | 11 | 4 | 0 | 9 | 61:64 | 26 |
| აილენდერსი | 22 | 7 | 2 | 2 | 11 | 52:64 | 18 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 24 | 17 | 3 | 0 | 4 | 75:49 | 37 |
| ედმონტონი | 27 | 14 | 3 | 0 | 10 | 78:70 | 31 |
| ვანკუვერი | 25 | 13 | 3 | 2 | 7 | 85:69 | 31 |
| კალგარი | 27 | 6 | 5 | 4 | 12 | 57:78 | 21 |
| მინესოტა | 25 | 7 | 4 | 1 | 13 | 52:66 | 19 |

**სამხრეთ - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 23 | 9 | 3 | 1 | 10 | 56:67 | 22 |
| ვაშინგტონი | 24 | 7 | 6 | 1 | 10 | 57:67 | 21 |
| ტამპა | 23 | 8 | 2 | 2 | 11 | 68:85 | 20 |
| ფლორიდა | 22 | 5 | 4 | 4 | 9 | 46:58 | 18 |
| ატლანტა | 22 | 5 | 6 | 1 | 10 | 56:72 | 17 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 21 | 14 | 2 | 0 | 5 | 62:44 | 30 |
| დალასი | 23 | 13 | 3 | 1 | 6 | 63:46 | 30 |
| ფინიქსი | 25 | 12 | 6 | 0 | 7 | 68:58 | 30 |
| ლოს ანჯელესი | 25 | 11 | 6 | 0 | 8 | 88:75 | 28 |
| ანაჰაიმი | 26 | 8 | 4 | 2 | 12 | 66:86 | 22 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

# ენდის თასები

ზიმბაბველი მოკრიკეტე ენდი ფლაუერი შექნილა ინდოეთისა და ზიმბაბვეს ნაკრებთა მეორე ტესტის გმირი. მისი მეცადინეობით ზიმბაბველებს ფრე გაუხერხებიათ და მოსალამოვებულზე მატჩის საუკეთესო მოთამაშისა და სერიის ჩაუქის ჯილდოები მიუღია.



REUTERS

# პაპი ჰარლემთან

საკალათბურთო შოუს უგანთქმულესი და უკვდავი დასი „ჰარლემ გლობ ტროტერსი“ მსოფლიოში რეკორდსმენია გასტროლების საკითხში. ამ კვირაში იტალიის ქალაქებში მოგზაურობდა და რა გასაკვირია, რომ ვატიკანსაც სწვევოდა და მხცოვან იოანე პავლე II-ს შეხვედროდა. კალათბურთის ჟონგლიორებს თავიანთი მაისურა უჩუქებიათ პაპისთვის და საპატიო ტროტერადაც გაუხდიათ.



REUTERS

# ნეთბოლიც და...

ნეთბოლი ერთი რამ კალათბურთს მიმსგავსებული თამაშია ქალთათვის და დედამიწის სამხრეთში დიახაც რომ უყვართ. ამ სურათზე ნეთბოლის უძლიერეს მოთამაშეთა ჭიდილს ხედავთ. მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიის ნაკრებს მეზობელი ახალზელანდიელები ერკინებიან და ამარცხებენ კიდეც. ეს გოგო კი, ბურთი რომ მოუხელთებია, ზელანდიელი ირენ ვან დიკაა.

# ოლიმპიური გაჩხაკუნება

ბილ კლინტონი მალე დატოვებს თეთრ სახლს, ვინ იცის, ამერიკელ ოლიმპიელებთან და ხეიბარ სპორტსმენებთან ერთად თეთრი სახლის ეზოში გადაღებული ეს ფოტო უკანასკნელი სახალხო სურათიც გამოდგეს ამერიკის აწ პენსიონერი პრეზიდენტისა. ისე, ბილი ოჯახობით ყოფილა იქა — ქალიშვილი ჩელსი და ახლახან გასენატორებული ცოლი ჰილარი წინ ჩადგომიან ოდნავ სევდიანად გაღიმებულ პრეზიდენტს და თითქოს ამბობენ კიდეც, ახლა ჩვენი დრო უფროაო.



REUTERS



REUTERS

# ქალ ყვანჯოსანთათვის

კორეელი მეგოლფე გოგო სუნ ჰი ლი იმედიანი ღიმილით უდგას გვერდით ქალ ყვანჯოსანთა მსოფლიო თასს, რომელიც მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურის მეგოლფეთა კლუბში გათამაშდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge